ვეფი ველბახიანი



სიყვარული უსაზღვროა

სიყვარული უსაზღვროა!

გედი გელბახიანი



თბილისი
2013

სიყვარული უსაზღვროა!

გედი გელბახიანი

შემდგენელი — ნუცა ტატიშვილი

რედაქტორი — მანანა მიხაილოვა
კომპიუტერული უზრუნველყოფა — ლელა თვარაძე

გამომცემლობა "ნიკე"

ISBN

ეს წიგნი შესაძლებელს ხდის, კიდევ ერთხელ გავიაზროთ, რამდენად ლამაზი და მშვენიერი შეიძლება იყოს სიცოცხლე, რომ არა ბოროტება, რომელიც ხანმოკლეა, მაგრამ მაინც ებრძვის სიკეთეს.

ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია გელბახიანების ოჯახის სამი თაობის მამაკაცების მიმართ განხორციელებული რეპრესიები. ისინი ჭეშმარიტი მამულიშვილები იყვნენ, სულით მებრძოლი ქართველები.

ბევრი რამ არის მოსაგონარი: წერილები, ხელნაწერები, პრესაში გამოქვეყნებული მასალები, ფოტოები... ის რაც წიგნშია, არ არის სრულყოფილად გადმოცემული. გულის სიღრმეში უფრო მეტს გრძნობ. გონება ბევრ საინტერესო ფაქტს ინახავს, მაგრამ მაინც კავშირია, ურთიერთობა და კონკრეტულ ფორმასა და შინაარსში გადმოცემული ესთეტიკური ემოცია, რადგან იხსენებ ცხოვრებას, რომელზეც მხოლოდ მთელი გულით, გრძნობით და სინდისით საუბრობ.

ნუცა ტატიშვილი — გელბახიანის ეს წიგნი არ არის მონოლოგი. ეს არის დიდი სიყვარული, დიდი რწმენა და საოცარი პასუხისმგებლობა. აქ მთავარია ადამიანის დამოკიდებულება ადამიანთან.

გედი გელბახიანი – ეს არის სახელი, უპირველეს ყოვლისა, იმ სულით-ხორცამდე ინტელიგენტი ქართველი კაცის, რომელსაც საოცარი პასუხისმგებლობა ჰქონდა თავისი უსაყვარლესი ოჯახის, მშობლების, მეუღლის, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების, ახლობლების, მეგობრების, ერისა და ღვთის წინაშე. ამ სიყვარულს ის თავმდაბლად გულით ატარებდა. ამიტომ მუდამ მზად იყო დახმარებოდა სხვას. მოსმენისა და თანადგომის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა იმ დროსაც კი, როდესაც თავად სჭირდებოდა გამხნევება.

გედი გელბახიანმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა სამყაროს სილამაზის აღქმის უნარი, რწმენა ღვთისა და ადამიანისა, თბილი გამოხედვა და მოკრძალებული ღიმილი, მაგრამ გულმა ვეღარ გაუძლო...

ამ წიგნით პატივს მივაგებთ მის ნათელ სულს, რომელიც დაგვცქერის ზეციური საქართველოდან, ერისა და ქვეყნისათვის მლოცველი.

დავიბადე პროფესორის, ირაკლი ტატიშვილის დიდ ოჯახში. ბაბუას ვერ მოვესწარი. იგი წმ. მარინეს ეკლესიის მოძღვარი იყო დეკანოზი იაკობ ტატიშვილი, რომელმაც ტაძრების დარბევა, და, მათ შორის, ჩვენს ეზოში მდგარი წმ. მარინეს ეკლესიის ხელყოფა ვერ გადაიტანა, გული გაუსკდა და ინფარქტით გარდაიცვალა. მე დავიბადე ბაბუას გარდაცვალებიდან ოცდახუთ დღეში. ბებია — ნინო ონიაშვილი — ძალიან სათნო, ლამაზი და განათლებული ქალი გახლდათ.

ბაბუა — იაკობ ტატიშვილი, ბებია — ნინო ონიაშვილი
დგანან - მამიდა თამარ ტატიშვილი, მამა ირაკლი ტატიშვილი და ბიძა გიორგი ტატიშვილი
სხედან — მამიდები სოფიო და ელენე და ბიძა მიხეილ ტატიშვილები

ბებია

ნინო ონიაშვილი

ბაბუა

იაკობ ტატიშვილი

ივი იყო და დავით ონიაშვილისა, რომელმაც მარქსის "კაპიტალი" და "ფაუსტი თარგმნა ქართულ ენაზე, დავით ონიაშვილი უგანათლებულესი კაცი იყო, მენშევიკური მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილე, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, რომელსაც ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე და რომელიც, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წელს, დაიჭირეს და დახვრიტეს. ჩემი გაზრდა ბებიაჩემმა ითავა და ხშირად მეტყოდა ხოლმე — იაკობის სიკვდილი შენზე ზრუნვამ გადამატანინაო. მე ბებიას სახელი — ნინო დამარქვეს, ისე, შინაუ-

რები ნუცას მეძახიან. ჩემს გარდა ჩვენს დიდ ოჯახში კიდევ ოთხი ბავშვი იზრდებოდა: ჩემი ძმა – ნუგზარი, ჩემზე რვა წლით უფროსი იყო და მამაჩემის ძმის – გიორგის შვილები – გურამი, ტყუპები მარინა და მერაბი, ჩემზე თორმეტი და შვიდი წლით უფროსები. ბიძაჩემი – გიორგი ტატიშვილი გამომგონებელ-რაციონალიზატორი იყო.

მარცხნიდან – მარინა, ნუგზარი, მერაბი და გურამ ტატიშვილები

ძმის გადასახლების და დახვრეტის შემდეგ მამაჩემმა სამივე ძმისშვილი ჩვენთან სახლში გადმოიყვანა.

ყველანი ერთად ვიზრდებოდით, სანამ ისინი საკუთარ ოჯახებს არ მოეკიდნენ. ფაქტიურად, ჩვენ ხუთი და-ძმანი ვიყავით და დღემდე ასე გრძელდება. დედაჩემი და მამაჩემი ხუთივეს ერთნაირად გვზრდიდნენ.

ნუცა ტატიშვილი
6 წლის ასაკში

ჩვენთვის ყველაფერი ერთნაირად იყო განაწილებული. ჩვენს აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანეს მამიდებმა, რომელთაგან ორი — ელენე და სოფიო, ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამო, არ გათხოვდნენ, ხოლო მესამეს — თამარს კი შვილი არ ჰყავდა და ყველანაირად ცდილობდნენ მატერიალურად ჩვენს უზრუნველყოფას.

ისინი ფიზიკურად მხარში ედგნენ ძმის ოჯახს. ბავშვებში ყველაზე პატარა მე ვიყავი. ძალიან მანებივრებდნენ.

სახლში ყველაფერი ჩემთვის უნდოდათ. ბიჭები, სკოლაში, ომის დროს, ფუნთუშას რომ ურიგებდნენ, თვითონ არ ჭამდნენ და ჩემთვის მოჰქონდათ. ერთი სიტყვით, პატარაობისას ოჯახში ჩემი კულტი სუფევდა.

გურამ ტატიშვილი

როცა წამოვიზარდე და სკოლას ვამთავრებდი, ისე მოხდა, რომ გაზაფხულზე 5 აპრილს, ჩემს უფროს ბიძაშვილს — გურამს ცოლი მოჰყავდა. ოჯახი დიდი ქორწილისთვის ემზადებოდა. მეც, რა თქმა უნდა, ამ სამზადისში ყველანაირად ჩართული ვიყავი. იმ პერიოდში მამაჩემი სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის პროფესორი იყო და, ამავე დროს, სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში. გურამი, ჩემი ბიძაშვილი, ინსტიტუტში დეკანის მოვალეობას ასრულებდა. ამავე დროს, ბ-ნი პეტრე გელბახიანი სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი იყო, ჰყავდა ერთი ვაჟი — გედი გელბახიანი, რომელ-

იც ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო და მეგობრობდა გურამთან. ამიტომ ჩვენს ოჯახში მოწვეული იყო მაყრის სტატუსით.

მამა

ირაკლი ტატიშვილი

დედა

თამარ მითაიშვილი

მამაჩემი სწავლისა და დისციპლინის საკითხში ძალიან მკაცრი იყო და არაფრით არ მომცა უფლება, იმ დღეს სკოლა გამეცდინა. წარმოიდგინეთ, როგორ მინდოდა სახლში დარჩენა და ამ სასიამოვნო ფუსფუსში მონაწილეობა, მაგრამ მამის წინააღმდეგ ვერ წავედი. როდესაც სკოლიდან დავბრუნდი, ჩვენთან სახლში დამხვდა სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა, რომელიც

მამას გვერდით სავარძელში იჯდა და ტკბილად საუბრობდნენ. მამამ ახალგაზრდა გამაცნო, ბ-ნი პეტრეს შვილი – გედი გელბახიანი და თან ჩემი თავი წარუდგინა. უეცრად გედისგან ვიგრძენი რაღაც ენით გამოუთქმელი თბილი მზერა და მე, რა დამემართა, ვერ გადმოგცემთ. დავიბენი. რას ვაკეთებდი, არ ვიცოდი. მაგრამ ჩვენ რაღაც უცბად დავმეგობრდით და მთელი საღამოსა და ქორწილის განმავლობაში გვერდიდან ვეღარ მოვცილდით ერთმანეთს, სულ რაღაცას ვყვებოდით და ბევრს ვიცინოდით. ალბათ, ამას ჰქვია ერთი ნახვით შეყვარება. სუფრა, ჩვენს ოჯახში, მეორე დღესაც გაგრძელდა და მე და გედი სულ ერთად ვიყავით. მე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სკოლას ვამთავრებდი და ვემზადებოდი სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტზე ჩასაბარებლად, ინგლისურის განხრით. იმავე საღამოს მივხვდი, რომ გედის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელი და გაუსაძლისი იქნებოდა. გადავწყვიტე, სამედიცინო ინსტიტუტში ჩამებარებინა, რადგან სხვაგვარად გედის ისე ხშირად ვერ ვნახავდი, ეს კი ჩემს ძალებს აღემატებოდა. მაშინვე შევიცვალე ჩემი პროფესიული არჩევანი. წლების შემდეგ მივხვდი, როგორ ვყვარებივარ მამაჩემს,

რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო ჩემი ექიმობის, რადგან თვლიდა, რომ გაჭირვებულ და შეწუხებულ ადამიანებთან ურთიერთობა რთული იქნებოდა.

ჩემი ეს უეცარი გადაწყვეტილება ჩუმად გავანდე გურამს. მანაც ყველანაირი დახმარება აღმითქვა, სასწრაფოდ დავიწყეთ საბუთების შეგროვება და აპრილის თვიდან ფიზიკა-ქიმიაში მეცადინეობა. საბუთები ისე შევიტანე ინსტიტუტში, რა თქმა უნდა, გურამის დახმარებით, რომ მამაჩემს არაფერი გაუგია.

მე იგი ფაქტის წინაშე დავაყენე. დედამ ყველაფერი იცოდა, ჩვენ ძალიან ვმეგობრობდით. მამას რაღა უნდა ექნა. დადგა გამოცდების ჩაბარების დღე და, ბოლოს, ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. დაიწყო ჩემი და გედის ხშირი შეხვედრები, რასაც ჩვენი კიდევ უფრო მეტად დაახლოვება მოჰყვა. მე ვიყავი მეცხრე ცაზე და მართლაც უბედნიერესი. ინსტიტუტში ურთიერთობის პერიოდი ძალიან ჰარმონიული გვქონდა. ახალგაზრდებმა რომ იციან კინკლაობა და გაბუტვა, ეს ჩვენგან ძალიან შორს იყო. ჩემი და გედის ურთიერთობა თავიდანვე სხვანაირად დაიწყო. გედი ძალიან თბილი, მოსიყვარულე და

გაწონასწორებული ადამიანი, ინტელიგენტი (ამ სიტყვის სრული გაგებით) გახლდათ, განსაკუთრებულად პატივისმცემელი ჩემთან მიმართებაში.

ნუცა ტატიშვილი 16 წლის ასაკში

1961 წელს, ინსტიტუტის დამთავრებისთვის, მე და გედი დავქორწინდით. რა თქმა უნდა, ჩვენი მეჯვარე გურამი იყო. მალე გედის განაწილებით გაგრაში მოუწია წასვლა სამუშაოდ. იმხანად ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ორი წელი რაიონში უნდა გემუშავა და მხოლოდ მერე გეძლეოდა მუდმივი სამსახურის დაწყების უფლება. ასე მოხვდა გედი ქ. გაგრის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-ორდინატორად, ამავე დროს, ის უბნის ექიმადაც მუშაობდა.



ერთხელ მახსოვს ერთმა ძალიან პატივსაცემმა, ლამაზმა და ჭკვიანმა ქალბატონმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. მაშინ თბილისში რესტორანი თითზე ჩამოსათვლელი იყო (ალბათ, სამოთხი). დაცვის შემდეგ, ვახშამი რესტორან "არაგვში" გაიმართა. გედი მიწვეული იყო, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადა წასვლაზე: "როგორ?! იცის, რომ ახალგაზრდა მეუღლე მყავს და უშენოდ არ უნდა დავეპატიჟე!" ვეხვეწე, უხერხულია, ახლა გვჭირდება შენი ხალხში გამოჩენა-მეთქი, მაგრამ არაფრით არ წავიდა. ასეთი შემთხვევა რამდენიმე კიდევ იყო, იმავე შედეგით.

ერთხელ სამსახურში, მაშინ რკინიგზის საავადმყოფოში ახალშობილთა განყოფილებაში ვმუშაობდი, მიკრო-პედიატრად. ნინოობა დღე იყო, რომელსაც ყოველთვის აღვნიშნავდი, მაგრამ იმ დღეს ვმორიგეობდი, ღამის 10-11 საათი

იქნებოდა, სანიტარი შემოვიდა და მითხრა, თქვენი მეუღლეა მოსულიო.

ცოტა არ იყოს გამიკვირდა, სახლში ხომ მშვიდობა არის-მეთქი. კიბეები ჩავირბინე და კარებთან დავინახე გედი, ფრანგული სუნამოთი ხელში. ეს ხომ ყველაფრის მეტყველი იყო. ჩავეხუტე. გამეხარდა მისგან ასეთი ყურადღება და ბედნიერი დავბრუნდი განყოფილებაში. წარმოიდგინეთ, რა ხდებოდა მეორე დღეს საავადმყოფოში. მთელი ექიმები ამაზე ლაპარაკობდნენ. რამდენი ასეთი მაგალითის გახსენება შემიძლია, მაგრამ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აქვე აღვნიშნავ, ცოტა ასაკში რომ შევედით უჩემოდ სიარული უფრო მერე დაიწყო გედიმ და ეს ფაქტი თითქოს მიხაროდა, მაგრამ, ამავე დროს, გულიც მწყდებოდა. გედი ჩემი ტყვე ხომ არ იქნებოდა, ასე ვფიქრობდი და მეც ჩემს მეგობრებთან, ქალებთან, დავდიოდი, თუმც არ არსებობდა, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ბოლოს, კარზე ზარი ირეკებოდა და მე უკვე ვიცოდი, რომ ეს გედი იყო.

საერთოდ, მე და გედის, ერთმანეთის გარეშე არსად წასვლა არ გვიყვარდა. ამას რომ ამჩნევდნენ, მეტყოდნენ ხოლმე, ეჭვიანი ხარ და იმიტომ არის ასეო, მაგრამ შემიძლია მისი სული დავიფიცო, სრულიად ვიყავი დარწმუნებული მის ერთგულებასა და სიყვარულში. შეიძლება, რაღაც მცირე პროცენტით, ეჭვიანიც ვიყავი (ეს დიდმა სიყვარულმა იცის!), მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. პირიქით, ასეთ ქალებთან განსაკუთრებულ მეგობრულ დამოკიდებულებას და სიახლოვეს ვიჩენდი, მართლა სხვაგვარად რომ არ ეფიქრათ.

გედი ისეთი თბილი და მომხიბვლელი მამაკაცი იყო, წარმოუდგენელია, სუსტი სქესის ქალბატონები მის მიმართ გულგრილნი ყოფილიყვნენ. ამით ვამაყობდი კიდეც, მაგრამ თუ ვინმეზე ეჭვი გამკრავდა გულში, ამასაც ხუმრობით აუცილებლად ვეტყოდი გედის. და მერე დიდხანს ვიცინოდით ამ უშუალო აღიარებაზე. ისე, თვითონაც არ იყო გულგრილი ლამაზი ქალების მიმართ. საერთოდ, გედის ხიბლავდა ქალთა საზოგადოებაში მოლხენა და მათთან ურთიერთობა. ეს მე ძალიან მართობდა, მომწონდა კიდეც, რადგან საბაბს არასდროს მაძლევდა, მით უმეტეს საზოგადოებაში, სხვაგვარად მეფიქრა.



ქართველი კინომსახიობი
ლია გუდაძე და გედი
გელბახიანი

გედი გელბახიანი და
მარინა ოჩიგავა

გედი გელბახიანი ერთ-
ერთ წვეულებაზე

ჩემს მიმართ ყოველთვის ისეთი ყურადღებიანი და თბილი იყო, რომ უკვე მერე, როდესაც შვილთაშვილი შეგვეძინა და მას ჩემი სახელი დაარქვეს, სახლში დამხმარე ქალი და ბავშვის ძიძა ახლაც იხსენებენ, გედი სამსახურიდან რომ დაბრუნდებოდა, შემოსვლისთანავე იკითხავდა — ჩემი პატარა გოგო სად არისო? ისინი პასუხობდნენ — აქ არის და თამაშობსო. პატარა ნუციკოს გულისხმობდნენ.

— არა, მე ჩემს ნუციკოზე, ჩემს პატარა გოგოზე ვლაპარაკობ და იმაზე გეკითხებით! — უპასუხებდა გედი. მე კი ამ დროს ოთახში ფანჯარასთან ვიდექი და იქიდან ვუყურებდი, როგორ შემოჰყავდა ეზოში მანქანა, როგორ დააყენებდა ავტოფარეხში და თუ კარებთან ვერ მოვასწრებდი მის შეხვედრას, ასე მომიკითხავდა-ხოლმე.

ისადილებდა, მიუჯდებოდა ტელევიზორს ჩემთან ერთად, მიყვებოდა სამსახურის ამბებს, დღის განმავლობაში მომხდარს და თუ სადმე წასასვლელად არ ვემზადებოდით, ასე გადიოდა ჩვენი საღამოები.



მეოთხე საავადმყოფოს (ყოფილი მერვე) რემონტზე დახურვის შემდეგ, რის გამოც კათედრა დროებით ალ. ალადაშვილის სახელობის მეორე საავადმყოფოში გადავიდა, გედის განსაკუთრებით გაუჭირდა, იგი ნერვიულობდა, რადგან იქ განყოფილებაში არ შეუშვეს სამუშაოდ, ხოლო ავადმყოფების გარეშე პრაქტიკულის და ლექციების ჩატარება, წარმოგიდგენიათ, ალბათ, რა

ძნელი იქნებოდა მისთვის. ბოლო წლებში გედი უცხოელ სტუდენტებთანაც კითხულობდა ლექციებს, ინგლისურ ენაზე.

ჟურნალ "მკურნალისათვის" მიცემულ ინტერვიუში (2005 წ. 15-28.IX) გედი იგონებს:

"— ინსტიტუტი რომ დავამთავრე, გაგრის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-თერაპევტად მიმავლინეს. იქ 20 აგვისტოს უნდა ვყოფილიყავი. ჩასვლიდან ერთ კვირაში მომიწია მორიგეობამ. ეს ნიშნავდა, რომ მორიგე იყავი თერაპიულ, ქირურგიულ, პედიატრიულ და გინეკოლოგიურ განყოფილებებში, სამშობიაროში და მიმღებშიც. საავადმყოფო გადაჭედილი იყო მძიმე ავადმყოფებით. იმ ღამეს ოცამდე ავადმყოფი მივიღე, აქედან — სამი კუჭის პერფორაციით იყო. ასეთ შემთხვევაში ქირურგი უნდა გამომეძახა. ის სასწრაფო დახმარების მანქანამ მოიყვანა და წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როდესაც ჩემი, ახალგაზრდა ექიმის მიერ დასმული ყველა დიაგნოზი გამართლდა. მგონი, ეს იყო ჩემი პროფესიული ცხოვრების ყველაზე საინტერესო დღე.

მინდა მოვიგონო საოცარი დამთხვევა: 1973 წლის 7 აგვისტოს დააპატიმრეს მამაჩემი პეტრე გელბახიანი. ბედის ირონიით, საბჭოთა კავშირის

უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ სწორედ 1973 წლის 7 აგვისტოს თარიღით გასცა ჩემი სადოქტორო წოდების დიპლომი.

კითხვა: მოგვიანებით, თქვენც აღმოჩნდით ციხეში. იქაც ხომ არ დაგჭირვებიათ თქვენი სპეციალობა?“

— წინასწარი დაკავების საკნიდან ორთაჭალის ციხეში რომ გადამიყვანეს საკმაოდ მძიმე ტრავმებით, ციხის “ბალნიცაზე“ მოვხვდი. იქ ექიმი კი იყო, მაგრამ მორიგე ექიმის შტატი არ არსებობდა. ამიტომ ერთხანს ქირურგიული მანიპულაციების ჩატარება, ჭრილობების გაკერვაც კი მიწევდა.

კითხვა: თქვენი ცხოვრების ყველაზე მშვენიერ პერიოდს ხომ ვერ გაიხსენებდით?

— 1961 წელს დავქორწინდით აკად. ირ. ტატიშვილის ქალიშვილი ნუციკო და მე. ნუცა მაშინ მესამე კურსის სტუდენტი იყო, სამედიცინო ინსტიტუტში. მანამდე სამი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს და ეს იყო ყველაზე საუკეთესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. დაქორწინება გამოიწვია ჩემი გაგრაში სამუშაოდ წასვლამ, განშორება ჩვენთვის გაუსაძლისი იყო და ხელის მოწერის შემდეგ გავემგზავრეთ ორივე გაგრაში (იმ დროს ვინ მოგვცემდა პარიზსა და ბარსელონაში

საქორწინო მოგზაურობის მოწყობის უფლებას). ეს იყო ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები. მალე ნუციკო სწავლის გასაგრძელებლად თბილისში დაბრუნდა და დაიწყო ჩვენი მოგზაურობა თბილისიდან გაგრაში და პირიქით.

კითხვა: არიან წყვილები, რომლებზეც იტყვიან, ერთად მშვენიერი წამების მთელი მარადისობა გაატარესო. თქვენთვის ვინ არის ასეთი ცოლ-ქმარი?

— თუ კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, სწორედ ასეთად მესახება ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობა და ძალზედ ვამაყობ ამით“.

ჩემი და გედის "თბილისი-გაგრა" მოგზაურობის პერიოდში და ჩემი თბილისში ყოფნის დროს მე გელბახიანებთან ვცხოვრობდი, დავდიოდი ინსტიტუტში. ჩემი დედამთილი თამარი და მამამთილი პეტრე ჩემთვის მეორე დედა და მამა იყვნენ.



ჩემი დედამთილი — თამარ ბეჟანიშვილი
ჩემი მამამთილი — პეტრე გელბახიანი

ამდენი სითბოს გამოხატვა თუ შეიძლებოდა ახლად შემოსული რძლის მიმართ, არც კი წარმომედგინა. ამიტომ, მოგვიანებით, ჩვენს ოჯახში დატრიალებული ტრაგედია ისე გავითავისე, როგორც საკუთარი. ერთი დღე არ მიმიტოვებია ჩემი დედამთილი და ერთხელაც არ გამიშვია ცხენში მარტო. ვგრძნობდი, რაოდენ დამამცირებელი იყო მისთვის ეს პროცესი.

პატარა გედი მშობლებთან ერთად

თბილისსა და გაგრაში მიმოსვლისას შეგვეძინა პირველი შვილი პეტრე, მერე, 1964 წელს, შეგვეძინა მეორე შვილი – ქალიშვილი, რომელსაც თამარი დავარქვით და ორივე ბებია გავახარეთ.

პეტრე გელბახიანი

თამრიკო გელბახიანი

ბავშვების დაბადება ჩვენი ცხოვრების იმ უბედნიერეს ხანას დაემთხვა, როდესაც ყველა ერთად ვიყავით. პეტრე ბავშვობაში ძალიან წყნარი და მშვიდი იყო. სადაც გინდა წაგეყვანა, არ არსებობდა რაიმეთი შეეწუხებინე, ამიტომ მას ხუმრობით "სანატორიუმიც" კი შევარქვი. სკოლაში კარგად სწავლობდა და სანიმუშო ყოფაქცევითაც გამოირჩეოდა. თამრიკო, პეტრესთან შედარებით, ცელქი და მოუსვენარი ბავშვი აღმოჩნდა, მაგრამ სკოლაში ისიც სანიმუშო და კარგი მოსწავლე იყო. ეს ძალიან გვახარებდა მე და გედის.

გედი გამოირჩეოდა თავისი დამოკიდებულებით შვილების მიმართ. პატარები რომ იყვნენ, ფაქტიურად, არაფერზე ეჩხუბებოდა, მაგრამ ვერ იტანდა, რაიმე სათამაშოს თუ გააფუჭებდნენ, სერიოზულად მისცემდა შენიშვნას და თან აუხსნიდა, თუ რატომ არ შეიძლებოდა ამა თუ იმ ნივთთან უდიერად მოპყრობა. შემდგომში რომ გაიზრდებოდნენ, სცოდნოდათ, რაც მათთვის საჭირო და ფასეული იქნებოდა. პეტრე ცოტა რომ წამოიზარდა, უკვე ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. ერთად დადიოდნენ სპორტულ შეჯიბრებებზე. თამამად ვიტყვი, გედიმ შეაყვარა პეტრეს კალათბურთი. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა სპორტული შეკრებისა, ქალაქში თუ ქალაქგარეთ, განსაკუთრებით ხშირად — ლესელიძეში, სპორტულ კომპლექსში, რომ პეტრეს თან არ გაჰყოლოდა გედი. შეჯიბრებები ხომ სხვადასხვა ქალაქში ტარდებოდა (რიგა, ვილნიუსი, ხერსონი, ნიკოლაევი, სოხუმი და სხვა). რამოდენიმეჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონებიც გახდნენ.

თამრიკო უფრო დედიკოს მეგობარი იყო, მაგრამ გედი თანაბრად უნაწილებდა სიყვარულსა და ყურადღებას. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა რძლისა და სიძის მიმართაც.

მამაჩემი აკად. ირ. ტატიშვილი სამედიცინო ინსტიტუტში, 1958 წელს, რექტორის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო შემდეგ, მისაღები გამოცდების დამთავრებისას, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად ჩემი მამამთილი დაინიშნა. გედი, გაგრაში მუშაობის სავალდებულო ორი წელი რომ ჩაამთავრა, 1963 წელს, დაინიშნა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად და დოცენტად.



ბატონი
გიორგი მხეიძე

ჩემს გედის წილად ხვდა ბედნიერება, გაგრიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაეწყო თბილისში თერაპიის კათედრაზე ბ-ნ გიორგი მხეიძესთან და სიცოცხლის ბოლომდე იგი თავს თვლიდა მის მოწაფედ და ტრაბახობდა კიდეც ამით. ბატონი გოგი იყო საოცრად გაწონასწორებული, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, სრული ამ სიტყვის გაგებით, უდიდესი თერაპევტი და მასწავლებელი.

მათ შორის ისეთი ახლო და თბილი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, რომ თითქმის ყოველ საღამოს გედი ვიზიტზე მხეიძეებთან გადადიოდა. ისინი კი ჩვენს გვერდით სახლში ცხოვრობდნენ.



ბატონი გიორგი მხეიძის მეუღლე — სალომე კლიმიაშვილი

ბ-ნ გოგის მეუღლე, სალომე კლიმიაშვილი, დედაჩემის მეგობარი იყო, ბატონი გოგი და დედაჩემი კი თანაკურსელები. ხშირად უყვარდა ქ-ნ სალომეს და ეს ძალიან კარგად გამოსდიოდა ჩემი და გედის სადილზე ან ვახშამზე მიპატიჟება განსაკუთრებულად ლამაზ და გემრიელ საჭმელებს აკეთებდა და საოცრად გაფორმებულად

იცოდა მაგიდაზე მირთმევა სხვადასხვა სალათების და განსაკუთრებული კერძების. სუფრასთან ბ-ნი გოგი იხსენებდა დედაჩემთან და მამაჩემთან გატარებულ ახალგაზრდობის წლებს და ასე სასიამოვნოდ გადიოდა ხოლმე საღამოები.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრა 1963-64 წწ.

დგანან — *გურამ კიკნაძე, ნანა დოლიძე, ზურაბ ზედანია*

სხედან — *დოცენტები ვაჟა გვანცელაძე, გოგი მხეიძე, გედი გელბახიანი*

ეს სიახლოვე იმდენად მყარი და სუფთა აღმოჩნდა, რომ როცა გედი მოულოდნელად დაიჭირეს, ბ-ნი გოგი ტელევიზორს უყურებდა და უცბად აჩვენეს ნაცემი და ნაწამები გედი, თანაც

ასე მოულოდნელად; ბ-ნ გოგის იმ სალამოს ინ-სულტი დაემართა და რამდენიმე დღეში გარ-დაიცვალა. ერთი, რაც იმ წუთებში უთქვამს: — "1937 წელი დაიწყოო".

გედი გელბახიანი

გედი ჩვენს ოჯახში, ტატიშვილებთან, რო-გორც საკუთარი შვილი ისე შემოვიდა. ის თვი-თონ იყო ძალიან თბილი ბუნების და მისგან შორს იყო ყველანაირი კომპლექსები. გედი და ნუგზარი ძალიან მეგობრობდნენ, ბევრი საერთო ჰქონდათ. ორივე ძალიან იყო გატაცებული მუ-სიკით, ნუგზარი უფრო კლასიკით, გედი კი ბავშ-ვობიდან ჯაზით.



ნუგზარ ტატიშვილი

ერთხელ, გედის ციხეში ყოფნის პერიოდში, თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა კონცერტი: "ექიმები არ ხუმრობენ", რომელშიც სხვა ექიმებთან ერთად ნუგზარიც ღებულობდა მონაწილეობას და როიალზე ლისტის და შოპენის ნაწარმოებები შეასრულა. მახსოვს, ძალიან ამაყი ვიჯექი იმ კონცერტზე, მიუხედავად იმისა, რომ პეტრე და გედი ციხეში მყავდნენ. გედი რომ გამოვიდა, ნუგზარმა უთხრა, "გედი, კიდევ ჩატარდება ალ-

ბათ ასეთი კონცერტები და შენ აუცილებლად უნდა მიიღო მონაწილეობა“-ო.

დაუვიწყარი იყო ჩვენთვის წავკისში გატარებული საღამოები. ნუგზარის ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მე და გედი ხშირად ვიგონებდით მათ. მარტო ჩვენ ოთხნი, მე, ქეთი გედი და ნუგზარი ვიჯექით ბუხართან ხან ჩაიზე, ხან თითო ჭიქა წითელ ღვინოზე და ძალიან ბევრ საინტერესო ამბებს ვიგონებდით, ეს საღამოები ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო გასახსენებელია წარსულიდან. ვლაპარაკობდით ისეთ თემებზე, რაზედაც სხვასთან ვერ დაილაპარაკებ და მე ბედნიერი იმითაც ვარ, რომ ასეთი რძალი — ქეთი მყავს, რომელიც ყველა ჩემი ჭირის და ლხინის გამზიარებელია.

ნუცა ტატიშვილი და მისი ძმის ნუგზარის მეუღლე ქეთი ანჯაფარიძე

როდესაც თამრიკო სკოლას ამთავრებდა იმ წელიწადს, 4 დეკემბერს, მამაჩემი გარდაიცვალა, და თამრიკოს მასწავლებლებთან მომზადების ხარჯები ნუგზარმა ითავა, რადგან ჩემი ოჯახის თავკაცი, დიდი პეტრე, დაჭერილი იყო. გედის კი სამედიცინო ინსტიტუტში მის კუთვნილ პროფესორის წოდებას არ აძლევდნენ და ჩვენ მატერიალურად შეზღუდულები ვიყავით.

რატომღაც, ძალიან მიჭირს ნუგზარზე ვიხმარო სიტყვა გარდაცვალება, მირჩევნია ამ ქვეყნიდან წასვლა, და როცა ეს საშინელი ჟამი დაუდგა ჩვენს ოჯახს, მე და გედიმ საავადმყოფოში ის საშინელი ღამე, რა თქმა უნდა, თეთრად გავათენეთ და როდესაც ნუგზარის სუნთქვა შეწყდა (ეს მოხდა სულ 2 დღეში) გედიმ ცხარე ცრემლებით იტირა, და თქვა: “მე ძმა დავკარგეო“. მას არ უტირია ისე დედ-მამა. ჩემთვისაც მშობლების გარდაცვალების შემდეგ პირველი უბედურება იყო და ისე მწარედ განვიცადე, რომ მახსოვს წამლებით მაბრუნებდნენ დღესაც არ შემიძლია ნუგზარის ხსენება ცრემლების გარეშე.

გედი და ნუცა შვილიშვილებთან –
პატარა გედი და ოთოსთან ერთად

გედიმ 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1972 წელს – სადოქტორო დისერტაცია და ამას მოჰყვა ჩვენი ოჯახის აწიოკება, რაც ჩემი მამამთილის პეტრე გელბახიანის დაპატიმრებით დაიწყო. პეტრე გელბახიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ის საშინელი წლები, მისი ბიოგრაფია და მოგონებები გადმოცემული მაქვს წიგნში მოთმინებამ გაუძლოს, (თბ. 2006 წ.), მხოლოდ ერთს დავამატებ. საერთოდ, ნათესაობაში და, მით უმეტეს, ოჯახში, გედი გაჭირვების ტალკვესი იყო. თუ ვინმეს რაიმე დასჭირდებოდა, ღამის სამი საათიც რომ ყოფილიყო, გედი ყველას პატრონი იყო. ჩემი მამამთილი პეტრე და ჩემი შვილი პეტრეც ასეთები იყვნენ.

ეს, როგორც ჩანს, გელბახიანების თანდაყოლილი თვისებაა.

ჩემმა შვილებმა განიცადეს ბაბუას დაპატიმრება. იმ წლებში პეტრე იყო სსრ კავშირის კალათბურთის ჩემპიონი იუნიორებში, რამდენიმე წელი. ერთ-ერთი შეჯიბრების დროს, როდესაც ჩემპიონებს აჯილდოვებდნენ, როგორც კი მთავრობის მეთაურისთვის ცნობილი გახდა ვისი შვილიშვილი იყო პეტრე, დასვეს სკამზე და აღარ ათამაშებდნენ. იგივე განმეორდა პეტრეს

უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების დროს, იმ განსხვავებით, რომ აქ პეტრემ ძალიან იყოჩაღა. ყველა საგანში ხუთიანი მიიღო, გარდა ქართული წერისა, რაც ხელს არ უშლიდა მის ჩარიცხვას.

მამა-შვილი — გედი და პეტრე გელბახიანები

როდესაც იგი პირველი კურსის სტუდენტი გახდა, ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე, რომელთანაც შედიოდა უმაღლესი სასწავლებლები (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), მივიდა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორთან, საბჭოს წევრებთან და ხმამაღლა განუცხადა — გელბახიანი რომ ხუთებს ღებულობდა, გეძინათო?!

პეტრე გელბახიანი **თამრიკო გელბახიანი**

რა თქმა უნდა, ეს მოდიოდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისაგან. პეტრემ წარჩინებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მორფოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტურაში. 1988 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე დაუმტკიცეს სადოქტოო დისერტაციის თემა. ამავე დროს, მუშაობდა ალ. ალადაშვილის სახელობის ქალაქის მეორე საავადმყოფოს ბაზაზე არსებულ თერაპიიის კათედრაზე, პროფ. გ. რცხილაძესთან ასისტენტად.

გელბახიანების დიდი ოჯახი ციხეში დიდ პეტრე გელბახიანთან (ბაბუასთან) პაემანზე

სწორედ ამ წლებში ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში და ბოროტმა ძალამ კვლავ დაგვრია ხელი 1991 წლიდან. ასეთი ტკივილით დაიწყო მისი ცხოვრების დიდი გზა.

მე და გედი არასდროს გადავდგომივართ წინ, არ დაგვიშლია თავი გაეწირა სამშობლოსათვის. ღიმილით ვაცილებდი და მეორე დღეს ღამენა-

თევი, თვალცრემლიანი ველოდი, როდის დაბრუნდებოდა და აი, ერთხელაც აღარ დაბ-რუნდა. განათავსეს დახურული ციხის სიკვდილ-მისჯილთა კამერაში. ესეც არ იყო საკმარისი, 1992 წლის 13 სექტემბერს შეთითხნილი ბრალ-დებით დაიჭირეს გედიც და 13 წელი მიუსაჯეს. ციხეში ყოფნის დროს მოაწყეს ინსცენირება, თითქოს ბადრაგი, რომელიც კამერის გასაღებებს ატარებდა ანუ "კლუჩნიკი", ავად გახდა და მისი მაგივრობა დაავალეს ე.წ. "ნასედკა" — დ. ჩოგო-ვაძეს, რომელმაც ისე ცემა გედი, რომ სახეზე ჩექმის ანაბეჭდიც კი ეტყობოდა, დაუზიანდა ცალი ყური და თვალი. ვიღაცამ ტელეფონზე დამირეკა და გამაგებინა, რომ გედი სასტიკად არის ნაცემი და სასწრაფოდ გაახმაურეთო.

ჩავრთეთ ევროპის ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები, გაერო, და, შეიძლება ითქვას, გადავრჩით. დღესაც არ ვიცი, ვინ იყო ის ღვთისნიერი ადამიანი, ვინც დამირეკა. ამ საქმის გახმაურებაში დიდი წვლილი ბ-ნ გოგი ხოშ-ტარიასაც მიუძღვის.





Vater und Sohn Gelbachiani
in MENSCHENRECHTE 2/3 1993

Prof. Dr. med Gedewan Gelbachiani

der Folter in georgischen Gefängnissen einzusetzen.

Im Schreiben vom 7.6.1993 teilte das Auswärtige Amt der IGFM u.a. mit: "... Der Ständige Vertreter des Botschafters der Bundesrepublik Deutschland in Georgien führte in der Angelegen-

ამ მოვლენებთან დაკავშირებით მოგვყავს რამდენიმე ინტერვიუ გაზეთებიდან:

აღნიშნულთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მაშინდელი მინისტრი, ბატონი ვახტანგ ბოჯორიშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს:

"გეკითხებით, ჩაიფხანაშვილის დაჭერას რაიმე ეფექტი ექნებოდა? პეტრეს დაპატიმრებას კი დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს კარგად იცოდა და მშვენივრადაც გამოიყენა ცკ-ის ყოფილმა პირველმა მდივანმა. რა, ისეთი დარღვევები ყველა სფეროში არ ხდებოდა? თამამად ვაცხადებ, ბატონი პეტრე იმ სისტემის საუკეთესო წარმომადგენელი იყო...

გარდა იმისა, რომ პროფესიული თანამშრომლობა გვქონდა ერთამენთთან, პირადადაც ახლოს ვიცნობდი, ის არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ. საოცრად სამართლიანი იყო, თუმცა ხშირად ბევრ რამეზე "ზემოდან" ზეწოლის გამო უხდებოდა თვალის დახუჭვა. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში ყველა ზემოთ იყურებოდა.

მაგრამ, იცით, ამ ისტორიაში ყველაზე გამაღიზიანებელი რა იყო? როცა მის წყნეთის აგარაკთან დაკავშირებით ატეხეს აჟიოტაჟი — რამხელა სახლი აქვს წამოჭიმულიო. სირცხვილი იყო, უბრალოდ, ასეთი სახლები ხომ მაშინ ყოველ მეორეს ჰქონდა".

გაზეთი "ასავალ-დასავალი", 5 აგვისტო, 2007წ.
ინტერვიუ გედი გელბახიანთან:

> *სადღაც სარდაფში დაგდებულ ჩემს შვილს ავტომატმომარჯვებული კოტე გაბაშვილი ადგა თავზე, დედას აგინებდა, ხოლო მხედრიონელები წიხლებით სცემდნენ და უყვიროდნენ - "შეაგინე ზვიად გამსახურდიას"!*

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თერაპევტი და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი გედი გელბახიანი, რომელმაც გასულ კვირაში ერთადერთი ვაჟი პეტრე გელბახიანი დამარხა, "ასავალ-დასავალთან" საუბრისას საქართველოს უახლესი ისტორიის სისხლიან ქრონიკებს იხსენებს და არ მალავს, რომ, თუ არა ტოტალური ღალატი და შინაგამცემთა სიმრავლე, ქვეყანა ასეთ დღეში არ ჩავარდებოდა. სამედიცინო ინსტიტუტის ლეგენდარული რექტორისა და ცნობილი აკადემიკოსის პეტრე გელბახიანის ვაჟი, რომლის ოჯახიც ედუარდ შევარდნაძემ ჯვარს აცვა, თავსდამტყდარი უბედურების მიუხედავად, ცხოვრებას მუხლს არ უდრეკს და ამაყობს, რომ იმ საშინელ დროში, როცა საქართველოს ბედი წყდებოდა, შვილთან ერთად სამშობლოს ტანჯვა და ვაება ბოლომდე გაიზიარა.

— ბატონო გედი, ძალიან ვწუხვარ და გისამძიმრებთ ვაჟიშვილის ბატონი პეტრეს გარდაცვალებას...

— გმადლობთ, ღმერთმა დაგლოცოთ!... პეტრე იქ დავასაფლავე, სადაც მე უნდა დავმარხულიყავი, — მამაჩემისა და დედაჩემის გვერდით. დედაჩემი — თამარ ბეჭანიშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათლული იყო... სულ პატარა ყოფილა დედა, როცა 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქაქუცას ხელში აუყვანია, ბავშვისთვის შუბლზე უკოცნია და საქართველოდან წასულა. წასვლის წინ ქაქუცას თავისი რაზმის ძირითადი იარაღი პაპაჩემის, სიღნაღის მაზრის ადვოკატის — საბა ბეჭანიშვილისთვის ჩაუბარებია. ეს ამბავი დედისგან არაერთხელ მსმენია და მაშინ საერთოდ არ ვიცოდი, თუ ვინ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

— ბატონო გედი, ბევრისგან მსმენია, მაგრამ უშუალოდ თქვენგან მინდა გავიგო მამათქვენი, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი და ცნობილი აკადემიკოსი პეტრე გელბახიანი შევარდნაძემ რატომ დააპატიმრა?

— მამაჩემი ცეკას წევრი იყო და იმხანად შინ ძალიან აღელვებული ბრუნდებოდა... ხშირად ამბობდა, - არაფრით ამის გაკეთება არ

შეიძლებაო და გულისწყრომას ვერ მალავდა, - ცეკას პლენუმზე უნდა გამოვიდე და ყველაფერი ვთქვაო!... მოგვიანებით, როცა დაიჭირეს, სულ ნანობდა, რომ პლენუმზე არ გამოვიდა და შევარდნაძე არ ამხილა. მამა ცეკაში სპორტის, მედიცინისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმოქმედ კომისიას ხელმძღვანელობდა. საკითხი, რომლის განხილვის დროსაც მამამჩემი შევარდნაძეს ღიად დაუპირისპირდა, უმაღლეს სკოლაში ნარკომანიის პრობლემას შეეხებოდა. შევარდნაძე მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და თან მამაჩემის კომისიის წევრი. როგორც კი სხდომა დაიწყო, წამოხტა თურმე შევარდნაძე და მამაჩემს უთხრა ყველაზე მეტი ნარკომანი სამედიცინო ინსტიტუტშიაო! ეს მამაჩემს შევარდნაძემ გაუმეორა მეორეჯერ, მესამეჯერ... მაშინ პეტრე გელბახიანი წამოდგა და ედუარდს სახალხოდ მიახალა, — რა გინდა ჩემგან შენ ხარ პრიმიტიული ტვინის ადამიანი და ვერასოდეს გახდები აკადემიკოსიო! ეს იყო პირველი სერიოზული დაჯახება მათ შორის, რასაც მოჰყვა ბინძური ჭორების გავრცელება ჩვენი ოჯახისა და მამაჩემის წინააღმდეგ, — თითქოს მამაჩემს სამეცნიერო შრომები არ ჰქონდა დაწერილი,

თითქოს წყნეთის აგარაკი ოქროებით გვქონდა სავსე, თითქოს ოქროს სახელურები ეკეთა ჩვენი სახლის უკლებლივ ყველა კარს და ა.შ. შევარდნაძის დავალებით, სამი წლის განმავლობაში თხრიდნენ წყნეთში ჩვენი სახლის ეზოს, ოქროს ეძებდნენ... 2002 წელს, როცა პეტრე ციხიდან გამოვიდა, მაშინ ამოაშენა სახლის დანგრეული კედლები, თორემ გაუბედურებული იყო იქაურობა.

— რამდენი წელი მიუსაჯა შევარდნაძემ პეტრე გელბახიანს?

— თხუთმეტი წელი!...

— რამდენი წელი გაატარა აკადემიკოსმა ციხეში?

— ცამეტი წელი და ექვსი თვე!... მამაჩემის სასამართლო პროცესზე თითქმის არავის უშვებდნენ, მაგრამ ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ რაღაც სასწაულით დარბაზში შემოაღწიეს და ჩემს გვერდით დასხდნენ. ზვიადი მაშინ "ჰელსინკის ჯგუფთან" აქტიურად თანამშრომლობდა და მითხრა — ბატონი პეტრეს საქმის მასალები, დოკუმენტები მომეცი, იქნებ საზღვარგარეთ გაგზავნა მოვახერხოო!... — ზვიად, ჩვენს გამო რაიმე შარში არ გაეხვიო, ხომ იცი რა დროა მეთქი! — ვუპასუხე. მართლაც

ძალიან მოკლე ხანში ზვიად გამსახურდია დაა-პატიმრეს... გახდა თუ არა ჯუმბერ პატიაშვილი ცეკას მდივანი, მამაჩემი მაშინვე გაათავისუფლა. მამაჩემის გამო ჯუმბერმა რამდენჯერმე მომიხ-ადა ბოდიში, ხოლო ახლახან ასეთი რამ მიამბო: "მოსკოვში რომ ჩავედი, ცეკას ერთ-ერთმა მდი-ვანმა გაოგნებულმა მკითხა – ჯუმბერ ილიჩ, თქვენ რა, საქართველოში გარდაქმნა აკადემიკოს გელბახიანის გათავისუფლე-ბით დაიწყეთ"? ხომ ხედავთ, როგორ ჰყავდა შევარდნაძეს ჩვენი ოჯახი იზოლირებული და რა ინფორმაციები ჰქონდა დაგზავნილი მამაჩემის შესახებ!...

– **როდის დაიჭირეს პეტრე გელბახიანი?**

– 1973 წლის 7 აგვისტოს, როდესაც ჩემი დოქტორობის შესახებ დიპლომი გაფორმდა. ეს იმდენად რთული იყო მაშინ, მთელი ათი წლის განმავლობაში თერაპევტი და დოქტორი მხო-ლოდ მე ვიყავი თბილისში. შევარდნაძე იმაზეც აქტიურად მუშაობდა, რომ ჩემთვის დოქტორობა ჩამოერთმია, რასაც ვერ მიაღწია. ღმერთმა აც-ხონოს ძალიან ცნობილი მოსკოველი ჰე-პატოლოგ-ნეფროლოგი იყო პროფესორი ლოგინოვი, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა უარი, მონაწილეობა მიეღო

შევარდნაძის ბინაურ შურისძიებაში ჩვენი ოჯახის წინააღმდეგ.

— ბატონი პეტრე როდის გარდაიცვალა?

— 1996 წლის 13 მარტს, როცა მე და პეტრე ციხეში ვიჯექით!...

— გამოდის, რომ უფროსი პეტრე გელბახიანი შევარდნაძის მიერ თქვენს გაუბედურებასაც მოესწრო?

— დიახ!... ჩემმა მეუღლემ ნუციკომ რადიოს ხაზი გადაჭრა სახლში, რათა მამაჩემს არ გაეგო, რომ პეტრეს დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს. მამაჩემს სიმართლეს უმალავდნენ და ეუბნებოდნენ თითქოს პეტრეს თხუთმეტი წელი ჰქონდა მისჯილი.

დიტო ჩუბინიძე

გაზეთი "ალიონი", ინტერვიუ გედი გელბახიანთან:

მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ ბატ. გედი გელბახიანი თავისუფალია. დღეს იგი მე-4 საავადმყოფოს (ყოფილი მე-8 საავადმყოფო) შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკისა და თერაპიის კათედრასთან არსებული დიაგნოსტიკური ცენტრის დირექტორია. ბატონი გედი თითქმის ანაზღაურების გარეშე კურნავს ადამიანებს, მასთან მკურნალობა, როგორც მოგახსენეთ, მიზერულია.

ბატონ გედის სამსახურში ვესტუმრეთ. ძალიან დაღლილი დაგვხვდა, თუმცა "ალიონის" სიყვარულის გამო ინტერვიუზე (დაღლილობის მიუხედავად) მაინც დაგვთანხმდა.

— ბატონო გედი, თქვენ ექიმი ბრძანდებით, დამეთანხმებით, რომ ძალიან მადლიანი პროფესიაა, ექიმი ხომ მხსნელია მშველელი. უამრავი ადამიანი განგიკურნავთ, უამრავი ადამიანისათვის სიცოცხლე გაგიხანგრძლივებიათ... მაგრამ... დროის თუ ბედის უკუღმართობამ ეს ექიმი კაცი, რაღაცა დროით ჩამოაშორა ადამიანებს, რომელთათვისაც თქვენ მარტო ექიმი კი არა, მუდამ იმედის სხივი იყავით...

“იმ“ წლების მანძილზე თუ გიფიქრიათ, რომ როცა განთავისუფლდებოდით გაგეკურნათ ქართული პოლიტიკა და ქართველი პოლიტიკოსები?

— ციხეში ყოფნის დროს ხშირად ვფიქრობდი შემემუშავებინა რაიმე გეგმა, რომლის მეშვეობითაც ჩემს ქვეყანაში მდგომარეობა გამოსწორდებოდა და საქმე უკეთესად აეწყობოდა. ხშირად ვფიქრობდი ამაზე...

დღეს თავისუფალი ვარ და ნამდვილად აღარ მაქვს სურვილი ქართული პოლიტიკის განკურნებისა, არც პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება მსურს.

როდესაც ვუყურებ თუ რა ხდება საქართველოში არაფრის იმედი აღარ მრჩება.

“ქართულ პოლიტიკას და პოლიტიკოსებს კი ვუსურვებდი, რომ თავისით თვით გამოჯანმრთელებულიყვნენ.

— განთავისუფლების მერე, როდესაც საპატიმრო დატოვეთ და საკუთარ ოჯახს დაუბრუნდით, ყველაზე მეტად რასთან გაგიჭირდათ შეგუება?

— ყველაზე ძალიან სახლში უქმად ყოფნა გამიჭირდა. ეს ჩემთვის გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე საპატიმროში გატარებული წლები. ვერ წარმოიდგენთ სახლში ყოფნისას რა

ფანატიკურად მენატრებოდა ლექციის წაკითხვა, ვერ წარმოიდგენთ რამხელა ბედნიერებაა იმ სტუდენტებთან ურთიერთობა ვინც გიყვარს, ვისაც უყვარხარ და ენატრები... ეს ხალხი დღეს ჩემთან არიან და ვცდილობ, ცხოვრება შეძლებისდაგვარად გავუკვალო.

— ბატონო გედი, ვფიქრობ, საპატიმროში თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლები დატოვეთ.

— მართალს ბრძანებთ, ჩემი ცხოვრების ჯანსაღი ათი წელიწადი, რომელიც ვიღაცამ ჩემს დაუკითხავად სადღაც წაიღო.

— მომიტევეთ, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ გელბახიანების ცხოვრება ვიღაცამ შეგნებულად გააუკულმართა?

— თავისთავად უმძიმესი ცხოვრება გავიარეთ (ბატონი გედის ხმაში ბზარი შეეპარა). როგორი წარმოსადგენია ციხეში გატარებული 30 წელიწადი? ქვეყნიერებაზე საგვარეულო "წითელი წიგნი" რომ არსებობდეს, მთელი ჩემი ოჯახი სრული შემადგენლობით მოხვდებოდა მის ფურცლებზე.

— ბატონო გედი. წინასწარ თუ გრძნობდით, რომ უბედურება თქვენს კარებზეც მოაკაკუნებდა?

— სანამ მამას დაიჭერდნენ ისეთი მძიმე სიტუაცია სუფევდა გარემოში, რომ თვალნათლივ

იგრძნობოდა უბედურებას ვერც ჩვენ გადავურ-ჩებოდით....

ეს ჩემთვის უმძიმესი თემაა. უმორჩილესად გთხოვთ, ამ საკითხებზე საუბარი რაღაც დროით გვერდზე გადავდოთ.

— მიუხედავად იმისა, რომ პეტრე გელ-ბახიანის ტრაგედიის შემდეგ მრავალი ათეული წელი გავიდა, საზოგადოება დღესაც მართალ და შეუვალ პიროვნებად იხსენიებს მას.

გამოგიტყდებით და დღეს დილითაც ვფი-ქრობდი ამაზე. "იმ" წლებში დაჭერილი და და-პატიმრებული ადამიანები დღეისათვის პროკუ-რატურამ თითქმის ყველა გააამართლა. ვფიქრობ ძალიან მალე მოვა ის დრო, როდესაც მივიღებ დადგენილებას მამაჩემის სრული რეაბილიტა-ციის შესახებ. მენდეთ, ყველა ის ბრალდება, რომელთა საფუძველზეც დააპატიმრეს მამაჩემი, აბსოლუტურად უსაფუძვლო გახლდათ.

(ვიგრძენი, მრავალჭირგამოვლილ გედი გელ-ბახიანს საუბარი უძნელდებოდა.

ჩემს ცხოვრებაში პირველად გამიჭირდა თვა-ლი გამესწორებინა რესპოდენტისათვის... კითხ-ვის დასხმა ვეღარ შევძელი, ვერ გეტყვით რამ-დენ ხანს გასტანა სიჩუმემ... თ.ჯ.)

დუმილი ცრემლმორეულმა ქალბატონმა ნუცა გელბახიანმა დაარღვია, რომელმაც მისი მამამ-

თილის - დიდი პეტრე გელბახიანის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაიხსენა...

— ძალიან უხმოდ და ჩუმად გარდაიცვალა საწყალი. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში თითქმის აღარც კი საუბრობდა. უზომოდ წუხდა თავისი შვილისა და შვილიშვილის მდგომარეობაზე...

ეს ჩემი ცხოვრების უმძიმესი წლები იყო, რომელიც მარტომ გადავიტანე. ადამიანისათვის მშობლის დაკარგვა ძალიან მძიმეა, მაგრამ ათმაგად და ასმაგად მძიმე გადასატანია ეს ტრაგედია ციხის საკანში. არავისთვის გვითხოვია დიდი პეტრეს დაკრძალვაზე, რამოდენიმე საათით მაინც გამოეყვანათ გედი ბადრაგის თანხლებით, რათა სამარესთან უკანასკნელად მაინც ენახა მამა. ამის ინიციატივა დამიჯერეთ არც არავის გამოუჩენია.

ვფიქრობ, ეს ერთი ოჯახის დიდი ტრაგედია იყო და ჩემგან ამის შეხსენება, არავის არ უნდა დასჭირვებოდა.

მახსოვს ერთხელ მითხრა (საუბარია უფროს პეტრე გელბახიანზე) - "ძალიან მეცოდები ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილს რომ გხედავო"...

ყოველ დილით ორი ჩანთით ხელში მივდიოდი ორთაჭალის ციხეში, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხშირად ვაკიდან ფეხითაც მი-

წევდა ციხემდე მისვლა, ჩემი მამამთილი გზად მიმავალს აივნიდან გამაყოლებდა ხოლმე თვალს და ცრემლს მიმალავდა...

... მან უამრავი სათქმელი და საიდუმლო ჩაიტანა სამარეში...

— ბატონო გედი, მამისთვის არასოდეს გითქვამთ საყვედური მისი ასეთი პრინციპულობის გამო?

— როგორ გეკადრებათ, მისთვის მსგავსი რამ არასოდეს გვითქვამს, ჩვენი ოჯახი მის პრინციპულობას შეეწირა. მიუხედავად ამისა, მამისთვის საყვედურის თქმას ვერასოდეს გავბედავდით.

ან კი რა უნდა უთხრა ალალ-მართალ და პატიოსან კაცს, რომელსაც სიცოცხლეში რეპრესიები არ აკმარეს და მიცვალებულიც ნაქირავები ბინიდან გაასვენებინეს...

თეა ჯაჭვაძე

P.S. გვჯერა და იმედს ვიტოვებთ, რომ მალე დადგება დრო, როდესაც გელბახიანების ოჯახში დიდი პეტრე გელბახიანის მოსახელე უმცროსი პეტრე გელბახიანი დაბრუნდება და ეს გვარი და გენი ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად კვლავ დიდხანს, დაუღალავად და ვაჟკაცურად იბრძოლებს...

როგორ ტანჯა შევარდნაძემ გელბახიანების სამი თაობა

1993 წლის 6 აპრილს ბაქოში მყოფი პეტრე გელბახიანი უზენაეს საბჭოს დეპუტატ ვიქტორ დომუხოვსკისთან ერთად მოიტაცეს, თბილისში ჩამოიყვანეს და ასე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №7493810...

პეტრე გელბახიანი დივერსიაში, ტერორიზმში, ბანდიტიზმსა და ჯაბა იოსელიანის მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულეს... დაიჭირეს მისი მამაც გედი გელბახიანიც. გამძვინვარებული შევარდნაძე, რაკი მიზეზი მიეცა, არავის და არაფერს ზოგავდა...

მილიციონერ შევარდნაძეს ექიმები საშინლად ეჯავრებოდა, რადგან თვითონ ექიმობას ვერ ეღირსა, ხოლო გედი და პეტრე გელბახიანი მას სძულდა, როგორც სამედიცინო ინსტიტუტის რექტორისა და აკადემიკოს პეტრე გელბახიანის სისხლი, ხორცი და მონაგარი.

1995 წლის 6 მარტს პეტრე გელბახიანს შევარდნაძის სასამართლომ დახვრეტის განაჩენი გამოუატანა...

“პაპიდან შვილიშვილზე გადასული უბედურება“ – მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს გელბახიანების ჭიდილი ედუარდ შევარდნაძეს-

თან, რომელმაც არისტოკრატიზმის, წიგნიერების, განათლების, რაინდობისა და სამშობლოს თაყვანისცემის გამო ამ ძველთაძველი გვარისა და ოჯახის სამი თაობა, ფაქტობრივად, შეიწირა!...

პეტრე გელბახიანს პირადად არ ვიცნობდი, მხოლოდ ერთხელ ვნახე ბათუმის ქუჩაზე, ეროვნული მოძრაობის ჯარისკაცთა დიდ შეკრებაზე...

მაღალი კაცი იყო გელბახიანი, სიმპათიური, ლაპარაკობდა მწყობრად, გასაგებად, ციხის საკნის ფერი დაჰკრავდა და გარშემომყოფთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა... ერთი ფრაზა დამამახსოვრდა ცხადად, რომელიც მან საუბრის დასასრულს გამორჩეულად წარმოთქვა — "ეროვნული ძალები ისევ უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში"!...

იმის შემდეგ პეტრე გელბახიანი არ მინახავს...

იმის შემდეგ აღარც ბათუმის ქუჩაზე ვყოფილვარ...

დიტო ჩუბინიძე

დაბადების დღე საპატიმროში...
საუბარი პროფესორ გ. გელბახიანთან

ამას წინათ საშუალება მომეცა, ცოტა ხნით შევხვედროდი და მესაუბრა ცნობილ ქართველ მედიკოსთან, პორფესორ გედი პეტრეს ძე გელბახიანთან, რომელიც სასჯელს იხდის ავჭალის კოლონიაში. როგორც ცნობილია, იგი, ჩვენი საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგნელებთან ერთად, დაპატიმრებული იყო ვითომდა ამჟამინდელი ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებებისთვის.

— ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა მოგილოცოთ დაბადების დღე. 60 წელი შეგისრულდათ და მიუხედავად ამ ვითარებისა, როგორშიც იმყოფებით, მხნედ გამოიყურებით, — ვუთხარი მე.

— ჩემთვისაც სასიამოვნოა თქვენი მილოცვა. მაგრამ აი, აქ ვარ და... მიპასუხა სევდიანად და სახეზე კეთილი ღიმილი აუთამაშდა.

— ბატონო გედი, თქვენ უამრავი თაყვანისმცემელი გყავთ. ისინი თქვენზე ფიქრობენ და ყოველთვის გიხსენებენ. ეგებ თქვენც გადახედოთ თქვენს წარსულს.

— წარსული!... ფიქრიანად ჩაილაპარაკა მან და ერთხანს იყუჩა. მერე წყნარად თქვა: —

გრძელი გზა ყოფილა 60 წელიწადი... დავიბადე 1937 წელს თბილისში. დავამთავრე პირველი საშუალო სკოლა, მერე სამედიცინო ინსტიტუტი. თავიდან ვმუშაობდი გაგრის რაიონულ საავადმყოფოში. ამიტომ აფხაზეთის ტრაგედია ჩემთვის ორმაგად მტკივნეულია!... 1963 წელს დავბრუნდი თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე, სადაც სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა ეტაპი გავიარე. ამირჩიეს კათედრის გამგედ, 1972 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. მყავს მეუღლე და ორი შვილი... სხვა რა?... ჰო, დამაპატიმრეს 1992 წელს.

— თქვენი ოჯახი ექიმთა ტრადიციული ოჯახია, ბატონი პეტრე გელბახიანი, ქალბატონი თამარ ბეჟანიშვილი...

— დიახ, ჩემი მშობლების გარდა ჩემს მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ჩემმა სიმამრმა აკადემიკოსმა ირაკლი ტატიშვილმა, ასევე პროფესორმა გოგი მხეიძემ.

— მამათქვენი აკადემიკოსი პეტრე გელბახიანი...

— იგი იყო ადამიანი პირდაპირი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი, ერთგული თავისი ქვეყნის, ეროვნული სულისკ-

ვეთებით აღსავსე ძლიერი პიროვნება. ასეთი დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

— რას გვეტყოდით აწმყოზე?

— საქართველო დასაბამიდან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ველი იყო, ჭეშმარიტი ქართული ოჯახები, ფარულად თუ ღიად, მუდმივად იბრძოდნენ სამშობლოს გადასარჩენად. დღევანდელი საქართველო თავისი ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე იმითაცაა საინტერესო, რომ მკვეთრად გამოიკვეთა საზოგადოების რამდენიმე ფენა — ერთნი საქართველოს გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლესაც არ დაიშურებენ. მე პირადად, ამ ფენას ვეკუთვნი. არიან ისეთებიც, რომლებსაც სტკივათ საქართველოს ტკივილი, მაგრამ არ ძალუძთ ქმედება... ყოველი დღე მარწმუნებს ჩემი პოზიციის სისწორეში... იქნება გედი გელბახიანი ამ გარემოში, რომელშიც ახლა ვიმყოფები, მით უფრო მტკიცე და ურყევი გამოვა თავისუფალ საქართველოში, სხვა საქართველოში მე არც მაცხოვრებენ და ვერც მე ვიცხოვრებ!

— თქვენმა ვაჟიშვილმა პეტრემ სასამართლო პროცესის მსვლელობისას საჯაროდ განაცხადა: "მე ვამაყობ, რომ ასეთი მამა მყავს!"

— მე უფრო ვამყობ ჩემი შვილით, ვლოცულობ მისთვის, ღმერთმა არ მოაკლოს სიმტკიცე და ძალა!

— დღე დღეს მისდევს, გადის დრო. რით ცხოვრობთ აქ?

— ვცხოვრობ წლების მანძილზე ჩამოყალიბებული რეჟიმით. დილის 6 საათზე ვიწყებ ვარჯიშს... ეღიმება, მერე აგრძელებს ექიმი ვარ და ვეხმარები პატიმრებს, ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას და ვფიქრობ მომავალზე. ბევრს ვფიქრობ... შემიძლია გითხრათ, ჩემი ცხოვრების ხელახალი განვლა რომ მომიხდეს. პრინციპულ საკითხებში არაფერს შევცვლიდი.

მერე დაფიქრდა და წყნარად, მაგრამ მტკიცედ დაუმატა:

— მხოლოდ ქრისტეს გზით უნდა ვიაროთ! დაუღალავად უნდა ვიღვაწოთ და ვილოცოთ ჩვენი სამშობლოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

მანანა მიხაილოვა

“იბერია-სპექტრი“ 28.02. — 5.03.97წ.

მამულიშვილობით ვალმოხდილი

მისი დაბადების თარიღი, ავადსახსენებელი 1937 წელი ალბათ სიმბოლურია მის მიერ განვლილი ცხოვრების გზისა...

მაშინ კი, როცა მოულოდნელად, ჩუმად, "ტკბილი სიკვდილით" განერიდა ამქვეყნიურ საწუთროს, 2012 წლის აგვისტო იდგა... არდადეგების გამო სიჩუმე სუფევდა სამედიცინო უნივერსიტეტში და ამიტომ ვერ მოხერხდა ჩვენი გაზეთის საშუალებით გვეთქვა სათქმელი პროფესორ **გედი გელბახიანზე,** რომლის დამსახურება დიდზე დიდია სამედიცინო უნივერსიტეტისა და მისი სტუდენტების, პაციენტებისა და, განსაკუთრებით, ქვეყნის წინაშე.

2012 წლის აგვისტოში, გაზეთ "ქრონიკაში" მისი თანამებრძოლები, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, იუწყებოდნენ: **"სამძიმარს ვუცხადებთ გედი გელბახიანის ოჯახს და სრულიად საქართველოს ღირსეული მამულიშვილის, ეროვნული ხელისუფლების და ბატონი ზვიად გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლის, ყოფილი პოლიტპატიმრის, საზოგადო მოღვაწის და ცნობილი მეცნიერის, სამშობლოსთვის წამე-**

ბული რაინდის, გედი გელბახიანის, გარდაცვალების გამო“. ბედნიერია ადამიანი, რომლის მიმართაც ასეთი მრავლისმთქმელი და ბევრისდამტევი სიტყვები ითქმევა და განსაკუთრებით ხაზგასმულია იმ ღირსების შესახებ, რაც თანამდევი იყო პროფესორ გედი გელბახიანის პიროვნებისთვის. თუმცა, მეტი სიცხადისთვის, დავიწყოთ იქიდან, რომ ბატონი გედი ნამდვილად არ დაბადებულა ქუდბედიანი, თუ არ ჩავთვლით საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი ოჯახის წევრად მის მოვლინებას. მაგრამ, სწორედ, ამ ოჯახის თავკაცი იქცა მისი ტრაგიზმის მთავარ მიზეზად, რადგან ქვეყნის მაშინდელი პირველი პირის მიმართ, გედის მამის, პროფესორ **პეტრე გელბახიანის,** სამართლიანმა შეპასუხებამ, შურისძიების გრძნობით აღავსო პირველი კაცი... ჯერ ოჯახის თავს არ აპატია “ურჩობა“ და ციხეში გაამწესა, შემდეგ მის შთამომავლებს — შვილს, შვილიშვილს, სამშობლოსადმი კერპად ქცეული სიყვარული და თავდადება...

სკოლაში თვალსაჩინო გედი გელბახიანის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩარიცხვა და სანიმუშო სტუდენტობა ნამდვილად არ იყო გან-

პირობებული მამის რექტორობით, ამაზე ბატონი გედის ჯგუფელებიც აღნიშნავდენ, რომ მას სავსებით არ ეტყობოდა რექტორის შვილობა, უბრალო, კომუნიკაბელური, თავმდაბალი და კეთილი იყო. მისი კთილშობილების, ადამიანთა მიმართ სიყვარულისა და თანადგომის მაგალითია თუნდაც ის, რომ, სტალინური სტიპენდიის მფლობელს, ერთხელაც არ აუღია იგი, რადგან ურიცხავდა უპატრონო ბავშვთა სახლში აღზრდილ, გაჭირვებულ სტუდენტს.

1961 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ორი წელი იმუშავა ექიმ-თერაპევტად ქ. გაგრის რაიონულ საავადმყოფოში, 1963 წელს კი პროფესიული საქმიანობა გააგრძელა მშობლიური ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდგომში – ასისტენტად და დოცენტად. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1972 წელს – სადოქტორო დისერტაციები. 1986 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, ბატონ გედი გელბახიანს მიანიჭა პროფესორის წოდება და ერთი წლის შემდეგ აირჩია შინაგან სნეულებათა კათედრის გამგედ. მისი ძალისხმევით კათედრაზე

შეიქმნა ზოგადი პროფილის დიაგნოსტიკური ლაბორატორია, რომელიც შემდგომ წლებში ჩამოყალიბდა დიაგნოსტიკურ ცენტრად, სადაც დაინერგა მრავალი დიაგნოსტიკური მეთოდი, რომელთა უმრავლესობა დღესაც აქტიურად გამოიყენება კლინიკურ მედიცინაში, განსაკუთრებით — სისხლისა და შარდის ოსმოლარობის და ელექტროლიტების საერთო რაოდენობის განსაზღვრისათვის შექმნილი მეთოდი შესაბამისი ხელსაწყოთი. მაგრამ ჩასაფრებულმა ულმობელმა ბედისწერამ მისი მეცნიერული, პედაგოგიური თუ პროფესიული წინსვლა დაამუხრუჭა, რისი მიზეზიც გახდა ერთგული თანადგომა ეროვნული ხელისუფლებისადმი, უზომო სიყვარული სამშობლოსადმი...

1992 წელი... საქართველოს მოსახლეობის დიდი უმეტესობის ნების ჩახშობა, ეროვნული ხელისუფლების დამხობა და მისი იდეების გამტარებელთა მასიური დაპატიმრება ქვეყნის მოღალატეთა სტატუსით, რომელთა შორის აღმოჩნდა პროფესორი გედი გელბახიანი შვილთან — პეტრესთან ერთად.

ბატონ გედის 13 წლით აღეკვეთა თავისუფლება... 7 წელი დაჰყო ციხის კედლებში, 7 გაუ-

საძლისი წელი... "მძიმე ცხოვრების გზა გავიარე", — თავად აღნიშნავს იგი ერთ-ერთ ინტერვიუში. ყველაზე ძნელ პერიოდად 1992-94 წლებს ასახელებდა, როცა სრული განუკითხაობა სუფევდა საგამოძიებო ორგანოებში: პოლიციაში, ციხეში, უშიშროების ჯურღმულებში ხოცვა-ჟლეტა იყო გაჩაღებული. ამ წლებში, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ფიზიკურად და სულიერად დასახიჩრდა, რომელთა შორის თავადაც იყო, დაუნდობელი ცემისაგან ცალი თვალი და ყური დაუზიანდა, სული დაუსახიჩრდა, მაინც ვერ გატეხეს, ვერ შეურყიეს პრინციპი, ვერ აყარეს პატივი და ვერ ათქმევინეს აუგი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე... მან იცოდა, რომ დააპატიმრებდნენ, მაგრამ, მიუხედავად შესაძლებლობისა, არ დატოვა სამშობლო, რადგან გასიგრძეგანებული ჰქონდა ემიგრანტის ბედი, ამას ვერ გაუძლებდა, ამიტომაც არჩია თავისი ქვეყნის ციხეში ყოფნა...

ის, რაც ყველაზე მეტად ენატრებოდა პატიმრადმყოფს, საყვარელ სტუდენტებთან ურთიერთობა, თავისი ლაბორატორია, სამეცნიერო მუშაობა იყო, ედარდებოდა პაციენტები...

ვერაფრით დააჩოქეს, ვერც მაშინ, როცა ბატონი გედის ერთადერთ ძეს – **პეტრე გელ-ბახიანს,** "სამშობლოს ღალატისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ყაჩაღური დაჯგუფების წევრობისათვის" (?!) დახვრეტა მიუსაჯეს... ეს კი, მართლაც, გაუგონარი დაცინვა იყო ბედისა... ვერავინ ვერაფერს გააწყობდა მტარვალ "ხელისუფალთა" წინაშე... მამა-შვილმა ერთმანეთის გამხნევებით, გასალკლდევებით და პრინციპულობით თავად"იძია შური" სულთამხუთავებზე... ბატონ გედის მხნეობას და გამძლეობას უორმაგებდა ის, რომ როგორც თვითონ, პეტრეც საკუთარი პრინციპებისა და პირველი პრეზიდენტის იდეების შეუვალი ერთგული აღმოჩნდა. სამშობლოსთვის წამებული მამა-შვილი ღმერთმა არ გასწირა... საერთაშორისო ორგანიზაციის აქტიური ჩარევისა და მათი საქმეების ხელახალი გადასინჯვის შემდეგ ჯერ მამის, მოგვიანებით შვილის გათავისუფლება გახდა შესაძლებელი.

2001 წლიდან პროფესორი გედი გელბახიანი კვლავ იქნა არჩეული თსსუ-ის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგედ, რომელიც 2005 წელს გადაკეთდა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ზოგადი თერაპიის დე-

პარტამენტად და მას ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. ამასთანავე, იგი იყო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო, სადისერტაციო, პედიატრიული და თავისივე დეპარტამენტის საბჭოების წევრი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის წევრი. ბატონი გედის ხელმძღვანელობით შესრულდა მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მიუხედავად პატიმრობაში გატარებული ჯოჯოხეთური წლებისა, იგი მაინც მხნედ გამოიყურებოდა, რაც განპირობებული იყო სპორტისადმი მისი ყოველდღიური დამოკიდებულებით; ახალგაზრდობაში საქართველოს ჩემპიონს ცურვაში, რითაც მრავალჯერ უსახელებია სამედიცინო ინსტიტუტი, მთელი სიცოცხლის მანძილზე არ გაუწყვეტია კავშირი სპორტის ისეთ სახეობებთან, რომელიც ჯანსაღი ცხოვრებისთვის იყო აუცილებელი და იგი მისი ყოველდღიურობის თანამდევი იყო, თუნდაც პატიმრობაში...

გელბახიანების ოჯახის წევრთა დაპატიმრება 30 წლის მანძილზე გრძელდებოდა, მაგრამ მაინც ვერ მოუშალეს ფუძე, რის გამოც ბატონი გედი უდიდეს მადლიერებას გამოხატავდა სათაყვანებელი მეუღლის, **ნუცა ტატიშვილის,** მი-

მართ. ფასდაუდებლად მიიჩნევდა მის ამაგს ოჯახისადმი. პროფესიით ექიმმა, სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის კათედრის პედაგოგმა, აკადემიკოს **ირაკლი ტატიშვილის** ქალიშვილმა დაუნანებლად დატოვა სამსახური მძიმედ დაავადებული მამამთილის, პატიმრობაში მყოფი მეუღლისა და შვილის გამო. **"ეს იყო იჯახისადმი თავგანწირვა და ამას აკეთებდა დაუყოვდრებლად, ყოველგვარი წუწუნის გარეშე, რაც ძალას გვმატებდა და გვამხნევებდა"**, — აღნიშნავდა ბატონი გედი.

პატიმრობიდან თავდაღწეულს სიხარულის განცდა არ ჰქონია, რადგან იქ, ჯოჯოხეთში შვილი დარჩა...

გერმანიის ადამიანის უფლების დამცველი ორგანიზაციის წლიურ შეკრებაზე მეუღლესთან, ქალბატონ ნუცასთან, ერთად მიწვეულმა ბატონმა გედიმ, აუდიტორიას თხოვნით მიმართა უფრო მეტი აქტიურობა გამოეჩინათ თავისი დახვრეტამისჯილი შვილის გადასარჩენად. ოცნება აუხდა ბატონ გედის — დახვრეტას გადაურჩა ათლეტური აღნაგობისა და უძლიერესი, დაუმორჩილებელი სულის მქონე მისი ძე. თითქოს უნდა ამოესუნთქა ოჯახს, მაგრამ უსამართლობით

გულგასენილ ბაბუის სეხნია პეტრე გელბახიანს გულმა უმუხთლა... ამით ნამდვილად გაუსაძლისი უბედურება დაატყდა გელბახიანებს... ისევ სულის სიძლიერემ გააგრძელებინა სიცოცხლე ბატონ გედის... უნდა ეცხოვრა ქალიშვილი თამარისთვის, შვილიშვილებისთვის, დედობაჩამწარებული მეუღლის გასამხნევებლად, თუმცა დიდხანს ეს ვერ შეძლო... მხოლოდ სიკვდილმა დაამარცხა იგი...

პროფესორმა გედი გელბახიანმა ჭეშმარიტად ზნეობრივი, პატიოსანი საქმეებით იცხოვრა; იმდენად მტკიცე ჰქონდა სინდისი, რომ მის მიმართ ჩადენილმა მრავალგვარმა არაადამიანურმა ქმედებამ ვერ შეულახა იგი; არასოდეს დაურღვევია პრინციპი სამართლიანი ცხოვრებისა, არასოდეს განდგომია თავის ვინაობას, ამიტომაც იყო სხვისადმი ერთგულებით გამორჩეული; ყველაფერი, რაც გააჩნდა, სამშობლოს შესწირა... შვილიც შესწირა სამშობლოს...

ნათელი დაგადგეთ!

ამინ!

დალი გაბეშია

"სამედიცინო გაზეთის " რედაქტორი

პეტრეს და გედის ციხეში ყოფნის დროს ძალიან ძნელი წლები იყო. ქალაქში ტრანსპორტი არ მოძრაობდა. გედი ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს. პეტრე, მისჯიდან, მანამ სიკვდილით დასჯა გაუქმდებოდა, ორთაჭალის ციხის სიკვდილმისჯილთა კამერაში იყო. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ორ სხვადასხვა ადგილზე მისვლა, საჭმლის გადასაცემად. ხშირად ფეხითაც წავსულვარ. პეტრე რომ მენახა, არ უნდოდათ. მე კი ვიცოდი, რომ დებულებით თვეში ერთხელ მეკუთვნოდა მასთან შეხვედრა. ეს დებულება მოვაძებნინე უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ყიფიანს და მივაღწიე იმას, რომ თვეში ერთხელ მენახა პეტრე. წარმოიდგინეთ, გედის მდგომარეობა, რა განცდაში იყო. გულისფანცქალით ველოდი ყოველი თვის გასვლას, რომ შვილი მენახა და ეს გაგრძელდა 2 წელი და 6 თვე.

1996 წელს ევროპარლამენტმა გააუქმა სიკვდილით დასჯა, შეცვალეს 20 წლის პატიმრობით. საერთაშორისო ორგანიზაციების და ევროპარლამენტის ჩარევით, ჩემი მეგობრების თანადგომით მივაღწიეთ იმის დადგენას, რომ პეტრეს ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა

შეთითხნილი ბრალდება იყო. მათი მითითებით ეს საქმე დაშალეს, ათ წლამდე დაიყვანეს, ათი წელი კი უკვე მოხდილი ჰქონდა და 2002 წლის 5 სექტემბერს სასამართლოდან გაათავისუფლეს. რაც შეეხება გედის, ის 1999 წლის მაისში გაათავისუფლეს, რადგან საერთოდ დანაშაული არ ჰქონია, ეროვნული ხელისუფლების მომხრეობის გარდა, მაგრამ 7 წელი და 9 თვე მაინც მოუწია ციხეში ჯდომა, ერთი კაცის ჭირვეული სურვილის გამო.

ნუცა და გედი ციხიდან განთავისუფლების დღეს

გედი რომ გამოვიდა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თითქოს ცხოვრება ხელახლა დავიწყეთ, სრულ ბედნიერებას პეტრეს სახლში მოსვლა აკლდა და ესეც, როგორც აღვნიშნე 2002 წლის სექტემბერში მოხდა.

სახლში, მეგობრებთან ერთად
პეტრეს ციხიდან გამოსვლის დღე

ჩემი ოჯახის წევრების დაპატიმრების შემდეგ ჩვენ უმიზეზოდ, ერთი კაცის ახირების გამო რეპრესირებული ოჯახი ვიყავით, იმ რეჟიმმა შეიწირა ჩემი ოჯახის სამი თაობა — მამაკაცები.

წარმოიდგინეთ, რომ ხელ-ფეხი ბორკილებით გვქონდა შეკრული და არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო და არ ქონდა ამას აზრი.

პეტრეს ციხიდან გამოსვლის დღე
ნუცა და გედი მეგობრებთან ერთად

როდესაც უეცრად მოხდა შევარდნაძის თანამდებობიდან გადაყენება (თუმცა ის ეხლაც მშვენივრად გრძნობს თავს და ბაღნარში ჰაერზე ცხოვრობს) ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და სულ ვფიქრობდით რითი შეიძლებოდა ეს სიხარული აგვეღნიშნა.



მე და გედიმ გადავწყვიტეთ ეკლესიაში ჯვარი დაგვეწერა (ჩვენი შეუღლების დროს, კომუნისტურ რეჟიმში ეს მაინცდამაინც მიღებული რიტუალი არ იყო).

ნუცა და გედი შვილიშვილებთან ერთად ჯვრისწერა, მეტეხის ეკლესია

რა თქმა უნდა, ჩვენი მეგობრები დაგვეთანხმნენ (მიუხედავად იმისა, რომ პეტრე ფინეთში იმყოფებოდა ლტოლვლის სტატუსით. რადგან შევარდნაძე არ ისვენებდა და უნდოდა რაიმე მიზეზით ისევ დაეჭირა, ჩვენ კი ძალიან გვინდოდა რომ პეტრეც დასწრებოდა ამ რი-

ტუალს), მაინც გადავწყვიტეთ ჯვარი სასწრაფოდ დაგვეწერა და 2003 წლის 27 ნოემბერს მეტეხის ეკლესიაში მართლაც დავიწერეთ ჯვარი, ვინაიდან 28 ნოემბერს საშობაო მარხვა იწყებოდა. ეს მოვლენა ჩემი და გედის ცხოვრებაში მართლაც ღირსშესანიშნავი იყო, სხვა რომ არაფერი ბაბუაჩემი – იაკობ ტატიშვილი წმინდა მარინეს ეკლესიის მოძღვარი – დეკანოსი იყო და ეს მის წმინდა სულს ძალიან ესიამოვნებოდა.



ნუცას და გედის ჯვრისწერის დღე

ციხიდან გამოსვლის მერე, აწ გარდაცვლილი აკად. ვ. ბოჭორიშვილის, იმდროინდელი ჯანმრთელობის მინისტრის ბ-ნ ავთ. ჯორბენაძის, სამედიცინო ინსტიტუტის მაშინდელი რექტორის ბ-ნ რ. ხეცურიანისა და პრორექტორის ბ-ნ ბ. კილასონიას დიდი დახმარებითა და შუამდგომლობით, გედი კვლავ აირჩიეს შინაგან სნეულებათა კათედრის გამგედ, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ, სადაც გარდაცვალებამდე იმუშავა. იმ პერიოდში მე-8 საავადმყოფოს ძველი კორპუსის მეორე სართული დაკავებული ჰქონდათ აფხაზეთიდან ლტოლვილებს. გედის კათედრა მესამე სართულზე იყო განთავსებული, და იგი 1500 კვ.მ. ფართობს შეადგენდა.

ნუცა, გედი და ზურაბ ზედანია დიაგნოსტიკური ცენტრის ახალგაზრდა ექიმებთან ერთად

მე და გედიმ, რა თქმა უნდა, კათედრაზე მყოფი ახლო მეგობრების მონაწილეობით, ბევრი ფიქრის შედეგად გადავწყვიტეთ, კათედრის მიერ დაკავებული ოთახებიდან დარჩენილ უზარმაზარ ფართობზე დიაგნოსტიკური ცენტრი გაგვეხსნა, რაც გულისხმობდა გაჭირვებული და უმწეო ავადმყოფებისათვის 15 საწოლზე გახსნილ სტაციონარს. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ბ-ნმა ავთ. ჯორბენაძემ, რექტორმა რ. ხეცურიანმა, მაშინდელი ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ა. გედენიძემ და მისმა მოადგილემ თ. სინჯიაშვილმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. 2001 წ. 1 ივნისს გაიხსნა შპს ზოგადი პროფილის დიაგნოსტიკური ცენტრი. განყოფილებას ხელმძღვანელობას გედი უწევდა. განყოფილების გამგე იყო დოც. ზ. ზედანია.

ავიყვანეთ ახლადდამთავრებული ექიმები, რომლებსაც ჰქონდათ პროფილის მიხედვით აღებული სერტიფიკატები. გვქონდა ჩვენი ლაბორატორია, რენტგენოლოგიური კაბინეტი და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. ექთნები კვალიფიციური იყვნენ. ზოგადად, ზედამხედველობას ვე ვუწევდი, რადგან სამსახურიდან, ანუ სამედიცინო ინსტიტუტის კათედრიდან, უკვე წამოსული ვიყავი.

ნუცა და გედი მეგობრებთან ერთად ახალი წლის წვეულებაზე

მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ ნაყოფიერად ვღებულობდი მონაწილეობას მკურნალობის წარმართვის საქმეში, რადგან ამ დარგში ვმუშაობდი და ხელმეწიფებოდა. გედი მეხუმრებოდა ხოლმე, შენ რომ აქ არ იყო, რა გვეშველებოდა, თავს ვერაფრით მოვაბამდითო (ანუ მენეჯერის სტატუსსაც ვატარებდი). პაციენტები კმაყოფილები მიდიოდნენ. ძალიან სერიოზული და მძიმე კონტიგენტი იყო და ამიტომ შემოვიღეთ ჟურნალი, სადაც ისინი თავიანთ შეხედულებას და აზრს წერილობით გამოხატავდნენ. მუშაობაში ჩართულნი იყვნენ კათედრის დოცენტები, ასის-

ტენტები, ლაბორანტები. სტუდენტებისთვის საჩვენებლად იყენებდნენ ჩვენს პაციენტებს. მუშაობა ენთუზიაზმით მიმდინარეობდა. ამ პერიოდში მე და გედიმ გავიცანით ბრიტანული სამეფო არმიის სპეცდანიშნულების ჯარების გადამდგარი ოფიცერი ჯონ ოუენი. როგორც აღმოჩნდა, იგი შვიდი წელი თბილისში ცხოვრობდა. 60 წლის ჯონს მთელი მსოფლიო ჰქონდა შემოვლილი. ლაპარაკისას აღნიშნა, რომ ძალიან მოსწონს საქართველო, მისი ბუნება, ხალხი და ამ სიას ექიმებიც მიემატაო.

ნუცა, გედი და ზურაბ ზედანია დიაგნოსტიკური ცენტრის ახალგაზრდა ექიმებთან ერთად

ერთი კვირაა საავადმყოფოდან გამოვეწერე. ჩემი მეგობრები და აქაური ექიმები რომ არა, ალბათ, ახლა ცოცხალიც არ ვიქნებოდი. ჯერ სასწრაფო ოპერაცია დამჭირდა და შემთხვევით არჩეულ კლინიკაშიც კარგად მომიარეს, მაგრამ მითხრეს, რომ მეორე, უფრო სერიოზული ოპერაციაც მჭირდებოდა. ინგლისში წასვლაზეც დავფიქრდი, თუმცა ბოლომდე გააზრებული არ მქონდა ჩემი მდგომარეობის სირთულე. ჩემს მეგობრებს – ნუცა და გედი გელბახიანებს უნდა ვუმადლოდე, ახლა რომ ცოცხალი ვარ. მათ ისეთი სპეციალისტები დამახვიეს თავს, ალბათ, ასე ვერსად ვერ მომივლიდნენ, ბ-ნ გურამ ცინცაძე და თემურ ივანიშვილი ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები გახდნენ. მათმა პროფესიონალიზმმა და თავგანწირვამ გამაოცა. ჩემს გამოჯანმრთელებას კოლეგები რომ ულოცავდნენ, ჩვენ კი არა, ჯონი არის მაგარიო (გაზ. "ალია", 2003 წ. 10-11 ივნისი).

ეს შემთხვევა ჩვენთვის დიდი გამარჯვების ტოლფასი იყო, რამაც უფრო მეტი სტიმული მოგვცა მუშაობაში, მაგრამ 2006 წლისთვის ჩვენს კლინიკას გაუჭირდა, ჯანმრთელობის განყოფილებაში რეორგანიზაციის მიზეზით შეფერხდა ჩვენი შპს-ს დაფინანსება და კლინიკაც დაიხურა.

ნუცა და გედი

განყოფილებას შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს სტატუსი ჰქონდა და მისი დახურვის შემდეგ გედის კათედრა იმავე, მე-8 საავადმყოფოს, შედარებით, ახალ რვასართულიან კორპუსში გადავიდა. აქ გედის ჩააბარეს თერაპიული განყოფილების კურირება და ასე გაგრძელდა 2011 წლის აგვისტომდე.

ყურადსაღებია, რომ მე-8 საავადმყოფო, რომელიც ეკუთვნოდა ქალაქს და მუნიციპალური იყო, ექსპლუატაციაში გადაეცა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს. ამის შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტმა დაიწყო სარემონტო სამუშაოები და დროებით საავადმყოფომ ფუნქციო-

ნირება შეწყვიტა. ვარაუდობენ, 2013 წლის სექ-ტემბრისათვის საავადმყოფო ექსპლუატაციაში შევა.

ზოგადი თერაპიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელ-ლი, სრული პროფესორი გედი გელბახიანი, ასოც. პროფესორები ზურაბ ზედანია და გელა სულაბერიძე
ლაბორატორიული საქმის ხელ-ლი სრული პროფესორი თინა ბუკია და ასისტენტ-პროფესორი მარინა ტუღუში

გედის სული იხარებს, თუკი მისი ჩანაფიქრი განხორციელდება. ის ხომ მე-8 საავადმყოფოს გახსნის დღიდან სულ იქ მუშაობდა.

გედი და ნუცა

სახლში რომ მოვიყარეთ თავი, სიხარულისაგან გაბრუებულები ვიყავით. გედის ეგონა თავიდან დავიბადეთ. ორივე ვფიქრობდით ალბათ, უფალმა განსაცდელი გვაკმარა და ნანატრი წუთები დადგა, მაგრამ შინაგანად ვგრძნობდით და ხშირად ვუზიარებდით ერთმანეთს, რომ ათწლიან ტანჯვას უკვალოდ არ ჩაუვლია. გვეგონა, პეტრეს თავისუფლებამ თავბრუ დაახვია. ორივე ვხვდებოდით, რომ მასში რაღაც ხდებოდა და

დიდხანს ვერ გაუძლებდა. პეტრეს ოცნებები გაუცრუვდა, ამ სამყაროსთან გაუცხოვდა, თითქოს ჩქარობდა და განშორებისთვის ემზადებოდა. აღარ მინდა, თავი შეგაწყინოთ პეტრეს შესახებ საუბრით, რადგან წიგნში – "წინ უკვდავებისკენ – პეტრე გელბახიანი" (2010 წ.) ყველაფერია თქმული.

ნუცა და გედი პეტრესთან ერთად, 1990 წ.

მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, რომ, მისი სულიერი გულგატეხილობის ფონზე, მისმა უფროსმა ვაჟმა გედიმ გააკეთა არჩევანი და ცოლის მოყ-

ვანა გადაწყვიტა. პეტრე ამან ძალიან გაახალისა. გვეგონა, ამის შემდეგ ყველაფერი უკეთ წავიდოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მის გადასარჩენად ძალიან ბევრი ვიბრძოლეთ და სიკვდილისაგან ვიხსენით, სიკვდილი მაინც მოვიდა!

2007 წლის 7 ივლისს გედის ნიშნობა გვქონდა და 23 ივლისს უეცრად, ერთ წამში, პეტრე გარდაიცვალა.

პეტრე ვაჟიშვილის – გედის ნიშნობაზე
გედი გელბახიანი და ქეთი თოდრაძე

წარმოიდგინეთ, ნაწამები დედ-მამისათვის, შვილებისათვის, ეს როგორი გადასატანი იყო.



გედისა და ქეთის ნიშნობა
ბებია და ბაბუასთან ერთად

პეტრეს გარდაცვალებამ თავზარი დაგვცა. თუმცა, მე სულ რაღაც ცუდი წინათგრძნობა მქონდა მასთან დაკავშირებით და იმ საშინელ ორშაბათს, დილით, 7 საათზე ჩემმა ქალიშვილმა — თამრიკომ რომ დამირეკა, დედა, პეტრე არ ყოფილა კარგად და შენ და მამა ხომ არ ახვიდოდით წყნეთშიო, უკვე ვიცოდი და მთელი გზა გედის ვუმეორებდი, იცოდე, პეტრე, ალბათ, აღარ არის-მეთქი. წყნეთში რომ ავედით, სადაც მაშინ პეტრე თავისი ოჯახით იმყოფებოდა და თამრიკოს ქალიშვილიც, ანუ მისი დისშვილი,

მეუღლით, წყნეთში იყვნენ, რამდენიმე სასწრაფო იდგა, მაგრამ...

პეტრეს ცოცხალს ვერ მივუსწარით. ერთ წამში გაუჩერდა გული. აღარ მინდა, მკითხველი ამ დეტალებით დავძაბო. წარმოიდგინეთ, რა დატრიალდა ჩვენს ოჯახში. გედი და ჩემი შვილიშვილები ფაქტიურად არ მატირებდნენ, მათზე ეს საშინლად მოქმედებდა. ყველაფერი რომ დამთავრდა, გედი აიძულეს სამსახურში გასულიყო, მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით. ასეც მოხდა, შედარებით გადაერთო საქმეში, სტუდენტებთან მუშაობდა. რაც შემეხება მე, სახლში მარტოდ დარჩენილი, ხელისშემშლელი არავინ მყავდა, ძალიან ბევრს ვტიროდი. გედი, შინ რომ ბრუნდებოდა, ტირილის უფლებას არ მაძლევდა, ცდილობდა გარეთ გავეყვანე, რაღაცაზე რომ გადავრთულიყავი. სულ ცოტა ხანში ძლიერი სისუსტე ვიგრძენი და გულმაც შემაწუხა. გედიმ მაშინვე საავადმყოფოში წამიყვანა, ჩამიტარეს გამოკვლევები და აღმოჩნდა, შაქარი მქონდა მაღალი და გულზეც იშემიის სურათი გამოიკვეთა. დამიდგინდა დიაბეტი. ამის შემდეგ გედი ხელს აღარ მიშვებდა, ყველანაირად ცდილობდა ჩემს მდგომარეობიდან გამოყვანას. რასაკვირველია, დავიწყე გულის და დიაბეტის სათანადო

მკურნალობა. სასაფლაოზე სიარული ძალიან მიჭირდა, იმიტომ, რომ სულ მეგონა, პეტრე სადღაც იყო წასული, იქ კი ფაქტის წინაშე ვდგებოდი და ძალიან ცუდად მოქმედებდა ჩემზე. გედიმ გადაწყვიტა ჩემთან ერთად ხშირად აღარ ევლო სასაფლაოზე, მხოლოდ განსაკუთრებულ დღეებში, მე კი ეკლესიაში ვუხდიდი პანაშვიდებს და ამით ვიმშვიდებდი თავს.

ახლა, გედის გარდაცვალების მერე, გავიგე, რომ თვითონ, თურმე, თითქმის ყოველდღე დადიოდა სასაფლაოზე. ეს მესაფლავეებმა მითხრეს. როცა ვტიროდი, იმ წუთში გამაჩერებდა და მეტყოდა — "ნუცკა, შენ რომ რამე მოგივიდეს, ხომ იცი, მე უშენოდ ვერ ვიარსებებ" და მეც, სხვა გზა არა მქონდა, უნდა გავჩერებულიყავი.

ასე გავიდა რაღაც დრო. ამასობაში ჩემმა შვილიშვილმა გედიმ და მისმა რჩეულმა — ქეთიმ ხელი მოაწერეს და შექმნეს ოჯახი, ხელის შეშლა მე თვითონ არ ვისურვე, იმიტომ რომ პეტრეს ასე უნდოდა. წლისთავზე, ცოტა მერე, შეგვეძინა პატარა გოგო. პეტრეს თვითონ ძალიან უნდოდა შვილი გოგო ჰყოლოდა. გედიმ და ქეთიმ, შეუღლების შემდეგ, სურვილი გამოთქვეს, რომ ჩვენთან, ჩემთან და გედისთან,

გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად, ხოლო უმ-
ცროსი ვაჟი — დავითი დედამისთან დარჩა, ჩვენს
ძველ ბინაში, სადაც პეტრე თავისი ოჯახით
ცხოვრობდა.

გედის და ქეთის ჯვრისწერა

ბავშვის დაბადებამდე, ერთ საღამოს ვსხედ-
ვართ სამზარეულოში მე, ჩემი შვილიშვილი გე-
დი და ქეთი. უცებ გედი მეუბნება: ნუცა, იცი,
ჩვენ გადავწყვიტეთ, ბავშვი რომ დაიბადება, ნუ-
ციკო დავარქვათ. სულ არ მოველოდი, მაგრამ
ძალიან გამეხარდა. არ შევიმჩნიე და უთხარი, ეს
თქვენი გადასაწყვეტია და თუ ასე ფიქრობთ,

ძალიან სასიამოვნოა-მეთქი. მართლაც, დაიბადა ახალი სიცოცხლე, ოჯახში სიხარულის შემომტანი პატარა ნუციკო ისე, რომ ჩემი პეტრე ამას ვერ მოესწრო.



პატარა ნუციკო გელბახიანი

მე და გედიც გაგვახალისა ახალი ცხოვრების შემოსვლამ ოჯახში. გედი სულ გადაირია. ხშირად მეტყოდა, ჩვენი რომ არის, იმიტომ, თუ მართლა ძალიან კარგიაო. ნუციკო გაიზარდა ლამაზი, თავის ასაკთან შედარებით ძალიან გონიერი, აზრიანი და მოსიყვარულე ბავშვი. ძალიან უყვარდა გედი ბაბუ, ხშირად ჩაუჯდებოდა კალთაში და ეფერებოდნენ ერთმანეთს, ესიყვარულებოდნენ. თუ ნუცა რაღაც ცელქობას გა-

დააჭარბებდა, გედი, რა თქმა უნდა, ძალიან რბილად შენიშვნას მაინც მისცემდა, გაუჯავრდებოდა, მერე კი ყველასთან ტრაბახობდა, რასაც ნუციკო ბებია ამას უკეთებს და ეფერება, მაინც მე, მიუხედავად გაჯავრებისა უფრო უყვარვარო და ეს, მართლაც, ასე იყო.

პატარა ნუციკო გელბახიანი

ჩვენ შეგვეძინა სამი შვილთაშვილი:

თამრიკოს შვილის ოთარისაგან – თათა, პეტრეს შვილის გედისაგან – ნუციკო და თამრიკოს ქალიშვილის თიკასაგან – გიორგი. პეტრეს უმცროსი შვილი დავითი უცოლშვილოა.



ოთარის შვილი

თათა კიკალიშვილი

გედის შვილი

ნუციკო გელბახიანი

თიკას შვილი

გიორგი ცერცვაძე

გედიც და მეც სამივე შვილთაშვილზე ვგიჟდებოდით, ჩვენი სიამაყეები იყვნენ, გედი ყოველთვის მზად იყო თუ რაიმე საჭიროება მოითხოვდა, სამივესთვის ერთნაირი დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ ნუციკოს, რადგან ჩვენ ერთად ვცხოვრობდით, პეტრეს გაგრძელება იყო და მის მაგივრად შემოვიდა ახალი სიცოცხლე ოჯახში, მაინც სულ სხვა დატვირთვა ქონდა.

ამას წინათ ნუცასთან მიწოლილი ვიყავი და უცებ მკითხა:

— შენ ხომ არ დაბერდები და ცაში არ წახვალ?

— არა, მე ჯერ დიდხანს არ დავბერდებიმეთქი, ვუპასუხე და იცით რა მითხრა:

— მე მინდა, რომ შენ ყოველთვის გაპრანჭული იყო. გახსოვს, გედი ბაბუს კალთაში რომ ჩავუჯდებოდი და ვკოცნიდი-ხოლმე, ეხლა ისე მინდა, კალთაში ჩაუჯდე, ძალიან მოვეფერო და ვაკოცო.

მე თვალები ცრემლებით ამევსო და სასწრაფოდ წამოვდექი საწოლიდან. ერთი გამომხედა სერიოზულად და დიდი ადამიანივით მითხრა:

— ახლა შეწყვიტე ტირილი!



გედი ბაბუ შვილიშვილ თიკასთან ერთად

პატარა ნუციკოს დაბადებამ ოჯახს კვლავ დაუბრუნა ცხოვრების გაგრძელების სურვილი. გედი ცდილობდა, მე რაღაცით კიდევ უფრო გავეხალისებინე. ერთ დღესაც გამომიცხადა, მინდა მე და შენ ევროპაში წავიდეთ სამოგზაუროდო. იცოდა, ჩემი ბავშვობის ოცნება იტალიის ნახვა იყო და სწორედ ამიტომ დაიწყო ამაზე ლაპარაკი. მართლაც, თვითონ მოძებნა ტურისტული კომპანია. მათ ყველა საბუთი მოამზადეს.

ნუცა და გედი შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად

ოთარ კიკალიშვილი და ნუცა იმნაძე ჯვრისწერის დღე

ძალიან გამიჭირდა ამ ტურნეზე დათანხმება, მაგრამ ჩემი ახლობლები და მეგობრები მეუბნებოდნენ, თვითმფრინავში რომ ჩაჯდები, ყველაფერი ცუდი დაგავიწყდება და ნახე, როგორი ჩამოხვალო.

ნუცა და გედი წვეულებაზე
ბიძაშვილ გია სიმონიშვილთან და მის მეუღლე მარინე ჩიქოვანთან ერთად

2010 წლის 25 აგვისტოს რომში გავფრინდით. მართლაც, თვითმფრინავში ჩაჯდომა საკმარისი იყო, რომ კვლავ მეგრძნო, გედი, ჩემი სიცოცხლე, დასაყრდენი, იმედი და მანუგეშებელი,

ჩემთან ერთად იყო და ჩვენ მივდიოდით რაღაც ჯერ კიდევ წარმოუდგენელი სიამოვნების შესაგრძნობად.

ჩავფრინდით. ჩემი გადმოსახედიდან, ეს მართლაც ქალაქების მეფეა. მოვეწყვეთ სასტუმროში, ცოტა დავისვენეთ და გავედით სასეირნოდ. სასტუმრო ახლოს აღმოჩნდა ვატიკანთან. იმ უზარმაზარ მოედანს რომ მიუახლოვდით, ხალხით გადაჭედილს და ყველა შესასვლელთან რიგი იდგა, ნაკადს მივყევით და უცებ აღმოვჩნდით ცენტრალურ შესასვლელთან, შემდეგ უზარმაზარი დარბაზი...

რომი, 2010 წ.

რომი, 2010 წ.

თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ასე უმტკივნეულოდ აღმოვჩნდით შიგნით. სანახაობა ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ ვერც გადმოგცემთ. არავინ გვიკრძალავდა სურათების გადაღებას და ჩვენც უამრავი ფოტო გადავიღეთ. შემდეგ აღმოვჩნდით კინაკატეკას სურათებისა და კანდელაბრების გალერეაში, სადაც რაფაელის მართლაც ბევრი სურათი გადავიღეთ. ვატიკანი იმდენად შთამბეჭდავია, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია. ვნახეთ სიქსტეს კაპელა – მოხატული მიქელანჯელოს მიერ.

რომი, 2010 წ. ტრევის შადრევანი

ვნახეთ ბორგეზეს ვილა – ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ლამაზი პარკი – რომში. ენით აუწერელია ტრევის შადრევანი, იმდენად, რომ ხუთი დღის განმავლობაში მე და გედი ყოველდღე მივდიოდით. რომში ძალიან ცხელოდა და შადრევანთან ჯდომა გვაგრილებდა კიდეც. "ფანტანა დი ტრევი"-სთან ჩადიხარ ესპანეთის კიბით.

რომი, 2010 წ. ესპანეთის კიბე

აბსოლუტურად სხვა სამყაროში ვიყავი და თავი "რომაული არდადეგების" – გმირადაც კი წარმოვიდგინე. კიბეზე რომ ჩავდიოდი, ვიღაც ახალგაზრდა, ნაციონალურ ტანსაცმელში, გამომეცხადა და გადმომცა ერთი წითელი ვარდი. გედის თვალები გაუფართოვდა, მეც დავიბენი, თანაც მესიამოვნა. შადრევანთან რომ დავჯექით, აღმოჩნდა, რომ ეს "გმირი" მიწვევდა, სურათი რომ გადამეღო. მე და გედიმ ამაზე ბევრი ვიცინეთ და მერეც ხშირად ვიხსენებდით.

წმინდა პეტრეს ტაძარი და, საერთოდ, კორსოს მოედანი ძალიან დიდებულია. ქალაქში ორსართულიანი ავტობუსები დადის და შესაძლებელია, მთელი ქალაქი შემოიარო. განსაკუთრებით სასიამოვნოა მეორე სართული, ვინაიდან უდრო ნათლად ხედავ ყველაფერს.

ფლორენცია... ქალაქი-მუზეუმი ისევე, როგორც რომი, ოღონდ უფრო პატარა. თავი ზღაპარში მეგონა. ჩემი ცხოვრების უარყოფითმა წუთებმა სადღაც უკან გადაინაცვლა. "პალაცო მედიჩი" – უდიდესი სანახაობა თავისი სკულპტურებით. პალაცო პიტისა და პონტე ვეკიოს შორის კი არის პატარა ლამაზი ხიდი და აქეთიქით ძვირფასი მაღაზიები. ოთხი დღე დავყავით ფლორენციაში. გედის პატარა ბავშვივით უხა-

როდა ჩემი ხასიათის ცვლილება და თვითონაც ძალიან ხარობდა. შემდეგ მატარებლით გადავინაცვლეთ ვენეციაში. მატარებლიდან რომ გადმოვედით, ჩავჯექით წყლის ავტობუსში და ჩვენს სასტუმროში მივედით. სასტუმრო ძალიან კომფორტული იყო. ფანჯრიდან რომ გადავიხედე, დავინახე, ირგვლივ ბევრი სახლი იყო, სასტუმროები. ჩვენს სასტუმროსა და პირდაპირ სახლებს შორის პატარ-პატარა თაღოვანი ხიდები იყო გადებული, ქვეშ წყალი მოედინებოდა. აქაიქ გონდოლები იდგა და მგზავრებს ელოდა. ვისაუზმეთ და პატარა ქუჩით გავედით უზარმაზარ სან-მარკოს მოედანზე, გარშემო ულამაზესი ნაგებობებით, არნახული სილამაზის მოპირკეთებული ეკლესიებით, ძვირფასი მაღაზიებით, ზედ მოედანზე მოვაჭრეები თავიანთი პატარ-პატარა მაგიდებით ტურისტებს სთავაზობდნენ სუვენირებს. რამდენიმე სუვენირი პატარა ნუციკოსაც ვუყიდე. სამი დღის შემდეგ, როდესაც ვენეციას ვტოვებდით და წყლის ავტობუსით სადგურამდე უნდა მივსულიყავით. ვტიროდი, ამ ულამაზეს ადგილს არნახული ფერის და სილამაზის ყვავილებით რომ ვემშვიდობებოდი.

შემდეგი ჩვენი გაჩერება იყო იტალიის ზღვის კურორტი რიმინი, სადაც ძალიან ვისიამოვნეთ, დავისვენეთ შვიდი დღე და ისევ მატარებლით ჩავედით ბოლონიაში, საიდანაც გადმოვფრინდებოდით სამშობლოში. ასეც მოხდა. ბოლონიაში ერთი დღე-ღამე დავყავით, ამ ქალაქმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა. საერთოდ, იტალია მთლიანად ერთი უზარმაზარი მუზეუმია. შინ დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით და, თითქოს, იმ საშინელი მდგომარეობიდან ნაწილობრივ გამოსული ვიყავი. ცოტა ხანში გედიმ გამომიცხადა, შემდეგი ჩვენი ტური საფრანგეთიაო. მე იმდენად ვიყავი იტალიის შთაბეჭდილების ქვეშ, ვეხვეწებოდი, არ მინდა პარიზი, ისევ იტალიაში წავიდეთ-მეთქი, მაგრამ გაზაფხული რომ დადგა, მე თვითონ დავიწყე საბუთების მოწესრიგება და სამზადისი საფრანგეთში გასამგზავრებლად, ოღონდ მარშრუტი გედიმ შეადგინა, იმიტომ, რომ ის ერთხელ, სტუდენტობის დროს, ნამყოფი იყო და ისევ იმ შთაბეჭდილებით აღსავსე. მარშრუტი ასეთი გვქონდა: ნიცა — მონტე-კარლო — მარსელი — პარიზი — სტამბული.

ნიცაში რომ ჩავედით, სასტუმრო ცოტა მოშორებით იყო ზღვიდან, მაგრამ ისეთი სასიამოვნო იყო, როდესაც საბანაოდ მივდიოდით, ჩვენი დაკარგული აფხაზეთი მახსენდებოდა, მაგრამ ბევრად მოვლილი და კომფორტული. იქ დავყავით ორი დღე, მერე ჩავედით მონტე-კარლოში, მთაგორიანი მდებარეობით მწვანეში, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პორტმა, სადაც მსოფლიოს მილიონერთა იახტები იდგა. და ხშირად იყო შემთხვევა, როდესაც უძვირფასესი მანქანებით მოადგებოდნენ ძალიან ძვირფასად ჩაცმული წყვილები, მათ ხვდებოდნენ ამ იახტების მცველები. მართლაც, შთამბეჭდავი იყო, როგორ ღებულობდნენ ამ ახალგაზრდა წყვილებს, ულამაზესია მონაკო თავისი პარკით, ცოტათი გაგრის პარკს გაგონებს, იქვეა ოპერის თეატრი, კაზინოები, ძალიან ძვირფასი ფირმის მაღაზიები. მეორე დღეს წავედით მარსელში, ძველ ქალაქში, ლამაზი პორტით. ჩვენ ისეთ უბანში ვცხოვრობდით, სადაც იყო ბევრი აღმოსავლური მაღაზიები, ყველა რაღაცას გვთავაზობდა, ჭრელ ნაჭრებს, სუფრებს... იქ დავყავით სამი დღე.

ნუცა და გედი მეგობრულ შეხვედრაზე

მარსელიდან მატარებლით ჩავედით პარიზში. ვცხოვრობდით ცენტრში, გალერი ლაფაიეტთან და ოპერასთან ახლოს. პარიზში, მართლაც, დავისვენეთ ამდენი შთაბეჭდილებებიდან. ვიყავით ვერსალში, სენაზე გავისეირნეთ კატერით, რითაც გედიმ განსაკუთრებით ისიამოვნა. ჩვენმა მეგობარმა — მედეა თუშმალიშვილმა წაგვიყვანა ელისეის მინდვრებში, სადაც აღმართულია დე-გოლის დიდებული ძეგლი. ერთხელ მედეამ აიჩემა, იმ ქუჩაზე უნდა წაგიყვანოთ, სადაც ბრენდების მაღაზიებიაო. ეს ახლოს იყო დე-გოლის ძეგლთან. გედიმ გააპროტესტა, არ

გვინდა, მაინც არაფერს ვიყიდითო. მედეამ დაგვარწმუნა, როგორც მუზეუმში შესულხართ, ისე შევიდეთო. ქალებმა ვაჯობეთ, ძალით შევიყვანეთ გედი, მაგრამ დიდხანს არ გაგვიჩერდა და სან-ლორანის მაღაზიიდან გამოგვექცა. მე და მედეა დავდიოდით მარტო და გედი კი გარეთ სკამზე გველოდებოდა. პარიზში ყოფნა მოგვიწია ცხრა დღე. საღამოობით გამოვდიოდით პიგალზე, ერთხელ "მულენ რუჟიშიც" შევედით და ძალიან ნასიამოვნები დავრჩით. ადრე, მე და გედი სტუმრად მიგვიწვია ბუდაპეშტში ჩვენმა უნგრელმა მეგობარმა წყვილმა – ლასლომ და კატიმ. იქ დავყავით ორი კვირა, ძალიან ლამაზი სახლი ჰქონდათ "ვარდების მთაზე" (ასე ეძახდნენ), სადაც ახლოს ცხოვრობდა მაშინდელი უნგრეთის მთავრობის ლიდერი, იანოშ კადარი. დაგვპატიჟეს ბუდაპეშტში – "Moulin Rouge"-ში, ისე რომ, შედარების საშუალება მოგვეცა. პიგალი თავისთავად ძალიან საინტერესო და ექსცენტრული უბანია, ხანდახან უსიამოვნო განწყობასაც იწვევს, მაგრამ აყვავებული წაბლის ხეივანი ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხშირად ამიტომ ვსეირნობდით იქ. როგორც იქნა ჩვენი ფრანგული ვოიაჟიც დასრულდა და სტამბულით დავბრუნდით ჩვენს ქალაქში. სახლი და

ბავშვები ძალიან მოგვენატრა. ისინიც ჩვენი ჩამოსვლით ძალიან გახალისდნენ. ზამთრის დასაწყისში, სწორედ საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ, ბეთანიაში ვიყიდეთ სახლი. ზამთარი ძალიან მკაცრი აღმოჩნდა და მხოლოდ აპრილის ბოლოს დავიწყეთ სარემონტო სამუშაოები. ივლისში, მთელი ოჯახი, ავედით ბეთანიაში დასასვენებლად.

პეტრეს გარდაცვალების შემდეგ, ოჯახში ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, აღარავის გვინდოდა წყნეთისკენ გახედვა, განსაკუთრებით — ბავშვებს. ბაბუადან მოყოლებული სულ ცუდი მოგონებები გვაკავშირებდა და ოჯახმა გადავწყვიტეთ წყნეთის აგარაკი გაგვეყიდა. ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ბოლოს გავყიდეთ. ამასობაში პატარა ნუცა წამოიზარდა და საჭირო გახდა რაღაც საზაფხულო აგარაკი შეგვეძინა. მართლაც, მეგობრების დახმარებით, ვიყიდეთ სახლი ბეთანიაში, გავარემონტეთ და გამოვიდა ძალიან კომფორტული და სასიამოვნო დასასვენებელი, 600 კვ.მ ეზოთი.

2012 წლის ივლისში მთელი ოჯახი ავედით დასასვენებლად. ჩემი შვილიშვილები ეხლაც ხშირად იგონებენ, ბაბუა ასეთი გახარებული დიდი ხანია არ გვინახავსო. გედი საოცრად გაახ-

ალისა ამ აგარაკის მოვლამ. ძალიან მოსწონდა. ყველაფრის თავისი ხელით გაკეთება უნდოდა. პატარა ნუციკოს მოსწონდა ეზოში სირბილი, თამაში. ხალისობდა. გედი, რომელიც მთელი ცხოვრება ყოველდღე ვაკის პარკში დადიოდა და აქტიურად ვარჯიშობდა, აქაც, ყოველ დილით, სახლის ირგვლივ ტყეში გაისეირნებდა და მერე აღფრთოვანებული მიზიარებდა შთაბეჭდილებებს.

ნ აგვისტოს, სრულიად მოულოდნელად, სიკვდილი ისე გვეწვია, რომ გედიმ ერთი სიტყვის თქმა და დაძახებაც ვერ მოასწრო. ჩემკენ ერთი ნაბიჯი გადმოდგა, იქვე დაეცა და ჩემ თვალწინ აღმოხდა სული.

ახლა, თვალს რომ ვავლებ ჩემი და გედის თანაცხოვრების არცთუ იოლ წლებს, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სიყვარული არა თუ გამინელდა, პირიქით, უფრო გამიძლიერდა და გედი დღესაც ისე მიყვარს, როგორც ადრე, და უფრო მეტადაც. ამდენი უბედურების გადამტანი, თავს ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ, რადგან გედიმ ასეთი სიყვარული დამიტოვა და თვითონაც ამ დიდი სიყვარულით წავიდა ამ ქვეყნიდან. ჩვენ ერთსულ და ერთხორც ვიცხოვრეთ ორმოცდათერთმეტი წელი და მე ერთხელაც არ დამიწუ-

წუნებია მასთან გატარებუყლი ცხოვრების ძალიან რთული და, ამავე დროს, საინტერესოდ განვლილი წლების გამო (ახლობლებმა და მეგობრებმა ეს კარგად იციან). რა თქმა უნდა, მისი ფიზიკური არყოფნა ჩემთვის მართლაც გაუსაძლისია, მაგრამ მან მორალურად სავსე და ბედნიერი დამტოვა.

ძალიან მენატრება. ხშირად ვფიქრობ, რომ დროებით არის სადღაც წასული. ეს ასეც არის. მოვა დრო და ჩვენ კვლავ შევერთდებით.

დიდ სიყვარულს დიდი განცდა ახლავს თან. ასეთი სიყვარულის დაკარგვა ძალიან დიდი ტრაგედიაა, ვინაიდან ასეთი სიყვარული ამავე დროს დიდი ბედნიერებაა. ბედნიერი ვარ, რომ ვიცხოვრე იმ ადამიანის გვერდით, რომელმაც ეს დიდი გრძნობა მაჩუქა. ვისურვებდი, რომ ჩემი დარჩენილი ცხოვრება მისი ღირსი ვყოფილიყავი, რათა პირნათლად წარვსდგე მის წინაშე იქ, ზეციურ საქართველოში.



P.S. ეხლა მინდა ორიოდე სიტყვით პირადად გამოვემშვიდობო ჩემს გედის.

შენ იყავი ჩემი ცხოვრების ნაწილი, ჩემი დასაყრდენი, იმედი, მომფერებელი და ფარი, რომელიც ყველაფრისაგან და ყველასაგან მიცავდა: თუნდაც ის ფარი იყავი, რომელმაც ცხოვრებაში ყველაზე დიდი ტრაგედიისგან დამიფარა, ყოველნაირად ცდილობდი რაც შეგეძლო შეგემსუბუქებინა ეს უმძიმესი დანაკლისი – ჩვენი ერთადერთი ვაჟკაცის დაკარგვა, მაგრამ მინდა გითხრა, რომ შენ ისეთი ძლიერი იყავი და ჩვენმა დიდმა სიყვარულმაც შეგაძლებინა, რომ ნაწილობრივ გამომიყვანე ამ უმძიმესი მდგომარეობიდან, რადგან კვლავ გამიჩნდა შენს გვერდით ყოფნის და შენთან ერთად გარეთ გასვლის სურვილი.

ეხლა კი დავრჩი მარტო და ორი უძვირფასესი ადამიანის დაკარგვის უმძიმესი ტკივილი მე უნდა ვზიდო. შენ ყოველთვის იცოდი და გჯეროდა ჩემი, რომ მე ძლიერი ქალი ვიყავი და ამ ტკივილსაც გავუძლებდი, მაგრამ ვაი, ამ გაძლებას; ეს ყოვლად აუტანელი სიმძიმეა ჩემთვის.

ციხიდან განთავისუფლების დღე

ჩემო სიცოცხლევ და ცხოვრების ნაწილო, იმ-ედს არ ვკარგავ, რომ უფლის ნებით ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს მარადისობაში.

შენი ნუციკო

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

გედი გელბახიანის მოსაგონარი

ციცი გაბესკირია და გედი

გედის გარდაცვალება ყველასათვის მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო. დიდი გულისტკივილი და ცრემლი ახლდა თან. ბევრს უჭირდა ამ აზრთან შეგუება იმიტომ, რომ ასაკის მიუხედავად ხედავდნენ მხნეს, ხალისიანს, ახალგაზრდულად შემართულს, იცინოდნენ და უყვარდათ, პატივს სცემდნენ და ეიმედებოდათ ოჯახის წე-

ვრებს, ახლობლებს, კოლეგებს, ნათესავებსა თუ მეგობრებს. ზოგი ყოველ დილით ხვდებოდა ვაკის პარკში სპორტულ ფორმაში მოვარჯიშეს, ზოგი ლექციაზე ხედავდა მას, სადაც იგი საინტერესოდ უკითხავდა საყვარელ საგანს ქართველ თუ უცხოელ სტუდენტებს. სადაც უნდა ყოფილიყო, სამეცნიერო კონფერენციასა თუ უბრალოდ ახლობლების თავშეყრაზე, მუდამ პეწიანად, ელეგანტურად გამოიყურებოდა. კარგად ცურავდა, ძველი მოცურავე იყო, საქართველოს ჩემპიონი, ეტყობოდა კიდეც, ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, თითქოს მასზე იყო ნათქვამი სმაც შეეძლო, მაგრამ წრეგადასული სმა და ღრეობა სძულდა, თამბაქოს მტერი იყო, თავად ხომ არასოდეს მოუწევია, და როგორც ჭეშმარიტი ექიმი, სხვებსაც უკრძალავდა. მწეველი ახლობლები და მეგობრები ცდ ილობდნენ მის მკაცრ მზერას გაქცეოდნენ და დაემალათ სიგარეტი.

ჩუმი ბაასი უყვარდა, ზოგადი, არაფრისმთქმელი და ბრჭყვიალა სადღეგრძელოები აღიზიანებდა. თუ სუფრაზე ვინმეს საინტერესოდ მიიჩნევდა, შეეძლო ამ პიროვნებასთან მთელი საღამო ესაუბრა, და თუ სათანადოდ განეწყობოდა და ძალიან სთხოვდნენ, ჯაზურ კომპოზი-

ციებსაც შეასრულებდა ფორტეპიანოზე, უკრავდა უბრალოდ, დიდი მუსიკალური გემოვნებით.

საოცარი ბედის აღმოჩნდა, რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება განვლო. გამორჩეული და უჩვეულო იყო მთელი მისი ოჯახის ისტორიაც, რომელიც ქვეყნის და ეროვნული მოძრაობის ისტორიასთან იყო გადაჯაჭვული და რომელსაც მუდამ თან ახლდა ხალხის სიყვარული. თავად ყოველთვის უბრალოდ, სადად იქცეოდა. ვერც შეატყობდით, რომ ცნობილი და სახელოვანი ექიმების ოჯახიდან იყო. სწორედ ამ ოჯახმა გაიღო ყველაზე მეტი მსხვერპლი ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში, მაშინ, როცა ზნეობრივი კომპრომისის შემთხვევაში საკუთარი პროფესიონალიზმის წყალობით, გედის, ისევე, როგორც მის ვაჟს, პეტრეს, სულ ცოტა, მშვიდი და უშფოთველი ცხოვრება ჰქონდათ გარანტირებული, მათ კეთილდღეობასაც არაფერი დაემუქრებოდა, მაგრამ მათ სხვა გზა აირჩიეს, დიდ განსაცდელს მისცეს თავი და გედიმ, კეთილმოწყობილი კლინიკების ნაცვლად 7 წელი ციხეების ჯურღმულებში გაატარა.

საოცარი იყო მისი თავმდაბლობაც, თითქოს არაფრად აგდებდაო მის მიერ განვლილ განსაცდელს. ერთხელ, მახსოვს, ციხიდან ახალი გამო-

სული იყო, ერთად მოვდიოდით ჭავჭავაძის გამ-ზირზე. ხალხი გვაჩერებდა, ნაცნობი თუ უცნობი, სიყვარულით მოიკითხავდნენ, თავისუფლებას ულოცავდნენ, აღფრთოვანებით შესცქეროდნენ, მომიბრუნდა და მითხრა: "რა არის, რა ამბით მხვდებიან, ნეტავ ასეთი რა გამიკეთებიაო?" "როგორ თუ რა, ჯერ ერთი შვილი გყავს გმირი, სიკვდილმისჯილთა საკანს გაუძლო (პეტრე ჯერ კიდევ ციხეში იყო ცგ.), და შენ რა, შენც არა-ფერი დაგკლებია, 7 წელი მერაბ კოსტავა არ მჯდარა ციხეში და რა, ხალხის სიყვარული აღარ დაიმსახურეო?" გაეცინა და შემდეგ ამ ამ-ბავს ხშირად იხსენებდა ხოლმე.

თავისი წინაპრების მსგავსად გედი საოცრად პრინციპული და პირდაპირი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა "კონფორმისტ კაცუნებს" გადააწყ-დებოდა, ვითომ "ეროვნულებს", არც მწვადს რომ სწვავდნენ და არც შამფურს, გედის, პე-ტრეს და სხვათა ხარჯზე რომ მოჰქონდათ თავი, ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს იშველიებდნენ და ხალხს აბრუნებდნენ თავიანთი "პატრიოტიზმით", ერთი პარტიიდან მეორეში ხტოდნენ და გედის-თანაც "მოესვლებოდათ", მაგრამ მისი ცივი მზე-რა და პირდაპირი ნათქვამი აჩერებდათ და მა-შინვე უბრუნდებოდნენ თავიანთ "ცრუ ყაყანით" გაჯერებულ კეთილდღეობას. ასეთებისათვის გე-

დი გელბახიანი ის შემორჩენილი სინდისი იყო, რომელიც მათში იღვიძებდა და კეკლუცობისა და თვითკმაყოფილების სურვილს უკარგავდა მათ.

გედიზე, მის ოჯახზე კიდევ ბევრი დაიწერება, ამ პატარა მოგონებით მხოლოდ პატივს მივაგებ მის ხსოვნას და მსურს იგი მის ერთგულ მეგობარსა და თანამეცხედრეს ნუცა ტატიშვილს მივუძღვნა, ვინაიდან სამაგალითო და განსაცვიფრებელი იყო მათი სიყვარული, რომელმაც წლებს გაუძლო და სამწუხაროდ, მაშინ შეწყდა, როდესაც ისინი ყველაზე მეტად სჭირდებოდნენ, ვისზე უფრო გვწყდება გული, გედიზე, რომელიც ზეციურ საქართველოში შეუერთდა, თუ ნუცაზე, რომელიც ფრთამოტეხილი, ცდილობს შეეგუოს იმ არსებობას, რომელსაც გედის გარეშე ცხოვრება ჰქვია, ერთი კი შეიძლება ითქვას, გედის დაკარგვით გამოწვეულ სევდას ამსუბუქებს მხოლოდ შეგრძნება იმისა, რომ იგი ამ ქვეყნიდან ტანჯვა-ტკივილის გარეშე წავიდა და თან გაიყოლა დიდი და ერთგული სიყვარული, რომელიც არასოდეს ჩაქრება და რომელიც მას და ნუცას კვლავ შეაერთებს მარადისობაში.

ციცი გაბესკირია

გამოთხოვება ბ-ნ გედისთან!

“მეგობრის სიკვდილი საკუთარი სულის ნაწილის სიკვდილს ჰგავსო“, ფლობერს უთქვამს.

ბატონ გედისთან ჩემი ურთიერთობა ათეულ წლებს ნამდვილად არ ითვლიდა; ვერც იმას ვიტყვი, რომ ერთმანეთთან ყოველდღიური ურთიერთობა გვქონდა, თუმცა ჩვენი მეგობრობა ნამდვილად “ხარისხიანი “ იყო. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, სამარადჟამო სასუფეველში გადასახლებულმა მისმა სულმა ჩემი სულის ნაწილიც თან რომ გაიყოლა. ეს ის დანაკლისია, რომელიც გულს, გონებას და მით უფრო სულს დააჩნდება.

იშვიათი ბედის და ტანჯვა-წამებით სავსე ცხოვრებით იცხოვრა ამ მართალმა დიდმა ადამიანმა. ის თავზე დამტყდარი ბედის უკუღმართობებს ბიბლიური იობის დარი მოთმინებით იტანდა და ბოროტების წილ ყველგან მოუკითხავ მადლს ტოვებდა.

იცხოვრა ღირსეულად, აღესრულა და საწუთო ცხოვრების გარდამსვლელთ მაგალითი დაგვიტოვა, თუ როგორ უნდა ვიქმნათ ურცხვინელი აღსასრულის ღირსნი.

ნათელი დადგომოდეს ბატონი გედის სულს!

კახაბერ ჭელიძე

შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის

პროფესორი

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის

ფაკულტეტის დეკანი

მეგობრის გახსენება

მეგობარი ხომ ნაწილია ჩემი სულისა
ან კიდევ: მითხარ ვისთან ხარ და
გეტყვი ვინცა ხარ!

გოეთე



ზურაბ ზედანია და გედი

ამას წინათ ნუცამ დამირეკა და მითხრა: გედის წლისთავი მინდა გადავუხადო და შენს მეგობარზე რაიმე მოიფიქრე და ქაღალდზე გადმოი-

ტანეო. მას ხომ შენზე ახლო მეგობარი არ ჰყოლია, შენ ეს არ გაგიჭირდებაო. გაჭირვებით ცხადია არ გამიჭირდება, მაგრამ იმდენი რამე მაქვს მოსაგონარი, რომელი ერთით დავიწყო, არ ვიცი; შევეცდები თანმიმდევრული ვიყო. 52-წლიანი მეგობრობის მანძილზე ჩემი და გედის თავს გადამხდარი პერიპეტიებისა — ცალკეულ ეპიზოდებად დავშალო და ასე მივაწოდო საზოგადოებას...

ჩვენი მეგობრობა დასაბამს იღებს 1955 წლიდან, როდესაც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები, ფიზიკის სემინარულ მეცადინეობაზე ერთად მოგვიწია ამოცანის შესრულება. ეს იყო ალბათ უფლის ნება!... ჩვენ ხომ მანამ ხეირიანად არც კი ვიცნობდით ერთმანეთს. ის დღე იყო და ის დღე, როგორც იტყვიან მჭიდროდ ჩავჭიდეთ ხელი ერთმანეთს და სიცოცხლის ბოლომდე ასე ვიარეთ. მთელი სტუდენტობის პერიოდში, — კავშირის ქუჩა №1ª-ში — გედის ბინაში, ერთად ვემზადებოდით ჩათვლებისათვის, საკურსო გამოცდების, თუ სახელმწიფო გამოცდებისათვის. ამ ხნის მანძილზე არც თუ იშვიათად, ღამე სახლში დავრჩენილვარ. მახსოვს ბიძია პეტრე, რომელიც თავიდან ინსტიტუტის პარტკომი იყო. ხოლო მოგვიანებით — თუ არ ვცდები 1959 წელს

— ინსტიტუტის რექტორი გახდა, დიდ ყურადღებას იჩენდა ჩვენდამი: აუცილებლად ჩვენს სამუშაო ოთახში შემოიხედავდა: ინტერესდებოდა: როგორ მიდის სწავლის საქმეო; ხომ არაფერი გიჭირთ, აბა თქვენ იცით უნდა მასახელოთო. თამარა დეიდა — გედის დედა — საოცრად თბილი, მოსიყვარულე ქალი, პირიდან, როგორც იტყვიან, თაფლი ამოსდიოდა, მშობელი დედასავით თავს მევლებოდა, საჭმელს დროზე გვაწვდიდა, ახლა ცოტა დაისვენეთ, ისადილეთ და მერე გააგრძელეთ მეცადინაობა, ნუ გადაღლით ტვინსო. თამარა დეიდა, რომელიც დოცენტად მუშაობდა, ფარმაციის კათედრაზე, როგორც კი ბ-ნი პეტრე რექტორად დაინიშნა, იმ დღიდან სამსახურს თავი დაანება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 60 წლის არც იყო; მთელი დარჩენილი ცხოვრება ოჯახს მიუძღვნა. მეცადინეობით როგორც კი დავიღლებოდით, გედი შესვენებას გამოაცხადებდა ნახევარი საათით; მიუჯდებოდა როიალს და სხვადასხვა საფორტეპიანო ნაწარმოებებს უკრავდა. ეს იყო მისთვის აქტიური დასვენება — ასე ეძახდა თავად. გედის გატაცება იყო ცურვა, ცურავდა სტილში, თანრიგოსანი იყო. არაერთ საქალაქო თუ საინსტიტუტო შეჯიბრების გამარჯვებული გამხდარა. გედი

სპორტული ჟინით შეპყრობილი პიროვნება იყო. მთელი ცხოვრების ძირითადი ნაწილი სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას მოახმარა. გედიმ მთელი მისი ცხოვრება წესიერი ცხოვრებით იცხოვრა, საოცარი ნებისყოფიანი იყო. მე არ მინახავს გედი ხელში პაპიროსით, ან გადამთვრალი, თუ წონამომატებული. ქარში თუ წვიმაში კუს ტბაზე დილით 3-5 კმ არ ერბინოს. ასეთი რეჟიმით იცხოვრა მან. სამსახურში ყოველთვის დროზე მოდიოდა, ვერ იტანდა თანამშრომელთა დაგვიანებას. ამას ქადაგებდა იგი სტუდენტებთან ლექცია-პრაქტიკულზე, რომ ახალგაზრდობიდან უნდა შეეგუო წესიერ ცხოვრებას და აქტიური სპორტი უნდა იყოს აუცილებელი დილის რაციონი, თუ გსურთ დიდხანს შეინარჩუნო გავლენა, ამ საქმეში მეც ავყევი — "გადამედო გედის სენი". ახლა როცა ვიგონებ ჩემს განვლილ გზას, ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, როცა აქტიურ დილის ვარჯიშით ვიყავი დაკავებული თითქმის 48 წლამდე. მხოლოდ თავსდატეხილმა მოულოდნელმა ტრავმამ — მამა უეცრად გარდამეცვალა, ამ უბედურებამ პაპიროსი ხელში ამაღებინა და, ცხადია, აქტიურ დილის სპორტულ ცხოვრებას თავი მივანებე. გედი ჩემმა ამბავმა ძალიან შეაწუხა, დიდად გა-

ნიცადა – რამდენჯერმე ძმურად მთხოვა, რომ ხელიდან გამეგდო პაპიროსი და ისევ დავბრუნებოდი ძველებურ ცხოვრებას, რაც ძალიან გამიჭირდა, რამდენიმეჯერ მქონდა ამის მცდელობა, მაგრამ ვერაფრით ვერ შევძელი ეს.

გედის სპორტის სახეობიდან განსაკუთრებით უყვარდა კალათბურთი და ფეხბურთი. კალათბურთი იმიტომ, რომ მისი ვაჟი პეტრე, საკმაოდ პერსპექტიულ მოთამაშედ ჩამოყალიბდა და "დინამოს" დუბლებში აიყვანეს. მახსოვს საკავშირო ჩემპიონატზე 16 წლიანებში ოქროს მედალი მოიპოვეს და დაბრუნდნენ თბილისში. სტადიონზე ვზივართ მე და გედი თბილისის დინამოს თამაშია და ტაიმებს შორის შესვენებაზე გამოიყვანეს გამარჯვებული ახალგაზრდები და საპატიო წრე დაარტყმევინეს. ადგილობრივი დიქტორი მაყურებელს ამცნობდა თითოეულ კალათბურთელთა გვარს და სახელს. როცა პეტრე გელბახიანის სახელი გამოაცხადეს მქუხარე ტაშმა იფეთქა და მე და გედი თვალცრემლიანები სიხარულისაგან ერთმანეთს ვულოცავდით ამ წარმატებას.

1961 წელს განაწილებისამებრ გაგრაში დავიწყეთ საექიმო საქმიანობა 1 აგვისტოს. გედიმ თერაპიაში, მე კი პედიატრიაში. რაისაავადმყო-

ფო 250 საწოლზე იყო გაშლილი და ზაფხულში დიდი რაოდენობით ტურისტების გამო ხალხმრავლობა იყო — მორიგეობა ძალიან მძიმე იყო — არადა დასაწყისშივე 3-3 მორიგეობით დაგვაჯილდოვეს თითოეული. მოვიფიქრეთ, რომ სანამ სიტუაციაში გავერკვეოდით, ერთად გვე-მორიგევა პირველი 3 თვე. მართლაც ამან გაგ-ვიადვილა ჩვენი საქმიანობა და კარგი საექიმო პრაქტიკით 3 წლის შემდეგ დავბრუნდით ქ. თბილისში. გედიმ თერაპიის კათედრაზე ბ-ნ გო-გი მხეიძესთან ჯერ ლაბორანტად დაიწყო მუ-შაობა, ხოლო მე, პროფ. ირაკლი ფაღავასთან ბავშვთა განყოფილებაში, მორიგე ექიმ-პედიატრად. ყოველთვიურად 8 მორიგეობა მქონდა და პარალელურად ინტენსიური თერა-პიის 5 საწოლიან პალატაში პაციენტებს ვკური-რებდი. მალე ბატონმა ირაკლიმ საკვალიფიკა-ციო თემა მომცა. ლაბორატორიული ანალიზების გაკეთებაში აქტიურად მეხმარებოდა ჩემი მეგო-ბარი კვირაში 2-ჯერ მასთან დამქონდა ანალი-ზისთვის სისხლი და გედი თავის ლაბორატო-რიაში, აქტიურად იყო ჩართული ჩემი სადისერ-ტაციო თემის შესრულებაში.

პარალელურ რეჟიმში — მორიგეობამ, უმძიმეს ავადმყოფებთან ყოველდღიურმა მუშაობამ, სა-

დისერტაციო თემის შესრულებამ, როგორც ფიზიკურად ასე სულიერად მომქანცა, ერთხელაც გედისთან სამსახურში დავიწუწუნე: თუ მოვკვდი რად მინდა დისერტაცია ან ექიმობა მეთქი — ძალიან მღლის მორიგეობა, არც კი ვიცი სანამ გავძლებ მეთქი. 1970 წლის სექტემბრის დასაწყისია, გედი უეცრად მესტუმრა "არამიანცის" საავადმყოფოში. მეუბნება: მე მამას ველაპარაკე და დავითანხმე, რომ ჩემთან გადმოხვიდე კათედრაზე პედაგოგად. ჩემთან უფრო მარტივად მოგხედავ. ოღონდ პედიატრობას თავი უნდა დაანებო და თერაპიას დაუბრუნდე, რაც შენ არ უნდა გაგიჭირდესო, შენთვის ასე აჯობებს — ასე უფრო წაადგება შენს საქმიანობასო. ამ მოულოდნელმა წინადადებამ ერთბაშად ამაფორიაქა და რამდენიმე წუთის ფიქრის შემდეგ დავთანხმდი, ცხადია მიმძიმდა პედიატრიასთან განშორება, როცა ექიმი პედიატრის რანგში მყარად ვიდექი, საკვალიფიკაციო შრომა 40-45% შესრულებული მქონდა. მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ჩვენს შორის მეგობრობის ძალა, რომ ამან გადასძლია ჩემს პროფესიის არჩევანს და ზურგი შევაქციე პირველ ნაბიჯებს პედიატრიაში; პატარა "ხინჯი" მაინც მრჩება გულში, რომ 10 წელი მოვანდომე ახალგაზრდობის, პროფესიული

გზის არჩევანს — მხოლოდ ეს დაკარგული წლები მაწუხებს და მეტი სხვა არაფერი. გედი მეუბნება: აქედანვე უნდა გამომყვე და ბ-ნ გოგი მხეიძესთან უნდა წარგადგინოთ.

მივედით ბ-ნ გოგისთან სახლში, მრგვალ ბაღთან ცხოვრობდა. გამესაუბრა და გამომკითხა, თუ რა იყო მიზეზი პროფესიის შეცვლისა. ავუხსენი თუ რა იყო ამის მიზეზი, ხომ არ ნანობ ამ ნაბიჯის გადადგმასო. მერე გედის მიუბრუნდა, სანამ ჯგუფში შევუშვებთ ერთი თვე დოცენტ გვანცელაძესთან დასვი და თავად გაერკვევა ყველაფერშიო, ასე დაიწყო ჩემი ახალი გზა — თერაპევტი პედაგოგისა, გედის გვერდით მე-8 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე. სწრაფად ავუღე ალღო სამკურნალო-პედაგოგიურ მუშაობას, რაც კათედრაზე მაღალ დონეზე იყო და შეძლებისდაგვარად ბოლომდე ერთგულად ვიმუშავე, რითაც კმაყოფილი ვარ დღემდის. ძალიან მალე, გედის ხელმძღვანელობით დავიწყე მუშაობა სადისერტაციო თემაზე, რომლის მთავარი ნაწილი მიძღვნილი იყო ღვიძლის პათოლოგიების დროს სისხლის შრატის და შარდის ცილების სპექტრის შესწავლა დისკ-ელექტროფორეზით აკრილამიდის გულში. მეთოდი ამერიკელების მიერ მოწოდებული იყო 1964 წელს და ჯერ

ჩვენთან არავის ჰქონდა გაკეთებული ანალოგიური შრომა. გედის ჰქონდა საოცარი წვდომა ყოველი სიახლის მიმართ მედიცინაში – მახსოვს დიდი შრომის შედეგად ააწყო მეთოდიკა კათედრაზე და ორივენი დიდი ინტერესით შევუდექით მის პრაქტიკულ ფრთისშესხმას უკვე კათედრაზე. ჩემი მისვლიდან 3 წელიწადში მასალა შევაგროვე. როგორც აღვნიშნე გედის გააჩნდა მეცნიერული ალღო, ჰქონდა რა კათედრასთან უნიკალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, ხელეწიფებოდა კლინიკური ბიოქიმია რაც ჩემი აზრით მშობლებიდან გენეტიკურად მოსდგამდა და ბევრი რამ მისცა ამ საქმეში.

ისეთ დიდ მეცნიერ-მკვლევართან ურთიერთობამ, როგორიც იყო აკადემიკოსი, ევროპაში განსწავლული პიროვნება ფარმაკო-ქიმიის დარგში ვლადიმერ ასათიანი – ბ-ნი გედის სადოქტორი დისერტაციის კონსულტანტი იყო. გედის ლაბორატორიაში უშუალოდ მის მიერ იყო აწყობილი მრავალი სიახლენი მიკროლაბორატორიული კვლევისა, რაც იმ პერიოდში წარმატებით გამოიყენებოდა მხოლოდ დიდ საბჭოთა კლინიკებში და პრაქტიკულად მას ვიყენებდით ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა თუ მკურ-

ნალობის საქმეში ჩვენთან მე-8 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე.

მახსოვს 1972 წელია, თბილისში ჩატარდა ნევროლოგთა საკავშირო ყრილობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ტარეევი. პლენარულ სხდომაზე ჩემი სადისერტაციო თემის ფრაგმენტი წარვადგინეთ, რომელიც ეხებოდა ქრონიკული ნეფრიტების დროს დისკ-ელექტროფორეზს, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ბ-ნმა ტარეევმა პლენარული სხდომის შემაჯამებელ სიტყვაში შეგვაქო და კვლევის ახალ მიმართულებად სიახლედ ჩათვალა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა აღნიშნულ მეთოდიკას. ესაა ერთი შტრიხი მისი კლინიკურ-ბიოქიმიური კუთხით მოღვაწეობისა და ჩემს მიმართ გაწეულ დახმარებაზე მეტყველებს. მართალია სადისერტაციო მასალა 3 წელიწადში დავამთავრე, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — 1973 წლის აგვისტოში ბ-ნი პეტრე დაეპატიმრეს. არა მარტო გედი, არამედ მთელი კათედრის თანამშრომლები შოკირებული ვიყავით, გედი ჩამოსცილდა აქტიურ მუშაობას, სტაგნაციის პერიოდი უსაშველოდ გაიწელა, გედის ჩემთვის არ ეცალა. 1977 წლის მიწურულს, კათედრიდან დაითხოვეს ბ-ნი გოგი მხეიძე — ასა-

კობრივი ცენზი დაუდეს საფუძვლად და კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. დავით ტვილდიანი. მან დამიბარა კაბინეტში, გამომკითხა რა სტადიაში მქონდა დისერტაცია. ავუხსენი თუ რა იყო მიზეზი — ეს საუბარი შედგა 1978 წლის მაისში. დამითქვა ვადა, რომ ამ წლის ბოლომდე უმდა დამემთავრებინა დისერტაცია. აღნიშნული საუბრის შესახებ ვუთხარი გედის. გედი თავდაპირველად შეწუხდა, შემდეგ დამამშვიდა — არა უშავს, ამ ზაფხულს სოფელში არ წახვალ, დარჩები ჩემთან წყნეთში, მასალას დამატება არ ჭირდება და როგორმე მოვახრჩობთ ამ საქმესო. მართლაც და არნახული შრომა გავწიეთ მთელი ზაფხულის თვეებში, ტანთ არ გაგვიხდია რომ იტყვიან, თავი არ აგვიწევია და შავად დისერტაცია შევკარით. პირველ სექტემბერს ბ-ნ დავითს დისერტაცია შავად მაგიდაზე დავუდე თავის კაბინეტში. ეხლაც თვალწინ მიდგას ტვილდიანის გაოცებული თვალები, გამიღიმა და შემაქო. მე მადლობა გადავუხადე და დავძინე: თქვენმა შემოძახებამ დიდი როლი ითამაშა ამ საქმის დაგვირგვინებაში მეთქი, მაგრამ ახლა ახალი პრობლემები შეგვექმნა: თუ სად უნდა დაგვეცვა დისერტაცია. მაშინ ინსტიტუტის რექტორი იყო კონსტანტინე ვირსალაძე. სუბიექტური თუ ობ-

იექტური მიზეზების გამო გადავწვიტეთ დაცვა გაგვეხორციელებინა ქალაქ ერევანში. რექტორი კატეგორიულად გაგვიძალიანდა და უბრალოდ დახასიათების მოცემაზე უარი განაცხადა. მივმართე მაღალ ინსტანციას – ცეკაში შევედი ემილ სეხნიაშვილთან და ამ მეთოდმა გაჭრა. დახასიათება მოვიპოვე ძალით და ერევანს გავემგზავრეთ მე და გედი. იქ ნორმალურად შეგვხვდნენ და 3 თვეში დისერტაცია დავიცავი. ახლა როცა ვიხსენებ ყოველივე ამას ეს იყო მართლაც ჯოჯოხეთური წვალება და ჩემთან ერთად მედგა და ერთი წუთითაც არ მომშორებია გედი. რომ არა მისი დიდი მოწადინება, ვინ იცის რითი დამთავრდებოდა ეს ყოველივე. მთავარი განსაცდელი ეტყობა წინ გველოდა. ჩვენს მეგობრობას ახალ განსაცდელს უქადდა. ლაპარაკია ეროვნული ხელისუფლების მოსვლაზე და ბ-ნი ზვიადის აღზევებაზე საქართველოში. ბ-ნ ზვიადს გედი ჯერ კიდევ პირველი საშუალო სკოლიდან იცნობდა და დიდ პატივს მიაგებდა. პრეზიდენტად არჩევიდან 7 თვეში აირია სიტუაცია თბილისში. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენებურ არაკაცებს. რომლებმაც 1991 წლის მიწურულს სამოქალაქო ომი გააჩაღეს თბილისში; ე.წ. "ხუნტამ" უკიდურესად დაძაბა სიტუაცია და

არნახული მიტინგები წარმოქმნა საზოგადოებაში. პრეზიდენტი გააძევეს ქალაქიდან. დაიწყო მხარდამჭერი მიტინგები ახლადარჩეული მთარობისა. ცხადია ამ მოვლენას გვერდიდან ვერ შევხედავდით და ჩვენ ორივენი აქტიურად ჩავებით; განსაკუთრებით აქტიურობდა პატარა პეტრე – გედის ვაჟიშვილი. "ხუნტას" შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენი აქტიურობა და ყველამ ციხეში ამოვყავით თავი. პატარა პეტრეს დახვრეტა მიუსაჯეს და 2,5 წელი დასახვრეტთა კამერაში გაატარა მარტომ. გედის 13 წელი, ხოლო მე ერთი წელი. მოკრძალებულად გამოიყურებოდა ჩემი წვლილი ამ საქმეში. იმდროინდელი ციხე იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი, მის დეტალიზაციას არ შევუდგები. დაპირისპირებისას გედი შემახვედრეს. თავდაპირველად იგი ვერ ვიცანი და ეჭვიც კი შემპარვია – ისე იყო გამოცვლილი, სახეზე შეშუპებული, ნაწამები. არც მე გამოვიყურებოდი ნორმალურად. დამემართა უმძიმესი ალერგიული დერმატიტი, ფეხზე დადგომა მიჭირს ტკივილების გამო. გედიმ როგორც კი შემომხედა, შევატყვე რომ ძალიან შეწუხდა. ყურში ჩამჩურჩულა: ოღონდ შენ გამოხვიდე აქედან ცოცხალი და მე და პეტრეს არა გვიშავს,

ჩვენ გელბახიანებს იმუნიტეტი გვაქვს ციხის კარების მიმართთ.

არ შეიძლება არ გავიხსენო ციხიდან გამოსვლის შემდეგ ძალიან მალე ჩაება აქტიურ სამედიცინო საქმიანობაში: აღადგინეს კათედრის გამგედ, კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ სტუდენტობას. 2002 წლიდან – 2007 წლამდე კათედრასთან ჩამოაყალიბა შპს "ზოგადი პროფილის დიაგნოსტიკური ცენტრი". იგი სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობდა და ემსახურებოდა ღატაკთა და მიუსაფართა კონტიგენტს. 15 საწოლზე იყო გაშლილი. დავაკომპლექტეთ ახალდამთავრებული სტუდენტებით და ექთნებით (ძირითადად ბ-ნ გურამ ტატიშვილის "მომავლის ექიმი"-ის კურსდამთავრებული იყო). დიდი შრომა გასწია ამ საქმეში ქალბატონმა ნუცამ, რომელიც ჩვენს გვერდით იყო და არცთუ იშვიათად ღამეც აქ გაუტარებია. სადღეღამისო რეჟიმში მორიგეობაზე ხშირად მე და გედის გვიწევდა დარჩენა – ასე რომ პაციენტებს არ მოვშორებივართ, გვქონდა ამბულატორიული მიღებაც პარალელურ რეჟიმში. 250-ზე მეტი სტაციონარული ავადმყოფი იქნა გატარებული და 500-ზე მეტი ამბულატორიული. 12 ახალდამთავრებულთა უმეტესობამ წარმატებით ჩააბარეს სასერთი-

ფიკაციო გამოცდები. 5 წლის განმავლობაში მართლაც დიდი ჯაფა გადაგვხდა თავს და ქალაქის ჯანდაცვის უფროსის ზაზა გოროზიასგან მადლობა დავიმსახურეთ. დიდი შრომა გავწიეთ კათედრის ტერიტორიის დაცვის საქმეში. 40 ოთახი, რომელიც განთავისუფლებული იყო ამ ტერიტორიაზე, სადაც პირველ და მეორე სართულზე ლტოლვილები ბინადრობდნენ, თითქმის კვირაში ერთხელ მაინც იყო მცდელობა შემოჭრისა და ტერიტორიის დაკავებისა. რამდენჯერ ღამითაც მოვსულვართ სახლიდან და მილიციის ძალით გაგვიყვანია მომხდურები. მახსოვს ერთხელ ლტოლვილი მოვიდა ჩემთან და მეუბნება გვიშუამდგომლე ბ.ნ. გედისთან, რამდენიმე ოთახი გვჭირდება და მოგვაქირაოს თვეში 200 ლარს მოგცემთო. როცა გედის ვუთხარი ამის თაობაზე – განცვიფრებულმა შემომხედა – მართალს მეუბნებიო? – მე ვუთხარი ასე დამაბარეს და რომ არ მეთქვა შენთვის არ გამოვიდოდა. – ჩემგან ეგეთები არ ეგების და უთხარი მათ. ბატონმა გედიმ ბოლომდე შეინარჩუნა მესამე სართული და საბოლოოდ ინსტიტუტს ჩაბარა. ინსტიტუტმა კი ლტოლვილთა სამინისტროსთან გაასაჩუქრა დღეს ლტოლვილებითაა გავსებული.

2007 წლის 7 ნოემბერია, ისევ მიტინგზე ვარ და პასიური მაყურებლის როლში ვიმყოფები. სააკაშვილის მთავრობამ არნახული სისასტიკით დაარბია მიტინგი. გაუშვეს მომწამლავი გაზი, დაუშინეს მომიტინგეებს რეზინის ტყვიები, წყლის ჭავლი და სპეცრაზმელები ხელკეტებით დაერივნენ ხალხს. ამ უბედურებაში მეც აღმოვჩნდი და მიოკარდიუმის ინფარქტი მივიღე. რის ვაივაგლახით მოვაღწიე სახლამდის. გედის დავურეკე. გედი გაგიჟებული მოვარდა ჩემთან და საყვედურით ამავსო, მართალიც იყო. რატომ არ ისვენებ, აუცილებლად თავი უნდა შეაკლა ამ ბრიყვებსო. თავისი მანქანით სასწრაფოდ გადამიყვანა ქავთარაძეზე კარდიოლოგიურ კლინიკაში. გამიკეთეს კორონაროგრაფია და დადგინდა წინა გავრცელებული ინფარქტის დიაგნოზი. ეცადენ ჩაედგათ სტენტი, რაც ვერ მოხერხდა და ძლივს გადავურჩი ამ მანიპულაციას. გედიმ იქიდან წამომიყვანა და ჩაფიძის კლინიკაში მომათავსა. ის ღამე ჩემს გვერდით გაატარა, არ მომცილებია, თვალი არ მოუხუჭავს. ასეთი უანგარო სიყვარული იცოდა. მე დღეს ცოცხალი რომ ვარ, ეს მისი დამსახურებაა და კვლავაც მერამდენედ შემახსენებდა თამბაქოს როლს ინფარქტის ჩამოყალიბებაში. ეტყობა მართლაც ასე იყო ჩემი

ბედისწერა, რასაც ვერსად დაემალები. იმ დღიდან თამბაქო შევიძულე, სხვა როცა ეწევა მე იქ ვერ ვჩერდები, გული მერევა, მაგრამ ეხლა რაღა დროისაა...

2012 წლის 6 აგვისტოა, ბანძაში ვარ-ვისვენებ, ოთხის წუთებზე ჩემს მობილურზე ზარი გაისმის, მატყობინებენ გედი გარდაიცვალაო. ერთი-ორი წუთი ხმა ჩამივარდა, დავიშოკე. მერე ხმამაღლა ვღრიალებ, ოთახში შემოვარდა ჩემი 9 წლის თარაში-ლუკა, რომელიც ეკლესიურად იზრდება, ჩამეძია: ბაბუ რატომ ტირიხარ, რა დაგემართაო? გაბრაზებულმა ვუპასუხე: ჩემი მეგობარი გედი გარდაიცვალა მეთქი. მერე ბავშვური ლოგიკით აგრძელებს კითხვას; ბაბუ კარგი კაცი იყოო? მე განრისხებული ვპასუხობ: რას ქვია კარგი კაცი იყო — კაცი კი არა ძმა იყო ჩემი მეთქი! მერე კვლავ აგრძელებს შეკითხვას. ბაბუ ნუ ტირიხარ, ღმერთმა თავისთან წაიყვანაო. შენც ხომ მოკვდები ოდესღაც და თქვენი სულები ერთმანეთს შეხვდებიან სასუფეველში და იქ გააგრძელებთ თქვენს მეგობრობასო. უცებ გულზე მომეშვა, დავწყნარდი. ვინ იცის იქნებ მართალს მეუბნება, მართლაც ასე რომ მოხდეს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ღმერთმა უსმინოს ჩემს პატარას... მიჭირს გედიზე წარსულით ვილაპარაკო, გედის

სიკვდილი არამარტო მისი ცოლშვილის ტრაგედიაა, არამედ ჩემი დიდი ტკივილია, რაც ჩემი ცხოვრების დარჩენილი წლებისთვის მუდამ მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება. მე ცხოვრებაში ორჯერ გადავიტანე უმძიმესი ტრავმა. პირველად როცა მე-11 კლასში ვიყავი და ჩემი ძმა, რომელიც ჯერ კიდევ 17 წელი არ შესრულებია, 1954 წლის 5 სექტემბერს ავტოავარიაში დაიღუპა. მეორედ, როცა ცხოვრების 75-ე წელს, მეორე ძმა ჩემი გედი გამომეცალა ხელიდან. რას იზამ, ასეთი ხვედრი მარგუნა ცხოვრებამ. მოკლედ ბავშვობიდან ტრავმირებული ვარ და სიბერის ჟამს ტრავმა განმიახლდა. ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ გედი ჩემს გვერდით არაა, მიმძიმს და მომავალში უფრო გამიძნელდება უმაგისობა. იგი იყო სიკეთით სავსე, უბოროტო, საოცრად მოსიყვარულე, მუდამ ოპტიმისტურად განწყობილი. მუდამ სიახლის მაძიებელი თავის პროფესიაში. თავისი ბიძაშვილი საბა ბეჟანიშვილი, რომელიც წარმატებული ნევროლოგია ამერიკაში, ყოველწლიურად უგზავნიდა ბ-ნ გედის ახალ-ახალ წიგნებს თერაპიაში თუ კლინიკურ ბიოქიმიაში — ამ უკანასკნელის მიმართ სტუდენტობიდან მოყოლებული დიდ ინტერესს იჩენდა ყოველთვის. პლატონს ეკითხებიან — როგორ უნდა ინ-

უგეშოს კაცმა თავი უბედურების ჟამს? — უნდა ცნოს მომხდარის გარდაუვალობა. რა ვქნა, მეტი გზა არ დამიტოვა გედიმ — უნდა დავემორჩილო ჩემს ბედისწერას. ვიტყვი: ჩვენ ხასიათებით, შეხედულებებით და მსოფლმხედველობით ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. ამიტომ გაუძლო 52-წლიან მეგობრობას. ქარტეხილმა ვერ გაგვტეხა, ვერ დაგვაშორა. მახსენდება ბერძენ პოეტთა პატრიარქის ჰომეროსის სიტყვები: "მსგავსი მსგავსს ეძებს და ხალისით უკავშირდება. ჩემო გედი, ვერაფერმა ვერ შემივსო უშენობით გამოწვეული სიცარიელე. გაუსაძლისია ჩემთვის უშენობა. მხოლოდ იგი მამშვიდებს, რომ უფალთან ხარ, შენს საყვარელ დედ-მამასთან, შენს უსაყვარლეს ვაჟკაც პეტრესთან ერთად და იქიდან ილოცები შენი ოჯახისათვის, ჩემთვის. მახსოვს იმ საბედისწერო ზაფხულს როცა სოფელში ვიყავი, თითქმის ყოველდღე მობილურით მიკავშირდებოდი და ისევ ჩემი ჯანმრთელობა გაწუხებდა! შენი ხასიათი რომ ვიცი, ზედმეტი არ მოგივიდეს, გული არ გადატვირთო, არ დაგავიწყდეს რომ დაკოდილი გულის პატრონი ხარო. მერე თავის ამბავს მომიყვებოდა. ბეთანიაში ახალშეძენილი ქონდა აგარაკი და ბევრი წვრილმანი საქმე დაუგროვდა. უხაროდა, რომ

ამას თავისი ხელით აკეთებდა. მე ვეუბნებოდი: მართალია შენ ყოველდღიურად ვარჯიშობ, მაგრამ ხის მოჭრას თავისებური ცოდნა უნდა, რაც შენ არ გაგაჩნია, ამიტომ თავი შემოინახე თვითონ მეთქი. ეს ვუთხარი სხვათაშორის, ყოველგვარი წინათგრძნობის გარეშე. რა ვიცოდი მე უბედურმა მას თუ რამე მოერეოდა, თორემ სხვაგვარად ვეტყოდი. გედი იმდენად გონიერი და წინდახედული იყო, რომ ერთი პროცენტითაც თავის შესაძლებლობაში ეჭვი არ შეუტანია — არ ეგონა თუ რაიმე მოერეოდა. ეტყობა გადააფასა თავისი შესაძლებლობა, არ გაითვალისწინა ასაკი და ციხეში გატარებული 7 წელი. ყველაფერმა ამან, ჩემი აზრით, გამოიწვია მისი სიკვდილი. ბოლო ხანებში ერთადერთი საზრუნავი იყო და ჩემთვის არაერთგზის უთქვამს: მინდა ჩემი დარჩენილი სიცოცხლე ნუცას მივუძღვნა, რაც შეიძლება მეტი სიხარული მოვუტანო, მან ხომ გელბახიანებს შესწირა თავისი ახალგაზრდობაო, 25 წელი ციხის კარებთან გაატარა და ჩვენ მის ძალას ციხეში ვგრძნობდით, მაგან გადაგვატანინა ყველა ეს უბედურებაო. ნუცის ვაჟკაცობამ სტიმული მოგვცა ციხეში ბრძოლისა და სიკვდილს გადაგვარჩინაო. მართლაც რაოდენ სიმბოლურია ის ავბედითი 6 აგვისტოს დღე, როცა

მისი ნუციკოს თვალწინ დღის 3 საათზე ლოგინზე წამოწოლილი წამოდგება, სიკვდილს პირდაპირ, უშიშრად შეხედავს თვალებში, ხმას არ იღებს, ვაი თუ ჩემს ნუცის არ შეეშინდესო და მოცელილივით ეცემა იატაკზე და სულს განუტევებს. თუ სიკვდილს გააჩნია სილამაზე, გედი ასეთი ლამაზი სიკვდილით მოკვდა. მე კი დამიტოვა დიდი მონატრება ამ ქვეყანაზე. გედის აჩრდილი თან დამდევს, ხშირად მესიზმრება ლამაზ ფერებში და იქიდან მეფერება. "მონატრება ყველაზე საშინელი ფორმაა, როდესაც ხარ მასთან და გრძნობ რომ ის არასდროს იქნება შენი" — გაბრიელ მარკესი. მართლაც რა დიდებული ნათქვამია. გედი ჩემთვის ყოველთვის დარჩება მოუშუშებელ სულის ტკივილად, რაც დრო გადის უფრო მძაფრდება და ამ ტკივილს ვატყობ მინელება არ უწერია, ისევ მარკესს მოვიშველიებ, რადგან უფრო ლაკონურად შეუძლია მეგობრობის უდიდესი გრძნობის გამომზეურება. "მე შენ მიყვარხარ არა იმის გამო, თუ ვინ ხარ შენ, არამედ იმის გამო, ვინ ვარ მე შენს გვერდით". მართლაც, თავს ამაყად ვგრძნობდი შენს გვერდით ჩემო გედი, შენ იყავი ჩემი იმედი, ჩემი ოჯახის გაჭირვების ტალკვესი. ასევე შემართებით და ერთგულებით ვუდექი მეც შენს ოჯახს

და მანამ ცოცხალი ვარ გავაგრძელებ შენს ოჯახთან თანადგომას. დღესაც ნუცა ჩემთან შენი დანატოვარი მობილურით ურთიერთობს. როცა პირველად გადმომირეკა და ჩემს მობილურზე აენთო შენი სახელი და გვარი, უცებ დავიბენი, გისმენ მეთქი და როცა ნუცამ იქიდან მიპასუხა — ორთავეს ტირილი აგვივარდა — ეს იყო მწუხარების ცრემლები... ვამთავრებ რა მცირე მოგონებას ჩემს ძმაზე, რომელთანაც მრავალი ტკბილი მოგონება მაკავშირებს მინდა დავამთავრო სულმნათი საბას სიტყვებით: "მეგობრობა გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალაა და ზურგთა მომბმელია". ესაა საბას სიბრძნის ჩემეული პერეფრაზირება: სიტყვა ამხანაგი, ჩავანაცვლე მეგობრით და ვფიქრობ მისი სული ამას მაპატიებს. მრჩება ერთი იმედი იმისა, როდის ამიხდება ჩემი პატარა შვილიშვილის თარაში-ლუკას წინასწარმეტყველება: ჩვენი სულები მოძებნიან ერთმანეთს და ზეციურ საქართველოში გააგრძელებენ მეგობრობას.

ღმერთმა უსმინოს...

მედ. დოქტორი ზურაბ ზედანია

სასიქადულო მამულიშვილი

ნუცა და გედი გურამ ტატიშვილთან და მარინა ჩიქოვანთან ერთად

ძნელია ილაპარაკო წარსულ დროში ადამიანზე, რომელიც შენთვის ერთდროულად იყო უახლოესი ნათესავი, უერთგულესი მეგობარი და ამავე დროს ცნობილი ექიმი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. გედევან (გედი) გელბახიანი იყო მრავალმხრივი პიროვნება. ახალგაზრდობაში კარგი სპორტსმენი, შემდეგ გამოჩენილი კლინიცისტი, მუდამ ახლის მაძებარი მეცნიერი, შესანიშნავი პედაგოგი, ახლობლებისა და მეგობრებისათვის საიმედო და დასაყრდენი ადამიანი.

გედი გავიცანი მისი სტუდენტობის წლებიდან. ის იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის, შემდეგ უკვე რექტორის, პროფესორ პეტრე გელბახიანის შვილი. მე იმ დროს დამთავრებული მქონდა სამედიცინო ინსტიტუტი, ვმუშაობდი პროფესორ მიხეილ ჩაჩავას ქირურგიულ კლინიკაში. ბატონი პეტრე ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, იყო კუმირი თავისი პიროვნული ღირსებებით და მან დიდი როლი ითამაშა ჩემი, როგორც პედაგოგის ჩამოყალიბებაში.

ბატონი პეტრე ჩემდამი იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას, ჩემი მხრიდანაც ალბათ გრძნობდა დიდ პატივისცემას და არ გამკვირვებია, რომ მან დამავალა მიმექცია ყურადღება გედისათვის და ჩამერთო ის საზოგადოებრივ საქმიანობაში. მაშინ მე ვიყავი სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. გედი აქტიურად იყო ჩაბმული სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების და სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში.

სწორედ ამ პერიოდში, ჩემს ქორწილში მან გაიცნო ჩემი ბიძაშვილი, ნუციკო ტატიშვილი, შემდეგ მათი მეგობრობა გადაიზარდა დიდ სიყვარულში და მათ შექმნეს დიდებული ქართული ოჯახი.

გედის სტუდენტობის წლებში მახსენდება კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი. იმ დროს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ზაფხულობით აგზავნიდნენ ყამირ მიწებზე სამუშაოდ. სამედიცინო ინსტიტუტიდან განსაზღვრული იყო საკმაოდ მოზრდილი ჯგუფის გაგზავნა. ბატონი პეტრე იმ დროს იყო პარტიული კომიტეტის მდივანი და მან თავისი შვილი პირველმა ჩაწერა გასამგზავრებელთა სიაში. მე როგორც ინსტიტუტში ყველაზე ახალგაზრდა დეკანი, დავინიშნე ყამირელთა ხელმძღვანლად. ბატონმა პეტრემ და მისმა მეუღლემ ქალბატონმა თამარმა მითხრეს, რომ არხეინად იქნებიან, რადგან მათი პირმშო იქნება ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ. ასევე იმ სიაში მოხვდა ჩემი მასწავლებლის, პროფესორ მ. ჩაჩავას შვილი, თამაზი. მე, რასაკვირველია არავითარი სურვილი არ მქონდა ყამირზე გამგზავრების, ამიტომ მე და ჩემმა მეგობარმა, დავით საყვარელიძემ, მივიღეთ ყველა ზომა, რომ სამედიცინო ინტიტუტი ყამირის ნაცვლად ე.წ. შრომით სემესტრში განეწესებინათ თბილისის მშენებლობებზე.

შემდეგ გედიმ გაამართლა ღირსეული მშობლების იმედები, გაიარა გამოჩენილი ქართველი თერაპევტის, გიორგი მხეიძის შესანიშნავი სკო-

ლა, ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, მიიღო პროფესორის წოდება, გახდა უნივერსიტეტის თერაპიის ერთ-ერთი კათედრის გამგე. მან კათედრაზე ჩამოაყალიბა თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ექსპერიმენტული ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევები, რომლებშიც კათედრის თანამშრომლებთან ერთად სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

სწორედ ამ დროს დატრიალდა გელბახიანების ოჯახზე ბედის უკუღმართობის ქარბორბალა.

ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდებებით დაპატიმრებული იქნა ბატონი პეტრე გელბახიანი, რომლის პატიმრობის მოწამეობრივი და ვაჟკაცური ეპოპეა ალბათ კომუნისტური დიქტატორული რეჟიმის უკუღმართობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მაგალითი იქნება.

ვფიქრობ, მსოფლიოს ყველა ხალხის ისტორიაში არ მოიძებნება გელბახიანების ოჯახის სამი თაობის მსგავსი ტრაგიკული მაგალითი, როდესაც უკანონო პატიმარი იყო ოჯახის თავკაცი, აკადემიკოსი პეტრე გელბახიანი, მისი შვილი, ასევე უსაფუძვლო აბსურდული ბრალდებით დაპატიმრებული პროფესორი გედი გელბახიანი. ეს სამივე დაპატიმრება იყო ქვეყნის ერთი და იგივე

ხელმძღვანელის ახირების შედეგი. ვფიქრობ, ეს მახინჯი ტრაგიკული მოვლენა გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი, თუ ასეთ საშინელებებს აფიქსირებენ იქ.

როდესაც გედი დააპატიმრეს, ოფიციალური ბრალდება იყო, რომ ის საავადმყოფოს სარდაფში ინახავდა იარაღსა და ტყვიაწამალს. მაშინ მე და გედი ერთ შენობაში ვმუშაობდით ქალაქის მერვე საავადმყოფოში. ჩემი კათედრა იყო მეორე სართულზე, გედისი — მესამეზე. მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ჩვენს ქვევით არავითარი სარდაფი არ არსებობდა. იქ იყო უბრალოდ თავისუფალი, მიტოვებული და აუთვისებელი სივრცე, სადაც ადამიანი ვერც გასწორდებოდა და რომელსაც კარებიც არ ჰქონდა. საავადმყოფო აწარმოებდა ყოველდღიურ ოცდაოთხსაათიან სასწრაფო დახმარების მიღებას და წარმოუდგენელი იყო იმ ადგილას იარაღის მიტანა და შენახვა სხვების შეუმჩნევლად.

იღბლად იმ კოლონიის უფროსი, სადაც გედი იხდიდა სასჯელს, უწესიერესი და სამართლიანი პიროვნება ბატონი ზაურ ებრალიძე იყო ჩემი კლინიკის ყოფილი პაციენტი, მას კარგად ვიცნობდი და დაუბრკოლებლად შევდიოდი გედის სანახავად.

ერთხელ ღამით ნუციკომ მაცნობა, რომ გედი დაუჭრიათ და ოპერაცია გაუკეთდა ციხის საავადმყოფოში. იქ ქირურგები იყვნენ ჩემი მოწაფეები და მათ გვითხრეს, რომ ამ საავადმყოფოში გედი გელბახიანი არ მიუყვანიათ. იქიდან ჩვენ წავედით ავჭალის კოლონიაში, სადაც შემთხვევით მორიგე აღმოჩნდა ოფიცერი, რომლის დედასაც მე ცოტა ხნის წინ გავუკეთე ოპერაცია. მან დაგვამშვიდა, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა და სულ ათი წუთის წინ ველაპარაკე გედისო და წავიდა მის მოსაძებნად. ამ დროს მოვიდა რამოდენიმე პატიმარი და როდესაც გაიგეს ჩვენი იქ მისვლის მიზეზი, გაოცებულებმა თქვეს: "ბატონ გედის აქ ვინ გაუბედავს რამეს, ის ხომ ყველა ჩვენთაგანის დამხმარე და ნუგეშიაო". მე ისედაც ვიცოდი, რომ გედი იქ უდიდესი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა.

მზარავს იმის გახსენება, თუ რა განცდები ექნებოდა გედის საპატიმროში, როდესაც ციხეში ეგულებოდა სიკვდილმისჯილთა საკანში გამომწყვდეული მისი პირმშო.

უსამართლობა იქნება ორიოდ სიტყვა არ ითქვას გედის მეუღლეზე, იმ ქალბატონზე, რომელმაც ოჯახის მამაკაცების საპატიმროში ყოფნის

წლებში ჩაიცვა რკინის ქალამნები და ღირსეულად გაუძღვა ოჯახს.

ვიზიტები ციხეში თუ კოლონიაში, ზრუნვა ოჯახზე, შვილიშვილებზე, ყურაღება ნათესავებსა და მეგობრებს — ასეთი იყო იმ ავბედით წლებში ნუციკო ტატიშვილის ცხოვრების ყოველდღიური განრიგი. უკვე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა და წარმატებულმა ექიმმა უარი თქვა პირად კარიერაზე და სრულიად გამოამჟღავნა ქართველი მებრძოლი ქალის ყველა ის ჭეშმარიტი თვისება, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დაამკვიდრეს მრავალჭირნახულმა ქართველმა მანდილოსნებმა.

ბოლოსდაბოლოს აღდგა სამართლიანობა და გედი დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმიანობას, თავის კოლექტივს და სტუდენტობას, რომლებიც მისი ყოველდღიური ზრუნვის და ყურადღების საგანი იყო.

ამქვეყნად უკვალოდ არაფერი არ ჩაივლის ხოლმე. ის განცდები, რაც ამ სამი თაობის გელბახიანებს ჰქონდათ, გარკვეულწილად გახდნენ ამ დიდებული ადამიანების უეცარი სიკვდილის მიზეზი.

ბატონ პეტრე გელბახიანს ჰქონდა რკინისებური ჯანმრთელობა, მართალია მან პატიმრობის

წლები ღირსეულად და ვაჟკაცურად გაატარა, მაგრამ მის ჯანმრთელობაზე არ შეეძლოთ დაღი არ დაესვათ შვილის და შვილიშვილის მიმართ უსამართლოდ გატარებულ რეპრესიულ ღონისძიებებს.

პეტრე-უმცროსის უეცარი გარდაცვალება იმ დროს, როდესაც ის სრულიად ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე ეწეოდა ქვეყნისათვის უაღრესად საჭირო საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობას, სწორედ იმ უკანონო რეპრესიების კასკადით გამოწვეული სულიერი ტრავმების გამოძახილი იყო.

გედის უეცარი გარდაცვალების მიზეზიც ზემოთთქმულში უნდა ვეძებოთ, რადგან ის ყოველთვის იყო ცხოვრების ჯანსაღი წესის აპოლოგეტი, ფიზიკურად აბსოლუტურად ჯანმრთელი. მაგრამ მამის, შვილის და მის მიმართ ყოვლად უსამართლოდ გატარებულმა რესპრესირებულმა ღონისძიებებმა, მისი ფიზიკური ჯანმრთელობის მიუხედავად მაინც იმოქმედა მის სულიერ მდგომარეობაზე და უეცრად გულმა უმტყუნა.

დასანანია, რომ გედის დარჩა ძალიან ბევრი განუხორციელებელი საქმე, როგორც თავის სპეციალობაში, ისე მის მრავალრიცხოვან ოჯახში. ეს დიდებული პიროვნება ძალიან დააკლდა მისი

ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებსა და მოწაფეებს. ერთადერთი სანუგეშო ის არის, რომ გედის მრავალრიცხოვანი შვილიშვილები და შვილთაშვილები ღირსეულ ადამიანებად გაიზრდებიან დიდი პეტრეს, გედის და პეტრეუმცროსის მაგალითზე.

სამწუხაროდ, ისტორია მეორდება და ბედის უკუღმართობით კვლავ იკვეთება გედი გელბახიანის მეუღლის, ნუციკო ტატიშვილის, მძიმე, მაგრამ საპატიო როლი გელბახიანების მრავალრიცხოვანი შთამომავლობის კეთილდღეობის და წინსვლის საქმეში, დიდი წინაპრების სახელის სადიდებლად.

გურამ ტატიშვილი

ქართული მედიცინის მრავალწამებული იობი

პროფესორ გედი გელბახიანს ბედი თითქოს წარმატებულ და უზრუნველ ცხოვრებას უმზადებდა: დაიბადა და აღიზარდა გამორჩეულ ქართულ ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, რომლის რექტორი 14 წლის განმავლობაში იყო მამამისი, პროფესორი პეტრე გელბახიანი. მას არ უსარგებლია რაიმე პრივილეგიით. სწავლობდა და მუშაობდა შესანიშნავად, მონდომებით, კეთილსინდისიერად. ყველა საექიმო და აკადემიური საფეხური გაიარა დამოუკიდებლად, ყოველგვარი პროტექციის გარეშე. სპორტული აღნაგობის ბატონი გედი გამოირჩეოდა არისტოკრატიული მანერებით, ოჯახიშვილობით. მისთვის უცხო იყო ამპარტავნობა და ქედმაღლობა. ახასიათებდა საკვირველი ემპათიურობა, პიროვნული მომხიბლაობა, თავმ-

დაბლობა და ზრდილობა. მისი მასწავლებელი იყო დიდი კლინიცისტ-ინტერნისტი, პროფესორი გოგი მხეიძე. გედი გელბახიანი ჩამოყალიბდა შესანიშნავ ექიმ-თერაპევტად. განსაკუთრებით დახელოვნდა ჰეპატოლოგიაში. მისი სადოქტორო დისერტაცია შეეხებოდა ღვიძლის ქრონიკული დაავადებების დროს ბიოქიმიურ ცვლილებებს, რომელიც წარმატებით დაიცვა 1972 წელს. მის შრომებს ჰეპატოლოგიაში მაღალ შეფასებებს აძლევდნენ გამოჩენილი კლინიცისტები: ვ. ვასილენკო, ა. ლოგინოვი, ა. ბლიუგერი, ხ. ვეკსლერი, ზ. ბონდარი, ხ. მანსუროვი, მ. პოდიმოვა და სხვები. იგი განსაკუთრებით დაახლოვებული იყო საბჭოთა კავშირში კლინიკური გასტროენტეროლოგიის ფუძემდებელთან, აკადემიკოს ვლადიმირ ვასილენკოსთან. ბატონმა გედიმ შემოგვინახა ვ. ვასილენკოს მოგონებები ქართველ თერაპევტებზე და გასტროენტეროლოგებზე...

პროფესორმა გედი გელბახიანმა თავისი სამკურნალო მოღვაწეობა ძირითადად ქალაქის №8 კლინიკურ საავადმყოფოში გაატარა. მას ძალიან აფასებდნენ თანამშრომლები, ავადმყოფები... იყო სასურველი კონსულტანტი სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში. ის უყვარდათ სტუდენტ-მედიკოსებს. მისი გამოსვლები თბილისის

თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების სხდომებზე გამოირჩეოდა მაღალი აკადემიურობით, კორექტულობით, კეთილმოსურნეობით. ბატონ გედის, ზოგიერთებისაგან განსხვავებით არ ახასიათებდა ავსიტყვაობა, უხეშობა. ის ეხმარებოდა ასპირანტებს, ორდინატორებს საკვალიფიკაციო შრომების შესრულებასა და დისერტაციების დაცვაში. მას ჰყავდა მეგობართა ფართო წრე არა მარტო საექიმო საზოგადოებაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. შექმნა შესანიშნავი ქართული ტრადიციული ოჯახი. ბევრნი შენატროდნენ მის ბედნიერ ოჯახურ, სამკურნალო-სამეცნიერო და პედაგოგიურ ცხოვრებას. სამწუხაროდ, მასზე ავბედითად ახდა რუსთაველის ტაეპი: "საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია".

1973 წელს გელბახიანების ბედნიერ ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს: შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს ოჯახის მამა, ბატონი პეტრე და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 15 წლით?! დაიწყო ბატონი გედის დევნაც — მოსკოვში, საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლეს საატესტაციო კომისიას (ე.წ. ვაკ-ს) გაეგზავნა მოთხოვნა — დირექტივები გედი გელბახიანისთვის მედიცინის მეცნიერე-

ბათა დოქტორის ხარისხის ჩამოსართმევად. საკვირველია, მაგრამ "ვაკ-"მა პრინციპულობა გამოიჩინა და არ დააკმაყოფილა უსამართლო მოთხოვნა-ბრძანება.

1990-იან წლებში, საქართველოში დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, დააპატიმრეს თვალსაჩინო მამულიშვილები — მამა-შვილი გედი და პეტრე გელბახიანები. ისინი ციხეში საშინელ წამება-ტანჯვას განიცდიდნენ. 1996 წელს, 84 წლის ასაკში, გარდაიცვალა ოჯახის მამა, ბატონი პეტრე (უფროსი) გელბახიანი, რომელმაც სრულად მოიხადა 15 წლიანი სასჯელი. მის დასაფლავებას ვერ დაესწრნენ შვილი და შვილიშვილი, პატიმრადმყოფი გედი და პეტერე (უმცროსი) გელბახიანები...

1998 წელს თბილისში, პროფ. ეთერ ბოცვაძის თავმჯდომარეობით, გაიმართა ფალკის საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰეპატოლოგიაში. იქ მოხსენებით გამოვიდა მოსკოვის გასტროენტეროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ა. ლოგინოვი. მან გულისტკივილით გაიხსენა მისი დისერტანტი გედი გელბახიანი და დიდი წუხილი გამოთქვა გელბახიანის საექიმო ოჯახის

უმაგალითო რესპრესიების გამო. სულ მალე, 1999 წელს, გაათავისუფლეს ბატონი გედი, ხოლო 2002 წელს მისი შვილი, შეუდრეკელი მამულიშვილი, უმცროსი პეტრე გელბახიანი. ოჯახმა შვებით ამოისუნთქა. მამა-შვილმა გააგრძელეს თავიანთი სამკურნალო, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. მრავალრიცხოვანი მეგობარი, ნათესავი და საექიმო საზოგადოება იმედოვნებდა, რომ გელბახიანების ოჯახის ხანგრძლივი ტანჯვა-წამება უკვე წარსულს ჩაბარდა... მაგრამ რუსთველმა განა ტყუილად ბრძანა — "ცრუ და მუხთალი სოფელი, მიწყივ ავისა მქმნელია". წამებულ მამა-შვილს გულმა უმტყუნათ: 2007 წელს მიოკარდიუმის ინფარქტმა იმსხვერპლა ბატონი გედის სასახელო შვილი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, უმცროსი პეტრე გელბახიანი, ხოლო 2012 წელს თვით ბატონი გედი გელბახიანი.

პროფესორი გედი გელბახიანის ცხოვრება ალბათ ბიბლიური იობის უსასრული ტანჯვა-წამებას შეიძლება შეედაროს...

ხუტა პაჭკორია

ექიმი-გასტროენტეროლოგი

გედი გელბახიანი

დრო და ასაკი მნიშვნელოვანწილად მოქმედებს ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის შეფასებაზე. ალბათ ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ დრო ბევრ რამეს ფილტრავს, ცვლის მეყსეულ შთაბეჭდილებას, ფაქტები ემოციურ აღქმაზე დაფუძნებული შეფასებიდან განსჯის კატეგორიაში გადაჰყავს და მყარად ჩამოყალიბებულ მოსაზრებად აქცევს.

ამა თუ იმ პიროვნების შეფასებისას ყოველი ადამიანი საკუთარი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს. ამავე დროს ამ საკუთარის, ინდივიდუალურის მიღმა, არსებობს უცვლელი და უტყუარი ფასეულობები, რომლებზეც დამყარებული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა სწორედ რომ ჭეშმარიტი გზაა პიროვნების შესაფასებლად.

მხოლოდ რამდენიმე წელი ვიმუშავეთ ერთად ბატონმა გედი გელბახიანმა და მე იმჟამინდელ ქალაქის მე-8 საავადმყოფოში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული და სტომატოლოგიური ფაკულტეტების საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე, რომელსაც ბატონი გიორგი მხეიძე ხელმძღვანელობდა. ის რამდენიმე წელი პირადად ჩემთვის

უაღრესად სასიამოვნო და სასარგებლო იყო, უაღრესად კეთილი მოსაგონებელია და მისი ძირითადი განმაპირობებელი სწორედ გედისთან ახლო ურთიერთობა და მისი პიროვნული თვისებები იყო. ამასთან, ის რამდენიმე წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული და შექმნილი შთაბეჭდილება გედიზე დღესაც არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ დროც ბევრი გავიდა და ასაკიც მნიშვნელოვნად მომემატა. ისიც უდავოა, რომ უცვლელი რჩება მხოლოდ ის შთაბეჭდილება და შეფასებები, რომლნიც ნაღდია და ჭეშმარიტი. სწორედ ასეთებს ვერ ერევა დრო და ვერ ცვლის ასაკი. ეს სწორედ ის არის, "რაც დავიწყებით არ იბინდება".

ბევრი რამ ჰქონდა სამაგალითო და მისაბაძი:

უპირველეს ყოვლისა, ოჯახის ერთგულება — იგი სამაგალითო შვილი იყო, სამაგალითო მეუღლე და მამა, სამაგალითო მეგობარი.

წესიერება — გამორჩეულად წესიერი იყო ადამიანებთან ურთიერთობაში — პაციენტებთან, კოლეგებთან, თანამშრომლებთან, განურჩევლად იმისა უფროსი იქნებოდა ის, თუ უმცროსი; ერთნაირად წესიერი იყო პროფესიულ საქმიანობაში თუ პროფესიის მიღმა ქმედებებში. ყოველთვის გაგებით ეკიდებოდა სხვა ექიმების პროფესიულ

ნაკლს თუ პროფესიულ შეცდომას. ეს უკანასკ-ნელი მისთვის მხოლოდ განსჯის, განხილვის, სწავლისა და სწავლების საგანი იყო და არა შერისხვის საბაბი. სტუდენტებთან ურთიერთო-ბაშიც კი მენტორული ტონი არასოდეს ჰქონია, რჩევა და საკუთარი მაგალითი იყო მისი პედა-გოგიური საქმიანობის ძირითადი იარაღი.

უანგარობა პროფესიულ საქმიანობაში, პა-ციენტებთან მიმართებაში — ერთნაირად ყურა-დღებიანი და მზრუნველი იყო უქონლისა და მდიდრის მიმართ, უბრალოსა და ბრალიანის მი-მართ.



უანგაროდ სიკეთის მოესველი და გამცემი — გაწეული სამსახურისა თუ დახმარების სანაცვლოდ უკუგებას არასოდეს არ მოელოდა და, მით უმეტეს, არც მოითხოვდა. მზად იყო ნებისმიერი დახმარების აღმოსაჩენად. საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში უნივერსიტეტის ცენტრალური ლაბორატორიიდან ნარხიანი ელექტროკარდიოგრაფის წამოღება დამჭირდა. ხელსაწყო მძიმე იყო და იმოდენა, რომ საავადმყოფოს სატვირთო ლიფტში არ შეეტია. სანიტრებთან და ჩემთან ერთად ზურგით აათრია მესამე სართულზე, ჩვენს განყოფილებაში.

ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი იყო. მოურიდებლად შემეძლო მასთან მისვლა დახმარების მისაღებად, იქნებოდა ეს ტექნიკური, ორგანიზაციული თუ აკადემიური საკითხი. არ მერიდებოდა იმიტომ, რომ ვგრძნობდი — სიხარულით და სიამოვნებით მეხმარებოდა, დაუმადლებლად, ალალად და უსაყვედუროდ. ასევე იყო განწყობილი სხვა თანამშრომლების მიმართაც, რომელთაც მისი ხელმძღვანელობით შეასრულეს საკვალიფიკაციო ნაშრომები. სხვასაც ბევრს გაუმართა ხელი, თავისი სტუდენტო-

ბის მეგობრებს, სამსახურებრივ თუ აკადემიურ წინსვლაში.

უფროსის, მასწავლებლის პატივისმცემელი — ბატონ გიორგი მხეიძეს, კათედრის იმჟამინდელ გამგეს, ბავშვივით შესციცინებდა თვალებში, ყურადღებას არ აკლებდა, შეძლებისდაგვარად მხარში ედგა და უმსუბუქებდა სამსახურებრივ საქმიანობას თუ ყოფას, უაღრესად მორიდებულად ეპყრობოდა. მადლიერი იყო მისი, ხაზგასმით აღნიშნავდა, აღიარებდა, რომ ბევრი რამ ჰქონდა მისგან შეთვისებული, როგორც ექიმისაგან და უაღრესად ღირსეული, ინტელიგენტი პიროვნებისაგან, მადლიერების გრძნობა ხომ იშვიათი თვისებაა და გედის ეს პიროვნული მახასიათებელიც უხვად ჰქონდა მომადლებული ბუნებისაგან.

მშრომელი, ინტერესიანი, ახლის მაძიებელი — შესანიშნავი საექიმო სკოლა გაიარა ბატონ გიორგი მხეიძესთან თანამშრომლობისას, მის ღირსეულ მოწაფედ, შესანიშნავ ექიმად ჩამოყალიბდა; უყვარდა საექიმო საქმიანობა, წარმატებული ექიმიც იყო. კონდუქტომეტრიით იყო დაინტერესებული და გატაცებული და ამ სფეროშიც წარმატებული იყო.

ბევრი სიძნელე, უბედურება შეხვდა ცხოვრებაში, სრულიად დაუმსახურებლად. უსამართლობას ვერ იტანდა და მისი ოჯახი და თავადაც შეიქნა უსამართლობის მსხვერპლი. ესეც არ აკმარა ბედმა და ვაჟკაცი ვაჟიშვილი, უაღრესად კეთილი და ღირსეული, ყველასათვის საყვარელი და გამორჩეული პიროვნება, პატრიოტი და მებრძოლი პეტრე წაართვა არსთა გამრიგემ.

და ყოველივე ამის მიუხედავად, არ შეიცვალა; გამწარდა, მაგრამ არ გაბოროტდა; დაიჩაგრა, მაგრამ არასოდეს უწუწუნია; გული მოუკვდა, მაგრამ გარშემომყოფებისთვის ისევ ის ძველი გედი გელბახიანი დარჩა — ღიმილიანი, კეთილგანწყობილი, დახმარებისთვის მუდამ მზად მყოფი, სხვისი გაჭირვების გულთან ახლოს მიმტანი.

დაკრძალვისას, სასაფლაოს სამი ბოკვერი ადგა თავს შვილიშვილები, კუშტი სახეებით და ცრემლებით სავსე თვალებით. მათში და მათ მონაგარში გააგრძელებს სიცოცხლეს გედი გელბახიანი.

გურამ კიკნაძე

გახსენება

მე-4 კურსზე ვიყავი როდესაც გავიცანი ბატონი გედი. თერაპიაში გვიკითხავდა ლექციებს. ვიცოდით, რომ რექტორის ვაჟი იყო და მასთან ურთიერთობა ცოტა არ იყოს რთულად წარმოგვედგინა სტუდენტებს, მაგრამ ეს შეხედულება პირველი ლექციისთანავე გაქრა და იმავე დღიდან დაიწყო ჩვენი, სიამაყით ვიტყვი, მეგობრული დამოკიდებულება.

პირველივე დღესვე ვიგრძენით მისი პროფესიონალიზმი და ადამიანური სითბო. ვიგრძენით ისიც, რომ ახალგაზრდა ლექტორი არ სარგებლობდა იმ უპირატესობით, რითაც შეეძლო ესარგებლა იმ პერიოდში რექტორის ოჯახის

წევრს, შვილს. მართლაც, შემდგომში დავრწმუნდით, რომ ის ცხოვრების ყველა ეტაპზე თავისი შემართებით, ნიჭით, შრომისმოყვარეობით აღწევდა წარმატებებს.

ყოველი შეხვედრა, სამედიცინო თუ სხვა საკითხზე აზრის გაზიარება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე უფროსი ბრძანდებოდა, ყოველთვის სასარგებლო და საინტერესო იყო ჩვენთვის. გვიხაროდა მისი საუბრის, თუნდაც მისი დარიგებების მოსმენა. მასთან შეხვედრის სიხარული მთელი ცხოვრების მანძილზე გაგვყვა ყოფილ სტუდენტებს.

ბატონი გედი კეთილშობილი ბუნების ადამიანი იყო, თუმცა პრინციპული ხასიათი ჰქონდა. იყო საუკეთესო შვილი, მამა, მეუღლე, სამშობლოზე შეყვარებული პიროვნება.

ის მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა ცხოვრების გზაზე. თუმცა წინააღმდეგობა, რბილად ნახმარი სიტყვაა ამ შემთხვევაში, უფრო სწორია მის ცხოვრებას ტრაგედიებით სავსე ვუწოდოთ. მაგრამ კეთილი და ოპტიმისტური ხასიათი დაეხმარა დიდი სიძნელეების დაძლევაში.

სამშობლოს სიყვარულით შთაგონებით აღზარდა ვაჟი, პატარა პეტრე, პატარა ასაკით, თორემ სიმაღლით, ვაჟკაცობით, წარმოსადეგობით, განათლებითა თუ ზრდილობით ბევრი ვერ

შეედრებოდა. დანახვისთანავე გამოარჩევდით და იგრძნობდით თუ როგორ ოჯახში იუო გაზრდილი დიდი და საუკეთესო წინაპრების შთამომავალი.

წლების განმავლობაში კი რაც მათ ოჯახს დაატყდა თავს, ალბათ მარტო ფილმებში, ან ტრაგედიით აღსავსე პროზაულ ნაწარმოებში თუ ნახავთ.

ვინ იცის რამდენი გულისტკივილი გადაიტანა ბატონმა გედიმ, მაგრამ იცოდა, უნდა გაეძლო ყველაფრისათვის თუნდაც იმიტომ, რომ მასზე არანაკლებ განცდებში მისი მეუღლე გახლდათ, მათ ხომ შვილი ერთად დაკარგეს, ერთად ეჭიდებოდნენ ცხოვრების სიძნელეებს. როგორც ვაჟკაცი, თავს ვალდებულად თვლიდა მისთვისაც შეემსუბუქებინა უმძიმესი დღეების ტვირთი და... ამ მოვალეობასაც დიდებულად ასრულებდა.

თავისი დარდების გაზიარებით არავის აწუხებდა, თითქოს არაფრად აგდებდა იმ წინააღმდეგობებს, რომელთა გადალახვასაც ბევრი, თუნდაც სულიერად და ფიზიკურად ძლიერი ბუნების ადამიანიც კი ვერ შეძლებდა, ფიზიკურ ფორმას ინარჩუნებდა, მძიმე, იძულებითი ცხოვრებით გატარებულ წლებს ზოგჯერ ცინიზმითა და იუმორითაც კი იხსენებდა. განვლილი დროის ზოგიერთი ეპიზოდისადმი სწორედ ასეთი განწყო-

ბით თუ არა, სხვა როგორ ავხსნათ ის, რომ მრავალჭირგამოვლილმა, უკვე ისევ პროფესორმა, დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსმა, ერთ-ერთ სატელევიზიო კლიპში, პატიმრის ფორმაში გამოწყობილმა, პატიმრის როლი შეასრულა. ამით ის თითქოს დასცინოდა მათ, ვინც ოდესღაც მის თავისუფლებას შეეხო.

ცხოვრება გრძელდება. მეუღლე, ქალიშვილი, შვილიშვილები, ოჯახის წევრები, ახლობლები, ადამიანები, რომელთაც დიდად განიცადეს ბ-ნი გედის დაკარგვა, დაკარგვა ოჯახის ბურჯისა, მეგობრისა, მასწავლებლისა თუ სიცოცხლის გამხანგრძლივებელი მკურნალისა, ყოველთვის სანთელს აუნთებენ მის სულს, მის ხსოვნას. ისინი კი ვინც ერთხელ მაინც შეხვედრიან ბ-ნ გედის, არასდროს დაივიწყებენ სიცოცხლით სავსე ადამიანს, რომელსაც ვერც კი შეატყობდით რა სულიერი ტრავმები ჰქონდა გადატანილი და თავად გადასცემდა სიმშვიდის, სიკეთის და ოპტიმიზმის გრძნობას გარშემომყოფთ.

თეიმურაზ პეტრიაშვილი
თსსუ პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი
04.06.2013

კიდევ ერთი ტრაგედია

ტელეფონის ზარი — გარდაიცვალა გედი.

აბსოლუტურად მოულოდნელი, თავზარდამცემი, შოკისმომგვრელი შეტყობინება. გსურს რომ იყო ყრუ, ბრმა რომ აღარაფერი გაიგო და დაინახო, ე.ი. თავი მოიტყუო, მაგრამ სანამდის? ამ ფიქრებში ხარ ჩაფლული და უცბად თვალწინ გადაიშლება ათეული წლების მანძილზე ერთად გატარებული ბედნიერი და ასევე უმძიმესი წლები.

გედი და ნუციკო თითით საჩვენებელი წყვილი იყო, ბედნიერი და ამავე დროს ტრაგიკულიც. მახსენდება ჩემი ახალგაზრდობის წლები, ავლაბარი, ტატიშვილების დიდი ოჯახი, სადაც პირველად გავიცანი გედი. შემდგომში კი, როდესაც ნუცა მიდიოდა გელბახიანებთან, მე გედის ვუთხარი — გედი იცი რა გოგოს გატანთ, იცოდე ხელის გულზე სატარებელია-მეთქი. ეს რასაკვირველია ხუმრობით, მას ეს გაფრთხილება არ სჭირდებოდა, რაც ერთად განვლილმა წლებმა კარგად დაგვანახა.

გედი ოჯახში გაზრდილი კაცის საუკეთესო შემთხვევას წარმოადგენდა, იყო მშვიდი, გაწონასწორებული, არაჩვეულებრივი მეოჯახე, რო-

დესაც დარეკავდი და იკითხავდი ნუცას, ყოველთვის გპასუხობდა, ახლავე, ის აქვე მყავს და, მართლაც, გვერდიდან არ იშორებდა. ნუციკოც ბედნიერი იყო გედის არსებობით, მას ნაბიჯი არ გადაუდგავს მის გარეშე.

გედი იყო ძალიან ყურადღებიანი, რაც საკუთარ თავზე ბევრჯერ გამოვცადე. როგორც კი გამიჭირდებოდა, პირველი გედი გაჩნდებოდა ხოლმე და ბოლომდე გიპატრონებდა დაუზარებლად. ყურადღებიანი იყო საუბრის დროსაც, აუცილებლად მოგისმენდა, ხოლო კამათის დროს კი ძალიან აქტიური ხდებოდა, თავის გარშემო, შემოიკრეფდა მსმენელებს და საუბრობდა, სხვანაირ მყუდრო გარემოს ქმნიდა ხოლმე.

იგი ვიზუალურ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევდა და მშვენივრად გამოიყურებოდა, იყო პეწიანი, ელეგანტური. თუ ინსტრუმენტს დაინახავდა, თხოვნა არ სჭირდებოდა, მიუჯდებოდა და ძალიან გემრიელად უკრავდა, განსაკუთრებით ბლუზებს და ჯაზურ კომპოზიციებს. დაკვრის თავისებური მანერა ჰქონდა, დიდ სიამოვნებას ღებულობდა და სხვასაც იგივეს ანიჭებდა, იგი ძალიან უხდებოდა ინსტრუმენტს.

ხშირად მაგონდება წავკისი, სადაც ბოლო წლებში მე და ნუგზარი ვცხოვრობდით, შაბათ-

კვირას, გედი და ნუციკო ჩვენი სტუმრები იყვნენ, ზამთარში ბუხართან, ზაფხულში კი ღია აივანზე ვისხედით და ვიხსენებდით ერთად განვლილი ცხოვრების ყველაზე კარგ და საინტერესო წლებს, სამწუხაროდ, მძიმე პერიოდის გახენებაც გვიწევდა, ეს იყო ჩვენთვის ძალიან საყვარელი და დასამახსოვრებელი საღამოები.

მახსენდება გაგრაში გატარებული დღეები. მე და ნუგზარი ვისვენებდით სოჭში, დავრეკეთ ჩვენებთან მოსაკითხად და გვითხრეს, გუშინ ნუციკო წავიდა გაგრაში გედისთან სტუმრადო. მაშინ გედი და ნუცა ჯერ კიდევ არ იყვნენ დაქორწინებულები, გედი დედასთან ერთად იყო გაგრაში და ნუციკომ სიურპრიზი მოუწყო გედის. ასეთი ცნობის შემდეგ ჩვენც ავტყდით და მოვინდომეთ გაგრაში წასვლა, მეორე დღესვე გავემგზავრეთ. მათი მისამართი არ ვიცოდით, არაჩვეულებრივი დღე იყო, ეს იყო სექტემბერი, დავხეტიალობდით ქუჩაში და სრულიად მოულოდნელად წავაწყდით ნუციკოს და გედის, წაგვიყვანეს თავისთან, სამი თუ ოთხი დღე ვიყავით მათთან და არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ, ჩვენ ერთად ყოფნა გვიხაროდა.

გედი ერთხელ ძალიან გამიბრაზდა და სრულიად სამართლიანად. მიუხედავად იმისა, რომ

იყო მშვიდი და გაწონასწორებული პიროვნება, ზოგჯერ ბავშვების მიმართ იჩენდა ხოლმე საოცარ სიმკაცრეს. ჩემი შვილები ადვილი გასაზრდელები იყვნენ, შენიშვნასაც კი არ იმსახურებდნენ, მაგრამ, და, ისიც იშვიათად, სადილს ცუდად მიირთმევდნენ და მაშინ მათ ვაფრთხილებდი: ჭამეთ, თორემ გედი მოვა და ძალიან გაგიბრაზდებათ-მეთქი. ერთ დღეს როდესაც ბავშვები მიუსხდნენ სუფრას სადილისათვის, დაირეკა ზარი და სრულიად მოულოდნელად მოვიდა გედი, მე იმ წუთსვე მივაძახე გედი, რომ იცოდე, რა ცუდ დროს მოხვედი-მეთქი, ძალიან გაუკვირდა ასეთი რამ, როცა ვუამბე რაშიც იყო საქმე, გაგიჟდა — რა "პუგალას" როლში გყევარ? სხვა ვინმე ვერ მოძებნეო. შევარდა ბავშვებთან, მიეფერა მათ და უთხრა, როდესაც არ მოგინდებათ ჭამა, ადექით და ბევრი ითამაშეთო. ბოლოს ჩემმა შვილებმა მითხრეს — ქეთი რატომ გვატყუებდი, ხომ ხედავ, რა კარგი ყოფილა ძია გედიო.

მოგონებებს რა გამოლევს. ჩვენ წავკისში გვყავდა უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი, რომელიც არ იყო ავი და აშვებული გვყავდა ეზოში. მაგრამ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, თუ უცხოს დაინახავდა, საშიში იყო და ყოველთვის ვაბამდით. განსაკუთრებული დამოკიდებულება

ჰქონდა გედისთან, ის გრძნობდა, რომ გედის ეშინოდა ძაღლების, არა და ჩვენ ბასრას რომ დაინახავდი, გული გაგისკდებოდა შიშისაგან. გედის ამოსვლასთან დაკავშირებით იწყებოდა ერთი ამბავი, გაბრაზებული ყეფდა, ასკდებოდა ღობეებს, ეს სანახაობა იყო. ნუგზარი ჩამოჯდებოდა და სიცილით კვდებოდა ხოლმე, ბოლოს ბასრა აღმოჩნდებოდა თავის ვოლიერში, მაგრამ იქაც აგრძელებდა იგივეს. წავიდოდა თუ არა გედი, წყნარდებოდა და სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე. ასე გრძელდებოდა ბოლომდე.

არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ნუციკოს მიმართ. მე დღემდე ვარ გაკვირვებული, გაოცებული ნუცას გამძლეობით, მისი სიმტკიცით, თავდადებით თავისი ოჯახის მიმართ. ეს საოცრებაა, ეს იშვიათი მოვლენაა. როგორ შესძლო ამ ქალმა უმძიმესი, წარმოუდგენელი ამბების გადატანა არა ერთჯერ და ორჯერ, არამედ წლების მანძილზე, რომლის მომსწრეც მე ვარ. ეს დიდი გმირობაა, შენ ხარ საოცარი ფენომენი, ნამდვილი გმირი ქალი, ყოჩაღ ნუცა!



ინსტრუმენტთან ჩემი ძმა ნუგზარი, გედი, ქეთი შვილიშვილთან ერთად

მე მაინც ვფიქრობ, დიდი სიყვარული ყველაფერს გადაგატანინებს. ასე მოხდა შენს შემთხვევაში. ეჭვი არ მეპარება შენი შემართება აქაც გამოჩნდება.

აბა შენ იცი, ძალიან მიყვარხარ!

შენი ქეთი

მამა

მამა ყველას უყვარს... მშობლებს ხომ არ ირჩევენ, მაგრამ როცა წლები გემატება, მათ უფრო სხვა თვალით და ობიექტურად უყურებ; ადამიანი ისეთი ქმარი, მამა, შვილი და ბაბუაა, რა თვისებების მატარებელიც არის. ალბათ არ შეიძლება იყო ესეთი შვილი, ქმარი როგორიც მამა იყო და არ იყო სამაგალითო მამა და ბაბუა.

თამრიკო და მისი მეუღლე
ირაკლი კიკალიშვილი

არავის არ გავდა, იყო ისეთი, როგორიც იყო. ყველაფერში ზომიერი, კეთილშობილი თავის ოჯახზე, საქმეზე და სპორტზე შეყვარებული, დაუზარელი და განსაკუთრებულად კაცთმოყვარე. არ მახსოვს თავი დაეზოგოს, როცა მის გარშემო ადამიანებს რაიმე უჭირდათ. მისაბაძი გვერდში დგომა იცოდა, თუ ვინმე რამეს სთხოვდა, გეგონება უხაროდა, ან თუ თვითონ ხელეწიფებოდა, მალე დახმარებოდა.

დღევანდელი გადასახედიდან, რაც ძალიან დასაფასებელია და არც ისეთი ხშირი, მე და პეტრე გავიზარდეთ ძალიან მოსიყვარულე ოჯახში, იყო პრობლემები. ბაბუა რომ დაიჭირეს, მე 8 წლის ვიყავი, პეტრე 10-ის. ფაქტიურად, ციხის კარზე გავიზარდეთ, მაგრამ ოჯახში იყო ძალიან ჯანმრთელი გარემო, სამაგალითო ურთიერთპატივისცემა, სიყვარული და მეგობრობა, გელბახიანების, ტატიშვილების და ჩვენი სხვა ნათესავების, რაც როგორც მამის, ასევე დედის დამსახურებად მიმაჩნია. მიუხედავად ბევრი პრობლემისა, ჩვენ ძალიან ლამაზი ბავშვობა გვქონდა, ლამაზი ურთიერთობებით სავსე. დედა და მამა ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ჩვენთვის რითიმე მაინც შეემსუბუქებინათ ოჯახის ეს დიდი ტრავმა.

როდესაც ცხოვრებაში ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგებოდი, ყველაზე მეტად მამაჩემის აზრი მაინტერესებდა. ყურადღებით მისმენდა და ისეთ განსხვავებულ რჩევას მაძლევდა, როგორსაც სხვისგან ვერ მოვისმენდი...

ეხლა მარტო დედა დამრჩა, ჩემი ქმარ-შვილი და შვილიშვილები. დედა ჩემი მეგობარია. ის ძალიან ძლიერი ქალია, მაგრამ ვატყობ, რომ მამის დაკარგვამ ძალიან გატეხა.

ასე საოცრად დაგვენგრა ეს ძლიერი და სამაგალითო ოჯახი.

მამა ძალიან მიყვარს და ძალიან მენატრება.

თამრიკო გელბახიანი

სიცოცხლე ღმერთის მიერ ბოძებული ყველაზე დიდი წყალობაა, მაგრამ სიცოცხლე წყალობაც არის და გამოცდაც, წყალობაც არის და მოვალეობაც...

გედი გელბახიანი ის ქართველია, ვინც ეს მოვალეობა პირნათლად მოიხადა, ვინც შრომა და გარჯა არ დაიშურა — უანგაროდ, დაუნანებლად შესწირა ნიჭი და ენერგია საყვარელ საქმეს, ვინც ისწავლა და ასწავლა, გაამდიდრა მეცნიერება, კურნა სნეული, ვინც დათესა სიყვარული, იღვაწა ამა სოფლისათვის და თავდაუზოგავად შეებრძოლა ამაოებას.

რთული აღმოჩნდა ბრძოლაში მტერთაგან მოყვარის, მტყუანთაგან მართლის გამორჩევა, მაგრამ ამ გამოცდასაც კარგად გაართვა თავი სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა, ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, — თუმც ძალზედ მტკივნეული საფასურით. ღრმად ნაიარევი გულით იცოცხლა და იღვაწა სიცოცხლის ბოლომდე ბატონმა გედიმ, ისე რომ ადამიანურ ფასეულობათა შორის ყველაზე აღმატებული ფასეულობისათვის — ზნეობისთვის არ უღალატია. ჩვეული მოკრძალებით მისახსოვრა მან სახელოვანი მამის — პეტრე გელბახიანის და ქვეყნისათვის თავდა-

დებული ვაჟკაცის, შვილის — უმცროსი პეტრე გელბახიანის ავბედითი ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნები. ეს სევდიანი წიგნები მხნეობას მატებდა და სიამაყით ავსებდა მას.

ჩვენი ურთიერთობა უპირველესად კოლეგიალური იყო. წლების განმავლობაში ერთ კლინიკაში ვმოღვაწეობდით. ხშირად შემომივლიდა განყოფილებაში და თემა, რომელსაც ყველაზე ხშირად წამოწევდა ხოლმე ჩვენი საუბრების დროს — მომავალ პროფესიაზე ორიენტირებული და შეყვარებული სტუდენტების დეფიციტი იყო. წუხდა ექიმის პროფესიისადმი პატივისცემის შემცირების ტენდენციის გამოც და ცდილობდა ახსნა მოეძებნა შექმნილი პრობლემებისათვის. მისი წუხილი არა მხოლოდ დღევანდელზე, არამედ ქვეყნის მომავალზე იყო.

მოულოდნელი იყო მისი ამქვეყნიდან წასვლა. განვლილი წლები კი — მძიმე და ტკივილით აღსავსე. სულით ხორცამდე ინტელიგენტი, ღირსეული მამულიშვილი, გულისხმიერი ექიმი, შესანიშნავი პედაგოგი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული — ამ თვისებებით შემკულს ვიცნობდით და პატივს ვცემდით ბატონ გედის მეც და მისი თანამედროვენიც. ასეთივე დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში.

თემურ აბულაძე

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲠᲐᲕᲚᲐᲓ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ �გᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲒᲔᲓᲘ ᲒᲔᲚᲑᲐᲮᲘᲐᲜᲡ.

ᲜᲣᲪᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲓᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐ-ᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲑᲐᲢᲝᲜ ᲒᲔᲓᲘᲡ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲨᲘᲜᲐᲠᲡᲘᲐᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲔᲠᲒᲝ ᲬᲘᲚᲐᲓ.

ბატონი გედი გავიცანი, როდესაც თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული ფაკულტეტის დეკანატში დავიწყე მუშაობა. ალბათ ბოლომდე სიტყვებით ძნელად გამოიხატება ის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც მე ვგრძნობდი ამ უაღრესად კეთილშობილი და ინტელიგენტი პიროვნების მიმართ. მეამაყება, რომ ვიყავი მისი მეგობარი. ბატონი გედი იყო ნიჭიერების, ზნეობის და გონიერების მაგალითი. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ღვთისნიერი კაცი, ღირსეული მოქალაქე, მტკიცე, მართალი, ზოგჯერ შეუვალი, სიმართლისა და სიკეთისათვის თავდადებული.

ბატონ გედისთან ყოველი შეხვედრა იყო არა მხოლოდ სასიამოვნო და სასარგებლო, არამედ გმუხტავდა სიკეთით, საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულებით.

მინდა გავიხსენო პედიატრიული ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობა (ბატონი გედი ამ საბჭოს წევრი გახლდათ). არ მახსენდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომა, რომელზეც გედი არ ესწრებოდა. იგი სხვებისაგან განსხვავებით დანიშნულ დროზე ადრე მოდიოდა დეკანატში. მორიდებით შემოაღებდა კარებს, ჩამოჯდებოდა სკამზე და სევდანარევი ღიმილით იტყოდა, ხელს ხომ არ

გიშლით. მეც და დეკანატის ყველა წევრი ვცდილობდით არ გვესაუბრა იმ დიდ ტკივილზე, რაც ბატონი გედის ოჯახს გადახდა და საუბარი სახალისო თემებზე გადაგვქონდა. აი, აქ ბატონი გედი სრულიად ივიწყებდა იმ დიდ სატკივარს, გაჭირვებას, რომელიც მის ოჯახს დაატყდა და ამბობდა — "გელბახიანები ფსიქოლოგიურად ციხეგამძლეები ვართ". იგი მართლაც ვერ გატეხა ციხემ. მაგრამ, ბატონი გედი შვილის სიკვდილმა სრულიად შეცვალა, თუ არა მისი ერთგული მეგზური, მოსიყვარულე მეუღლე ქალბატონი ნუცა, ბატონი გედი ამ სატკივარს მარტო ვერ გაუმკლავდებოდა. მინდა გავიხსენო ამ შესანიშნავი წყვილის ურთიერთობა. ბატონი გედი ნუციკოს გარეშე (ასე ეძახდა იგი მას) არსად არ დადიოდა. მეუღლე მისი განუყოფელი ნაწილი იყო, ქალბატონ ნუცას წუწუნი არ სჩვეოდა, მითუმეტეს ახლობლებს არ დაანახებდა თავის გაჭირვებას. გაჭირვება კი დიდი ჰქონდა. ის ყოველთვის ღიმილიანი სახით ამხნევებდა ოჯახის წევრებს და განსაკუთრებით თავის მეუღლეს. დიდი სიყვარული აკავშირებდა ბატონ გედის ქალბატონ ნუცასთან.

მოსაგონარი ძალიან ბევრია, რასაც ერთი წერილი ვერ დაიტევს. ღრმად ვარ დარწმუნებული,

რომ ბატონ გედის როგორც ექიმის, პედაგოგისა და მეცნიერის მნიშვნელობა სწორად გაანალიზდება და მომავალში არაერთხელ მოგვეცემა შესაძლებლობა ვისაუბროთ მის მაღალ ნიჭიერებაზე, განუმეორებელ გონიერებასა და დახვეწილ ზნეობაზე.

ბატონი გედი ფრიად ნაყოფიერად და უმწიკვლოდ ემსახურა სამშობლოს, ხალხს და წარუშლელი კვალი დატოვა კაცთმოყვარეობაში, პროფესიულ საქმიანობაში, მეცნიერებაში, პედაგოგიკაში, შექმნა სამაგალითო ოჯახი.

ასეთ მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში ბატონი გედი, რომლის ნათელ ხსოვნას სათუთად შეინახავს ყველა, ვისაც ჰქონდა მასთან კონტაქტი ან ვისაც გაუგია იმ პროფესიული თუ ადამიანური დამსახურების შესახებ, რომელიც ჰქონდა ბატონ გედის ერის, ხალხის, საზოგადოების წინაშე.

პროფესორი ლიანა კიკალიშვილი

თსსუ ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ღირსეული შთამომავალი

ნუცა, გედი და ნუგზარი

როდესაც გედეონ გელბახიანზე მოგონების დაწერა გადავწყვიტე, მთელმა ჩემმა ცხოვრებამ თვალწინ ელვისებური სისწრაფით ჩამიქროლა; ვინაიდან ჩემი და ჩემი თაობის მრავალი პიროვნების ცხოვრებისეული გზა მის დიდ ოჯახსა და გარემოცვას უკავშირდება.

ამდენად, სანამ უშუალოდ გედიზე (ასე შინაურული, მოფერებითი სახელით მოვიხსენიებ

შემდგომში) მოგახსენებდეთ, პირველ რიგში მათი მშობლები მინდა მოვიგონო. ბედნიერად ვთვლი თავს, რამეთუ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩემი სწავლის პერიოდი ბატონი პეტრე გელბახიანის რექტორობის ყველაზე ნაყოფიერ წლებს დაემთხვა. დავესესხები მისი მოგონებათა წიგნის თანაავტორს მ. მიხაილოვას სიტყვებს — "მას ამშვენებდა მებრძოლი და ამაღლებული სული განფენილი ფიზიკურ სხეულში. ბრწყინვალე მეტყველება, დახვეწილი მანერები, ძალა სიტყვისა. ბატონი პეტრე შემოქმედებითი ბუნების ადამიანი გახლდათ. ის დაბადებიდან ასეთი იყო. ასე გაიზარდა და ამიტომ უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის კეთებას."

ვფიქრობ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ისტორიაში ბ-ნი პ. გელბახიანი მანამდეც (მოკრძალებით ვაღიარებ ვიცნობ რა მედიცინის განვითარების ისტორიას საქართველოში) და მის შემდგომ პერიოდში, დღემდე 17 რექტორს შორის სრულიად გამორჩეული პიროვნება გახლდათ. უპირველეს ყოვლისა, იგი იყო განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, რაც იმ პერიოდისათვის ეგზომ საჭირო იყო ინსტიტუტის განვითარებისათვის.

აკად. კონსტანტინე ერისთავის მიერ ჩაფიქრებული სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო კორპუსების მშენებლობას ბატონი პეტრეს უშუალო და აქტიური მონაწილეობის შედეგად ჩაეყარა საფუძველი. აქედან იწყება ფაქტიურად საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების აღზევების პერიოდი.

დღეს სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებს შორის განთავსებულ უცხო ქვეყნების ეროვნული დროშების მწკრივს სიამაყის გრძნობით გვერდს რომ ჩაუვლით (50-მდე ქვეყანაა, რომლებიც დღევანდელ უნივერსიტეტთან თანამშრომლობენ) ამის ფესვები სწორედ ბატონ პეტრე გელბახიანის რექტორობის პერიოდიდან იღებს სათავეს. სოფელ ბუნიკაურიდან (ჭიათურის რ-ნი) გედევან და სალომე გელბახიანების შვიდ შვილიანი ოჯახიდან წამოსულმა ერთადერთმა ჭაბუკმა როგორი რუდუნებით გაიკაფა გზა "დიდ ცხოვრებაში", მართალია ამ გზაზე იყო გამართლებაც — იმ მადლიანმა შორმჭვრეტელმა პიროვნებამ — აკად. იოველ ქუთათელაძემაც მისცა ბიძგი მის აღმასვლას.

ბატონ პეტრეს მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში გვერდს უმშვენებდა, თანამეგზურობდა, თანაუგრძნობდა და იზიარებდა ავსა და

კარგს ბრწყინვალე, უზადო მანდილოსანი ქალ-ბატონი თამარ ბეჟანიშვილი. ვფიქრობ, ბატონ პეტრეს აღმასვლასა და ტრაგედიაში გაძლებისათვის ძირითადი როლი მან ითამაშა.

იბადება კითხვა: როგორია იყო ზემოთ ასე მოკლედ დახასიათებული მშობლების შვილი გედეონ გელბახიანი? — სხარტად რომ უპასუხოთ ეს პირველ რიგში დიდი პასუხისმგებლობაა.

მეორე მხრივ ასევე გასათვალისწინებელია გედის შეძენილი მშობლების — აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილისა და დოცენტ თამარ მითაიშვილის ზეგავლენა მასზე. სრული დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ გედის მოწიფულობის ხანიდან, რაც მან თავისი ცხოვრება ქალბატონ ნუცა ტატიშვილს დაუკავშირა, მის პიროვნულ თვისებებზე, ადამიანურ მსოფლმხედველობრივ პრინციპებზე უდავო გავლენა იქონია ტატიშვილების დიდმა ოჯახმა, განსაკუთრებით ბატონმა ირაკლიმ და ქალბატონმა თამარმა, რომლებთანაც ურთიერთობაში გედის, ჩემის დაკვირვებით, რაღაც უზომოდ დახვეწილი მორიდებისა და მოწიწების გრძნობა ყოველთვის თანდევდა.

ალბათ მკითხველი გამიგებს, გედის უემოციოდ ვერ მოვუგონებ მის მეორე მამას ბატონ ირაკლი

ტატიშვილს, რამეთუ იგი იმავდროულად ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელიც გახლდათ. პირველ ყოვლისა, იგი იყო თავიდან ტერფამდე პედაგოგი-მასწავლებელი ამ "ხელოვნების" თანდაყოლილი ნიჭით დაჯილდოებული (მე ასევე ბედნიერად ვთვლი უმაღლესი სამედიცინო სკოლის იმ 55 თაობას, რომელიც მოესწრო ირაკლი ტატიშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობას), მას ჰქონდა განსაკუთრებული პიროვნული თვისებები: ის იყო ობიექტური და პირუთვნელი, ბუნებით სადა პიროვნება, ეჯავრებოდა პომპეზურობა, იყო ყველასადმი კეთილგანწყობილი, მასთან ყველას ძლიერ ადვილად შეეძლო დაემყარებინა ურთიერთობა და უსათუოდ დიდ კმაყოფილებას მიიღებდა მასთან შეხვედრისას. იყო საინტერესო მოსაუბრე. ფაქიზი იუმორის გრძნობით აღსავსე, რომლის დასტურია მისი პატარა უპრეტენზიო წიგნი — "ექიმი იღიმება". მან აქტიურად განვლო თავისი ცხოვრება, როგორც საზოგადო მოღვაწე იყო ყველგან, სადაც კი ამას საჭიროება მოითხოვდა. ცნობილია ასევე უტყუარი ფაქტიც, რომ აკადემიკოსი ირაკლი ტატიშვილი ასრულებდა საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობასაც, მაშინ, როდესაც პრეზიდენტი აკადემიკოსი ნი-

კოლოზ მუსხელიშვილი და პრეზიდენტის მოვალეობის ამსრულებელი აკადემიკოსი რაფიელ დვალი გახლდნენ შვებულებაში. (საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ბრძანება №113 1961 წლის ივლისის 18, §1).

ვფიქრობ, აქვე ასევე უპრიანია გავიხსენოთ ტატიშვილების საგვარეულოს დამსახურება ქართველი ერის წინაშე. მხედველობაში მაქვს ირაკლი ტატიშვილის მამის საეკლესიო მსახურის იაკობის განუზომელი და წარუშლელი დამსახურება თავისი ხალხისადმი, სამშობლოსადმი, რაც გამოიხატა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენებაში და ასე მოხვდა ტატოს საფლავი ქართველი ერის უპირველეს ძვალშესალაგში მამადავითზე მთაწმინდის პანთეონში. განჯაში მოღვაწე მღვდელი იაკობი ერის სიყვარულის იმ ბაცილით იყო დაავადებული, რომელმაც აიძულა იმ ძნელბედობის ჟამს გადაერჩინა დაკარგვას გზის მშენებლობისაგან ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავი.

ისევ იბადება კითხვა: როგორია იყო ზემოთწარმოდგენილი შეძენილი მშობლების შვილი — გედევან გელბახიანი? ასევე ლაკონურად რომ ვუპასუხოთ — ეს დიდი ადამიანური ვალდებულებაა!

აი, ასეთი ტვირთი ზიდა თავისი ცხოვრების მანძილზე გედიმ. იარა იმ პასუხისმგებლობით და ვალდებულებით, რომლებიც მისმა მშობლებმა დაანათლეს და დაუტოვეს.

ამ გზაზე კაცურად აღმა-დაღმა სვლა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მის გვერდით უერთგულესი, გულის მესაიდუმლე ქალბატონი ნუცა. მკითხველისათვის გააზრებაც კი წარმოუდგენელია თუ რა ცხოვრებისეულ ქარტეხილებს შეეჭიდა და გაუძლო მან. დიახ შეეჭიდა, შეებრძოლა, აბა თითოეულმა ჩვენთაგანმა თავის თავში ჩაიხედოს, გააანალიზოს, წარმოიდგინოს ის უძილო ცრემლიანი ღამეები, რომელიც ათეული წელი გრძელდებოდა... და თითქოს რაღაც გამოჩნდა... პეტრეც დაგვიბრუნდა. თითქოს ყველაფერი ასე თუ ისე დალაგდა, მაგრამ განგებამ ესეც არ გაკმარათ!

გედი! მაპატიე პეტუკაზე ვეღარ ვწერ, გამიგებ. ერთს კი ვიტყვი "ყველა შემოგვნატროდა და მეც მეამაყებოდა"-ო წერს ნუცა თავის მოგონებაში. მე ვფიქრობ ეს წარსულში სათქმელი არაა – უფრო მეტიც – ორივე პეტრე გამარჯვებულია, ისინი ზეციურ საქართველოდან დაგვცქერიან და თუკი რამე წარმატება იქნება ამ ქვეყანაში მათი ღვაწლიც უდაოა.

გედისთვის, ახლო სანათესაოს ასეთ გარემოცვაში მყოფი პირისთვის ადვილი საცდუნებელი იყო ამპარტავნობა, ქედმაღლობა, გამორჩენის სურვილი და ა.შ... რისგანაც ის ფაქტიურად განმუხტული გახლდათ. უფრო მეტიც, იგი ხასიათდებოდა თავმდაბლობით, სისადავით ურთიერთობაში, მარტივი გასაგები ადამიანური თვისებებით ხასიათდებოდა, ყოველგვარი აფიშირებადი მისთვის უცხო იყო. რექტორის შვილი, აკადემიის პრეზიდენტის სიძე – ასეთი ძლიერი გარემოცვის პატრონი – გედი გახლდათ ჩვეულებრივი პიროვნება სხვებისაგან არაფრით გამორჩეული, ის რაც მის წინაპრებს ახასიათებდა ყველაფერი მასში იყო თავმოყრილი. მის ცხოვრებაში გადახლართულ აღმასვლისა და წარმატებათა კასკადთან ერთად დიდია ტრაგიზმიც. იგი ღმერთს მიენდო და ღმერთს მიანდო იმის განსჯა რამდენად დამსახურებულად იწვნია ბედის ირონია. ბედს ადამიანები თვითონ ქმნიანო, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა არსებული გარემოებანი არჩევანს არ გიტოვებს. უნდა მოიქცე ისე, როგორც შინაგანი მე გკარნახობს. და აი, ასეთი შინაგანი სიხარულითა და გულისტკივილით იცხოვრა გედიმ უპრეტენზიოდ, კაცურად. ნუგეშად ისღა წაიღო იმ ქვეყნად, რომ მისი ნიჭიერი შთა-

მომავალი — შვილები, შვილთაშვილები სათუ-თად და საამაყოდ მოიხსენიებენ ღირსეული და დიდი წინაპრების ღირსეულ შთამომავალს.

შევეცადე, გედისთვის მომეგონებინა (ფრაგ-მენტულად) ის უშუალო გარემოცვა, რომელმაც არამარტო მასზე, არამედ მთელ ქართულ საზო-გადოებაზე წარუშლელი კვალი დატოვა.

გედეონ გელბახიანი
პეტრე გელბახიანი (უმცროსი)
პეტრე გელბახიანი
თამარ ბეჟანიშვილი
ირაკლი ტატიშვილი
თამარ მითაიშვილი
ნუგზარ ტატიშვილი

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები! თქვენი პატივისცემითა და სიყვარულით გა-ჟღენთილი

ზაზა თოფურია

რაც მარედან არ ჩანს...

გედი გელბახიანის გარდაცვალება მოულოდნელი იყო. სამძიმარზე მისულს მისმა მეუღლემ, ნუციკო ტატიშვილმა, დაწვრილებით მომიყვა წინა დღეების ამბები, გედის უეცარი გარდაცვალების შესახებ. ყველა გაკვირვებული აღნიშნავდა – რამ მოკლა ეს კაცი: არ ეწეოდა, არ სვამდა, ყოველდღე ვარჯიშობდა, ცხოვრების ჯანმრთელი წესის აქტიური მიმდევარი იყოო.



ნუცა და გედი

ფეხით გამოვუყევი სახლამდე გზას და ვფიქრობდი ადამიანის ცხოვრების იმ მხარეზე, რომელიც გარედან არ ჩანს და რომელიც სულს უღრღნის ადამიანს. თუ შევძლებ, მაშინდელ ჩემს ფიქრებს გადმოვიტან ამ ფურცლებზე.

გედი გელბახიანი 1967 წელს გავიცანი. მეოთხე კურსის სტუდენტს თერაპიას მიკითხავდა პროფესორი გოგი მხეიძე, რომლის კათედრაზეც დოცენტად მუშაობდა ახალგაზრდა გედი გელბახიანი. კათედრა ე.წ. მერვე საავადმყოფოში იყო მოთავსებული. ლექციის დროს პროფესორს კათედრის პედაგოგიური პერსონალი ესწრებოდა. ერთ-ერთ ლექციაზე პროფესორმა მოულოდნელი კითხვა დამისვა, მე სწორი პასუხი გავეცი, რის გამოც შენიშვნის საფუძველი წავართვი. იგივე განმეორდა შემდეგ ლექციაზე. ჩემი პასუხი ისე მოეწონა, რომ ბრძანა — "დღეიდან შენ დაჯდები კათედრის ასისტენტების გვერდითო". შემდეგ ჩემი თავი ჩააბარა გედი გელბახიანს სამეცნიერო წრეში სამუშაოდ. გედი გელბახიანი იმ პერიოდში სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა და მე, მისი ხელმძღვანელობით, ვასრულებდი ბიოქიმიურ გამოკვლევებს კათედრის შესანიშნავად აღჭურვილ კლინიკურ ლაბორატორიაში.

ამ პერიოდს ტკბილად ვიგონებ. სტუდენტები დიდ პატივს ვცემდით ინსტიტუტის მაშინდელ რექტორს პროფესორ პეტრე გელბახიანს, რომლის ვაჟი, თერაპიის კათედრის დოცენტი, ჩემი უფროსი მეგობარი გახდა. სამსახურის შემდეგ სანზონიდან მისი "ვოლგით" ვბრუნდებოდით ქალაქში, ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე, რომელსაც განაგებდა აკადემიკოსი ვლადიმერ ჟღენტი, ხოლო კათედრის პროფესორი გახლდათ აკადემიკოსი ირაკლი ტატიშვილი.

ირაკლი ტატიშვილი გახდა ჩემი პირველი მასწავლებელი პათოლოგიურ ანატომიაში. ბატონი ირაკლი დინჯი, აუჩქარებელი, ყურადღებიანი, ძალიან შრომისუნარიანი და თბილი კაცი იყო. თუ ახალგაზრდას შრომისმოყვარეობას შეატყობდა, უმეგობრდებოდა და თავს არ ზოგავდა, რომ მეცნიერად ექცია. შაბათს, გვიანობამდე კათედრაზე მუშაობის შემდეგ, კვირას სახლში მიბარებდა, ასე გავხდი ამ ოჯახის წევრი. ბატონ ირაკლის ჰყავდა შესანიშნავი, სათნო მეუღლე, ცნობილი პედიატრი თამარ მითაიშ-

ვილი, რომელიც დიდად ზრუნავდა ჩემზე. ბატონი ირაკლის არამარტო ოჯახის წევრები, ნუციკო და ნუგზარ ტატიშვილები, არამედ ახლო ნათესავებიც გახდნენ "ჩემები" და აგერ ოთხათეულ წელზე მეტია მათ ჩემ ახლობლებად ვთვლი.

გედი გელბახიანი გახლდათ ნუციკო ტატიშვილის მეუღლე, ირაკლი ტატიშვილის საამაყო და საყვარელი სიძე. იმ პერიოდში ხშირად ვხვდებოდი მას ბატონ ირაკლისთან, სადოქტორო დისერტაციის დაცვის საკითხებზე კონსულტაციებს იღებდა სიმამრისაგან.

ამ პერიოდში საქართველოში შეიცვალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ახალმა ხელმძღვანელმა გაანთავისუფლა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი პროფესორი პეტრე გელბახიანი და სულ მალე დააპატიმრა. დაიწყო პეტრე გელბახიანის და მისი ოჯახის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, აღვირახსნილი ცილისწამებები. მიუხედავად ამ ბრძოლისა, საზოგადოების დიდ ნაწილში პეტრე გელბახიანი გარკვეულ სიმპათიებს იმსახურებდა, რაც უფრო მეტად ამძაფრებდა ხელისუფლებისაგან მის წინააღმდეგ ბრძოლას. ამას ყოველივეს ძლიერ გა-

ნიცდიდა ჩემი მასწავლებელი, ირაკლი ტატიშ-ვილი, მისი ოჯახი და ჩვენ, მისი მოწაფეები.

ამას რომ ვიხსენებ ახლა, ვფიქრობ, რა ხდებოდა გედი გელბახიანის სულში. დედისერთა ვაჟი, ფრიადოსანი მოსწავლე, ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, კანონმორჩილად მუშაობს განაწილებით, იცავს საკანდიდატო დისერტაციას, არის კათედრის დოცენტი, ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერი, ლამაზი ცოლშვილის პატრონი და ეს ყველაფერი კეთილსინდისიერი ცხოვრებით მოიპოვა და უცებ დაუმსახურებელი ლანძღვა, შევიწროვება, მისი ოჯახისაგან დავალებული ბევრი "ახლობელი" თავს არიდებს, აღარ უნდათ მასთან ახლობლობა. ერთი წუთით წარმოგიდგენთ იმ წლებში რას განიცდიდა გედი, მართალია მას ფიზიკურად ვერავინ ატყობდა ამას, ისევ ლამაზად გამოიყურებოდა, მაგრამ სულში რა ხდებოდა, როგორ ტკიოდა, ვინ იცის.

მრავალი წელი იარა ციხეში მამის სანახავად. პეტრე გელბახიანს სთავაზობდნენ შეწყალების თხოვნას, მაგრამ მან ეს არ გააკეთა და თითქმის ბოლომდე მოიხადა სასჯელი. პეტრე გელბახიანის ციხიდან გამოსვლის შემდეგ თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო და ამ დიდ

ოჯახს უნდა მოეშუშებინა იარები, მაგრამ — კაცი ბჭობდა და...

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ყველა ქართველთან ერთად გელბახიანების ოჯახიც სიხარულით შეხვდა, მაგრამ პირველი პრეზიდენტის დამხობას "ყველა ქართველისაგან" განსხვავებით გელბახიანები წინ აღუდგნენ.

სულ მალე დააპატიმრეს მამა-შვილი გედი და პეტრე გელბახიანები. პეტრეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს. რას განიცდიდა ამ დროს თვითონ პატიმარი და სიკვდილმისჯილი შვილის მამა, გაიგებს ვინმე? ალბათ ღმერთმა იცის და თვით გედიმ იცოდა.

უკანასკნელი ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე, თითქმის ყოველი დილის შვიდ საათზე ვხვდებოდი გედის ვაკის პარკში ან კუს ტბაზე, ათას რამეზე ვსაუბრობდით, როდესაც შვილის პატიმრობის ამბავს მიყვებოდა, სასჯელის უმაღლესი ზომის ხანგრძლივი პატიმრობით შეცვლის საკითხებს ეხებოდა, სულ სხვანაირი ხდებოდა, ხმა უდაბლდებოდა და სახე უფერმკრთალდებოდა.

გედი გელბახიანი ციხიდან გამოსვლის რამდენიმე თვის თავზე კავსაძის ქუჩაზე შემხვდა და დიდი საყვედური მითხრა, რომ ციხიდან გამოს-

ვლის შემდეგ უმუშევარია და მე არც კი დავინ-
ტერესდი მისი ბედით. იმხანად, თბილისის სახ-
ელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავ-
ლო დარგში პროორექტორად ვმუშაობდი. ეს
ისეთი მტკივნეული საყვედური იყო ჩემთვის,
რომ იმავე დღეს მოველაპარაკე სამედიცინო უნ-
ივერსიტეტის რექტორს გედის უმაღლეს სკო-
ლაში დაბრუნების შესახებ. ამ საკითხის გადა-
წყვეტა იოლი არ იყო, რადგან გედის ადგილზე
უკვე არჩეული იყო ახალი კათედრის გამგე, მა-
გრამ ყველა შეგნებულად მიუდგა ამ საკითხს და
გედის გაუნთავისუფლეს ადგილი. ყველა საკით-
ხი რომ მოვაგვარე, თვით გედი გელბახიანმა კა-
ტეგორიული უარი განაცხადა კათედრაზე და-
ბრუნების შესახებ მანამ, სანამ სამსახურში არ
აღდგებოდა მასთან ერთად დაპატიმრებული
ამავე კათედრის დოცენტი ზურაბ ზედანია. გე-
დიმ მითხრა მე მორალურად ვალდებული ვარ,
რომ ეს გავაკეთოო.

შემდეგი დიდი ტრაგედია გედის ცხოვრებაში,
მისი ვაჟის, ახალგაზრდა კაცის, პეტრე გელბახ-
იანის მოულოდნელი გარდაცვალება გახდა.
ბევრს უთქვამს ჩემთვის, რა ძლიერი კაცია გედი,
როგორ გადაიტანა შვილის სიკვდილიო. ვაი,

რომ ვერ გადაიტანა, მისმა ჯანმრთელმა სხეულმა ვერ გაუძლო ამდენ სულიერ ტკივილს.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ამ ტკივილების გადამტანი არის ჩემი ნუციკო ტატიშვილი, ჩვენი დროის ოთარაანთ ქვრივი, და მას მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა, გამძლეობა, რათა გედის შთამომავლობას კარგად მოუთხროს და დაამახსოვროს გელბახიანების ოჯახის დიდი ისტორია.

პროფესორი ბესარიონ კილასონია

გელბახიანების საგა...
(შემოკლებით)

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან საუკუნის დასასრულამდე თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის აკადემიკოს პეტრე გელბახიანის, მისი შვილის და შვილიშვილის, გედი და უმცროსი პეტრე გელბახიანების მაღალი სამეცნიერო თანამდებობრივი საქმიანობა, აქტიური საზოგადოებრივ ეროვნულ-პოლიტიკური ქმედებები, ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების და მართლმსაჯულების და გამოძიების საგანი გახდა.

ნუცა და გედი ზაურ ებრალიძესთან ერთად

საზოგადოებაში მოარული ხმებიდან გამომდინარე: ინტრიგების და შურისძიების საფუძველზე მცხოვანი მეცნიერი ბატონი პეტრე აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. მას არაერთგზის შესთავაზეს თავისუფლების ფასად დანაშაული ეღიარებინა და შეწყალება ეთხოვა, პასუხად, სასჯელი კალენდარუალდ დაამთავრა.

1992 წელს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებით გამოწვეული ანარქიული მოვლენების ფონზე დაკავებული და გასამართლებულნი იყვნენ მამა-შვილი გედევან (გედი) და უმცროსი პეტრე გელბახიანები. მათ სამშობლოს თავისუფლება სურდათ, შეეძლოთ ლაღად და უზრუნველად ეცხოვრათ, მაგრამ თავისუფლება საკანზე გაცვალეს.

ქართული ანდაზა გვამცნობს "კვიცი გვარზე ხტისო", არც მათ უღიარებიათ დანაშაული, ყოველი ჩვენთაგანი, ხომ მშობლებს ვიმეორებთ, მეტ-ნაკლებად მათ სულიერებას ვაგრძელებთ.

1995 წელს, 16 აგვისტოს სასჯელის მოსახდელად ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში შემოვიდა ბატონი გედი გელბახიანი, მოგვიანებით კი უმცროსი პეტრე. ბ-ნი გედი განაწილების კომისიამ ჩარიცხა პირველ რაზმეულში და საცხოვრებლად გაამწესა საერთო საცხოვრებელში.

განაწილების შემდეგ ბ-ნი გედი დავტოვე კაბინეტში და მივმართე თუ რაიმე თხოვნა გაქვთ მომმართეთ-თქო. რა აზრი აქვს ჩემს თხოვნას, როდის იყო, რომ პატიმრის თხოვნას ასრულებდნენ, ამით გამოხატა უკმაყოფილება სასჯელაღსრულების სისტემის მიმართ. თქვენ სცადეთ-მეთქი. მაშინ მითხრა, იქნებ ოჯახს შეატყობინოთ, რომ ავჭალის კოლონიაში ვარ. მე იმავე საღამოს ოჯახს შევახვედრე.

მეორე დღეს გამოვიძახე ბ-ნი გედი, ჩავუტარე დიდაქტიკურ-დამრიგებლური საუბარი, გავაცანი დაწესებულების შინაგანწესი, ვაჩვენე სამედიცინო ნაწილის ორი სართული, I სართ. 15 საწოლით, II სართულზე კი — შესაბამისი სამედიცინო კაბინეტები, რომ გვაქვს 3 საშტატო ერთეული ექიმის და ჩემი თხოვნა იყო გაეწია კონსულტაცია სამედიცინო სამსახურისთვის, მოგცემთ კაბინეტს კონსულტაციისთვის და უფლებას გაძლევთ გამოიყენოთ საცხოვრებლად, მიუხედავად იმისა, რომ კანონს ვარღვევ. პასუხს ნუ იჩქარებთ, ხვალ მითხარით. მეორე დღეს მოკრძალებით შემოვიდა ჩემთან კაბინეტში — სამედიცინო სამსახურს გვერდით დავუდგები, საცხოვრებლად კი არ გადავალ, მე უნდა ვიყო იმ პირობებში, როგორც ყველა. შეღავათებს ადმინისტრაციისა-

გან არ საჭიროებენ — გასაგებია ვუპასუხე, პატივს ვცემ თქვენს გადაწყვეტილებას. მრავალჯერადი შეხვედრის შემდეგ დავარწმუნე, რომ ჩემი თხოვნა შედის პატიმრის ინტერესებში, რათა 24 საათიანი მზრუნველობა გაუწიოს ავადმყოფ პატიმრებს. იმძლავრა გედევანში ჰიპოკრატეს ფიცმა და დამთანხმდა, შედეგმაც არ დააყოვნა, თითქმის შეწყდა სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების გამოძახებები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მსჯავრდებულების სამკურნალად გადაყვანისა. ბ-ნი გედი ტერიტორიაზე გადადგილდებოდა, როგორც წესი, ფონედოსკოპით, წნევის აპარატით, პირველადი დახმარების მედიკამენტებით.

გედის კოლონიაში ყოფნის დროს ადგილი არ ჰქონია მსჯავრდებულის სიკვდილიანობას, არაერთი მსჯავრდებული იხსნა გედიმ ფატალური შედეგისაგან (მათ შორის თენგიზ კიტოვანი). მსჯავრდებულებს მის მიმართ უაღრესად დადებითი განწყობა გაუჩნდათ: ფეხზე წამოუდგებოდნენ, ადგილს უთმობდნენ. ხშირად მსჯავრდებულთა დებოშს, დაპირისაპირებას ანეიტრალებდა.

მოვიდა დრო და მამა-შვილი განთავისუფლდა, ჩვენი ურთიერთობა კი გაგრძელდა. არაერთი ჩემი თხოვნით ავადმყოფი მსჯავრდებულების დასახმარებლად კოლონიაში გვეწვია. მისი გამოჩენა იმედს უნერგავდა უმწეო ბრალდებულებს.

ერთ დღეს ბ-ნი გედი მირეკავს და მთხოვს განსაკუთრებით ყურადღებით მოვუსმინო: "დღეს ახალგაზრდა მედიკოსთა სამეცნიერო კონფერენციას დავესწარი, პირველი გამომსვლელი, ახალგაზრდა ქალიშვილი კითხულობდა მოხსენებას. კონფერენციის შემდგ სწორედ ამ გამომსვლელით დავინტერესდი და კათედრაზე მივიწვიე გასაცნობად, ჰოი, საოცრებაც, იცი ვინ აღმოჩნდა ეს გოგონა, თქვენი ასული. შემდგომ სიტუაცია ისე წარიმართა, რომ ბ-ნ გედის ხელმძღვანელობით ქეთევან ებრალიძემ დაიცვა დისერტაცია — დღეს იგი მედიცინის დოქტორია. სწორედ ამაზე იტყვიან — კვალი სიკეთისა.

ქალის ყველაზე დიდი სამკაული ერთგულებაა, ეს ღვთიური გრძნობა განსაკუთრებით ცოლქმრულ ცხოვრებას ალამაზებს, მხოლოდ ერთგულების ფუძეზე ხარობს ოჯახი, გელბახიანების ოჯახს კერია რომ არ გაუცივდა, ეს ბატ. გედის მეუღლის ქალბატონი ნუციკო ტატიშვილის

დამსახურებაა. მას შესაძლებელია ვუწოდოთ გელბახიანებისთვის წამებული.

უფალს შევთხოვ – გელბახიანების შვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილები გამრავლდნენ, ისეთივე ზნეკეთილი იყვნენ, როგორც მათი წინაპრები, ბედნიერად ეცხოვოთ თავისუფალ საქართველოში.

ღმერთს ვავედრებ ღირსეული მამულიშვილების პეტრე, გედევანი და პეტრე უმცროსი გელბახიანების სასუფეველში დამკვიდრებას.

ზაურ ებრალიძე

ავჭალის კოლონიის ყოფილი დირექტორი,
იუსტიცის პოლკოვნიკი

01.04.2013 წ.

ბატონი გედი გელბახიანი ჩემი უმცროსი მეგობარი ბრძანდებოდა

ალბათ ბევრი დამეთანხმება იმაში, რომ ჩვენ შორის მართალია შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა, უაღრესად მორიდებული და თავმდაბალი ქცევით ხასიათდებიან, რისთვისაც ისინი ყოველთვის განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ. სწორედ პიროვნებათა ამ კონტიგენტს შეიძლება მივაკუთვნოთ ბევრი ჩვენთაგანისათვის ახლო და ცნობილი ადამიანი, ბატონი გედევან (შინაურულად გედი) გელბახიანი, რომელსაც ცხოვრებაში ენით ძნელად აღსაწერი სიძნელეების გადატანა მოუხდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გედი ფსიქო-ფიზიკურად უაღრესად ძლიერი პიროვნება ბრძანდებოდა, ბოლოს ის მაინც ტრაგედიების კასკადის მსხვერპლი აღმოჩნდა.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თერაპიის დარგის პროფესორი გედი გელბახიანი აკადემიკოს ბატონ პეტრე გელბახიანის შვილი, ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში ერთ-ერთ პერპექტიულ მუშაკად ითვლებოდა. მინდა აღვნიშნო,

რომ მე, რომელმაც სწავლითა და მუშაობით, უკვე 68 წელია რაც დღემდე ვმოღვაწეობ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ უმაღლეს სასწავლებელს ისეთ ძლიერი რექტორი, სრული ამ სიტყვის მნიშნველობით, როგორიც ბატონი პეტრე გელბახიანი ბრძანდებოდა, არც-ერთ ეტაპზე არ ყოლია, რაც არ უნდა იყოს დავიწყებული. მან შეძლო ჩვენი ინსტიტუტის (დღეს უნივერსიტეტის) მუშაობის ძირითადი მიმართულებების მნიშვნელოვნად სრულყოფა, რაც საბჭოურ პერიოდში უაღრესად რთულ საქმედ ითვლებოდა, ვინაიდან ყველაფერი დამოკიდებული იყო არა მარტო საქართველოს მთავრობაზე, არამედ პრობლემები აუცილებლად კავშირის მასშტაბით მოითხოვდა გადაწყვეტას.

ბატონი გედი გელბახიანი მე გავიცანი მაშინ, როდესაც ის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. მრავალი წლების განმავლობაში კათედრას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, გარდა საექიმო ფიზკულტურისა, ევალებოდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტში აკადემიური და სექციური მუშაობის ჩატარება. მე ვალდებული ვიყავი გავცნობოდი

ახალ სპორტსმენ – სტუდენტებს, რომელთა შორის გედევანიც შემხვდა. გედი შესანიშნავად ცურავდა და სისტემატურად იცავდა ჩვენი ინ-სტიტუტის სპორტულ ღირსებას სხვადასხვა შეჯიბრებებზე სპორტის ამ სახეობაში, ამავე დროს ის იწყებს სტუდენტთა სამეცნიერო წრე-ში მუშაობას. გედი უაღრესად ზრდილი და თავ-დაჭერილი სტუდენტი იყო, რასაც სტუდენტები და პედაგოგები ყოველთვის დადებითად აფა-სებდნენ. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი გედი აქტიურად ჩაერთო სამეც-ნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში თერაპიის სპე-ციალობით. ჩვენ ძალიან დავახლოვდით და და-ვიწყეთ მეგობრობა. შეხვედრების დროს ის მი-ზიარებდა თავის შეხედულებებს სწავლების, მკურნალობისა და კვლევითი მუშაობის ზო-გიერთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ვფი-ქრობ, რომ იყო საგულისხმო და განხილვას მოითხოვდა. ალბათ თავისი მოკრძალებული ხა-სიათის გამო ის ერიდებოდა ამ საკითხის აქტი-ურად კათედრის წინაშე დაყენებას, ხოლო შემ-დეგ როდესაც ამის შესაძლებლობა მიეცა, მისი ოჯახის თავზე გაჩენილმა ამ ორომტრიალმა, უკვე აღარ მისცა საშუალება რათა ამ მიზნით ჩაეტარებინა სათანადო მუშაობა.

ბატონი გედი გელბახიანი ჩემს უფროს და განსაკუთრებით უმცროს მეგობრებს შორის, ჯანმრთელი ადამიანის ეტალონად მიმაჩნდა, მაგრამ მისი ოჯახის უკუღმართმა ბედმა ასეთი ვაჟკაცი სრლიად მოულოდნელად წელში გატეხა, ვინაიდან რაც მოხდა შეუძლებელი იყო მათი გადატანა.

უდაოა, რომ პროფესორი, ბატონი გედი გელბახიანი, ყოველთვის კეთილად იქნა მოგონებული მათ მიერ ვინც კი მას და მის ოჯახს იცნობდა, რომელთა რიცხვი ჩვენ საზოგადოებაში ერთობ დიდია.

რომანოზ სვანიშვილი

»ჩვენ რაღას გვერჩოდნენ?!«

ნუცას სატელეფონო ზარმა და მისმა ხმამ (გედის გარდაცვალებიდან რამოდენიმე თვეში) ჯერ შემაშინა – კიდევ რაიმე უბედურება ხომ არ დაატყდა თავს ამ მრავალწამებულ ოჯახს და მერე, მისმა თხოვნამ გამაკვირვა (?!) არა იმ-იტომ, რომ ეს თხოვნა უჩვეულო იყო, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ამ დღეებში, რატომღაც სულ გედი გელბახიანის სახე მედგა თვალწინ. ნუცას თხოვნაც სწორედ ჩემს შინაგან სურვილს დაემთხვა – დამეწერა რამოდენიმე სიტყვა დაუ-ვიწყარი გედის მოსაგონარი.

მერაბ დვალი, გედი და ნიკო გონგაძე

გედი ჩემი მეგობარი — აი, ასე მინდა წარმოვაჩინო გედევან დიდი პეტრეს ძე (და "პატარა" პეტრეს მამა) გელბახიანი.

გედის თავისებური წარმოდგენა ჰქონდა მეგობრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან ბევრ ადამიანს იცნობდა (და კიდევ უფრო მეტი იცნობდა მას), მეგობრული ურთიერთობა მხოლოდ ერთეულებთან აკავშირებდა და ეს თითოოროლა წარმომადგენელი ყველა ასაკობრივ ჯგუფში მოეძებნებოდა. გედი საერთოს ნახულობდა, როგორც მასზე ბევრად უმცროს, ასევე, მასზე ასაკოვან ხალხთანაც. ის განუწყვეტლივ ეძებდა მათთან შეხების საინტერესო წერტილებს. მაგალითისთვის მოვიყვან მინიფეხბურთის ტურნირებს, რომელში მონაწილე გუნდებსაც იგი უშუალოდ აკომპლექტებდა სხვადასხვა ასაკის მოთამაშეებისგან (ინსტიტუტის პედაგოგებისა და სტუდენტებისგან).

გედი გელბახიანთან ყველა დაახლოებულ პიროვნებას, რომელსაც მეგობრის დასტური ეძლეოდა, აერთიანებდა ერთი საერთო თვისება — ერთგულება, რადგან მისთვის ეს გრძნობა უზენაესი იყო და ვერ წარმოედგინა მშობლის, ოჯახის წევრის, მეგობრის, სამშობლოს ან საქმის ღალატი.

ამ თვისების გამძაფრებული შეგრძნებით იგი, ხშირად, თანამედროვე დონ კიხოტის ამპლუაშიც ევლინებოდა საზოგადოებას.

ერთი ეპიზოდი მახსენდება კვირა დღეს, გედის, ხანგრძლივი "მივლინებიდან" ახლადდაბრუნებულს, შემთხვევით შევხვდი ვაკის პარკის ტრადიციულ "სარბენ ბილიკზე".

ჩემთვის მძიმე იყო გედის რამოდენიმესაათიან, თითქმის მარათონულ გარბენში ავყოლოდი. ამიტომ, შუა დისტანციაზე, ბაღის სკამზე ჩამოვჯექი. დიდი ხნის უნახავებს ბევრი რამ გვქონდა ერთმანეთისთვის მოსაყოლი. გედი გვერდზე მომიჯდა, დაწვრილებით მოიკითხა ჩემი ოჯახის წევრები და შემდეგ, ჩამოყვა ჩვენი საერთო, ნაცნობ მედიკოსთა ამბების მოკითხვას.

აღმოჩნდა, რომ მის მიერ დასახელებული პირებიდან ბევრმა საერთოდ დაანება თავი ექიმობას და ხელი სხვა საქმიანობას მოჰკიდა. როცა მის მიერ ჩამოთვლილი ასეთი ადამიანების რიცხვმა 10-12 კაცს გადააჭარბა, თვალები ზეცას აღაპყრო და წყნარად, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, დანანებით წარმოსთქვა: "ჩვენ რაღას გვერჩოდნენ?! მათი გულისთვის, თითქმის მთელი ოჯახი ამოგვწყვიტეს და მაგ შეჩვენე-

ბულებს, თუ ექიმობა არ უნდოდათ, ვინ აიძულებდათ სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარებას?!“

გედი გელბახიანი — ღირსეული მამულიშვილი, გედი — ღირსეული ოჯახიშვილი, გედი — მოსიყვარულე მეუღლე, გედი — კეთილშობილებით აღვსილი მშობელი, გედი — გამოცდილი პედაგოგი, გედი — ღვაწლმოსილი მეცნიერი, გედი — მაღალკვალიფიციური მკურნალი!...

აბა, ამ ჩამონათვალს, კიდევ რაღა დაემატება ერთი, არც თუ ძალიან მცხოვანი, ზეცად ამაღლებული, სულითხორცამდე ალალი, ქართველი კაცის მიერ განვლილი ცხოვრების შესაფასებლად.

აი, ასეთი პიროვნება იყო გედი გელბახიანი — ჩემი მეგობარი.

ცრემლით სავსე თვალით ვწერ და ვიგონებ

მერაბ დვალი

2013 წლის 3 აპრილი

მონატრება

ეს სიტყვა გამოხატავს სწორედ იმ ნოსტალგიას, რომელსაც განიცდი მეტად ახლობელი ადამიანის დაკარგვის გამო. სწრაფად მიილია ახალგაზრდობის წლები, ჩემი ცხოვრების ის ფრაგმენტი, როდესაც განსაკუთრებით მდიდარი ვიყავი ჩემთვის გამორჩეული ადამიანების სიმრავლით. მრავალი მათგანი აღარ არის ჩვენს გვერდით და აი, სულ ახლახანს, მათ შორის ალბათ ჩემთვის ერთ-ერთმა ყველაზე უძვირფასესმა პიროვნებამ — შექსპირის ენით რომ ვთქვათ, ვეღარ გაუძლო ცხოვრების იმ ბედუკუღმართობას, რომელმაც "გაიმაჭანკლა" სინდისი და პატიოსნება. ბატონი გედევანი, ან სულაც ჩემთვის უბრალოდ გედი, როგორც მას ვუწოდებთ მე და ჩემი მეგობრები სრულიად უჩუმრად, უპრეტენზიოდ წავიდა ამ ცხოვრებიდან, თითქოს არ უნდოდა არავის შეწუხება. მისი სახით ქართულმა საზოგადოებამ, სამედიცინო სამყარომ და სრულიად საქართველომ მძიმე დანაკლისი განიცადა. წუთისოფელს განშორდა პიროვნება, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ჩვენს ცნობიერებაში, როგორც ინტელიგენტმა, შესანიშნავმა მეცნიერმა-პედაგოგმა, უფროსმა მეგობარმა, კოლეგამ და

მაღალი შინაგანი კულტურის მატარებელმა პროფესორმა. მრავალი ათეული წლის განმავლობაში მისი სასიამოვნო ღიმილი იმ კეთილგანწყობის გამოხატულებას წარმოადგენდა, რომლითაც იგი განმსჭვალული იყო ადამიანების მიმართ. გარეგნულად მანიფესტირებულ რბილ ხასიათთან ერთად ბატონი გედის პიროვნება აერთიანებდა სულიერ სიმტკიცეს, ღრმა პატრიოტიზმს, სიბრძნეს და კაცთმოყვარეობას, ანუ სწორედ იმ თვისებებს, რომლის დეფიციტსაც განიცდის დღევანდელი საქართველო. ძნელია ფიქრი იმის შესახებ, რომ ადამიანი, რომელიც ყოველდღიურ სინამდვილეში დაუღალავ შრომასთან ერთად ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებით იყო დაკავებული, აღარ არის შენს გვერდით და აღარ გაძლევს სასარგებლო რჩევა-დარიგებებს, რომელსაც ალბათ ახალგაზრდობაში ჯეროვნად ვერ ვაფასებდი. საზოგადოებაში არსებული მისი მაღალი რენომეს მიუხედავად იგი ყოველთვის განცვიფრებას იწვევდა ჩემში და ჩემს მეგობრებში თავისი უბრალოებით, კომუნიკაბელურობითა და ბუნებრიობით. ამასთან ერთად, გედი იყო მეტად პრინციპული და კრიტიკული პირფარეშობის, კონიუნქტურისა და ჭარბი რევერანსების ნებისმიერი გა-

მოვლენის მიმართ, თუმცა ეს ყველაფერი მისი კეთილი ხასიათიდან გამომდინარე აბსოლუტურად უბოროტო უკმაყოფილებით შემოიფარგლებოდა. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შემიძლია აღვნიშნო, რომ მეტად იშვიათია გედისმაგვარი პიროვნება, რომელსაც ცხოვრებამ სრულიად დაუმსახურებელი "სიურპრიზები" შესთავაზა და მაინც სულიერად ვერ გატეხა. ხანდახან გონებაში პარალელებს ვავლებ ხოლმე გედისა და იმ ვაი-პატრიოტებს შორის, რომლებშიც სამშობლოს მიმართ სიყვარული და პატივისცემა მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. გედი იყო პიროვნება, რომელიც თავის გაჭირვებას თავს არასოდეს არ მოგახვევდა და პირიქით დაუშრეტელი ოპტიმიზმის ნაპერწკალს გიწილადებდა. რიგი ადამიანებისაგან იგი გამხდარა წლების განმავლობაში უსამართლო დამოკიდებულების მსხვერპლი, თუმცა როგორც ჭეშმარიტ ვაჟკაცს და სულგრძელ პიროვნებას შეჰფერის არასოდეს უფიქრია სამაგიეროს გადახდაზე, ვინაიდან სწამდა, რომ არ განსჯიდა და თვით განსჯილი არ იქნებოდა. ამასვე უქადაგებდა იგი თავის ოჯახსა და ახლობლებს. ობიექტურობასთან ერთად გედი იუმორის შესანიშნავი გრძნობით იყო აღჭურვილი, რის გამოც მასთან ურ-

თიერთობა და დისკუსია ყოველთვის სასიამოვნო ხასიათს ატარებდა, ამასთან ერთად, მეტად დადებითი აურა გააჩნდა და რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყო რაიმე სასაცილო ისტორიით გაგამხიარულებდა. როგორც იტყვიან, სალამი ღვთის არისო და გედისაც სალამს ვერავინ დაასწრებდა სამედიცინო უნივერსიტეტის დარაჯიდან მოყოლებული მისი კოლეგით დამთავრებული. ეს ყველაფერი მისი აღზრდის მაღალი კულტურიდან გამომდინარეობდა, რომელიც მას თავისი მშობლებისაგან და განსაკუთრებით მამამისისგან – სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის აკად. პეტრე გელბახიანისგან – "დიდი პეტრესგან" გენეტიკურად გადმოჰყვა. ოჯახი ძალიან უყვარდა, თუმცა წევრების შესახებ ბევრს არ საუბრობდა და მათ ქებასთან მიმართებაში სიტყვაძვირი იყო, თუმცა მათ ნებისმიერ წარმატებასა და წარუმატებლობას ძალიან განიცდიდა. გედის თითქოს და რბილი ხასიათი მას მიზანსწრაფულობასთან, სიცოცხლისადმი დიდ სიყვარულთან და ოპტიმიზმთან ასოცირდებოდა. ძალიან უყვარდა სპორტი და ამ მხრივ ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის პუნქტუალობით ჭეშმარიტ ევროპელად გვევლინებოდა ამ დეფინიციის საუკეთესო გაგებით. რასაკვირველია,

რომ იგი ოთხი ათეული წლის განმავლობაში არ ღალატობდა ტრადიციას და ზედმიწევნით პედანტიზმით ასრულებდა ვარჯიშთა კომპლექსს და მოციონს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მიაჩნდა სულიერი დაძაბულობის რელაქსაციისაგან საუკეთესო საშუალებად და იგივეს მასწავლიდა მე და ჩემს მეგობრებს. იგი ნაკლებად ემოციური იყო მის პერსონასთან დაკავშირებული მოვლენების მიმართ, თუმცა არაერთხელ მინახავს აღელვებული თავის ასპირანტთან ან დოქტორთან პერიპეტიების გამო. მძიმე წლებშიც პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად გედის არ შეუწყვეტია მეცნიერული მოღვაწეობა და მწირი სამუშო პირობების მიუხედავად ყოველთვის ცდილობდა ახალგაზრდა თაობისათვის დაელოცა გზა მომავალ პროფესიონალურ მოღვაწეობასთან მიმართებაში. არაერთხელ ბიბლიოთეკაში მინახავს გედი თავისი ასპირანტის სანაცვლოდ, როდესაც თავს იმართლებდა ასპირანტის მოუცლელობით, თვითონ კი მისთვის უცხოური ბიბლიოგრაფიული ძიებით იყო დაკავებული. თითქოს და ჩქარობდა, რომ მის "შეგირდს" არ დაეგვიანა და დროზე ჩაებარებინა ნაშრომი. თვითონ გედის არ სჭირდებოდა სიჩქარე, ვინაიდან ცხოვრებაში მან ბევრი რამ მოასწრო. მაღ-

ალ პროფესიონალიზმთან ერთად, რაც მთავარია, მან და მისმა ოჯახმა საზოგადოების საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა და ნებისმიერი ჩვენი თანამემამულისათვის მისი გვარი ერთგულების, შეუდრეკელობის, სულიერი სიმტკიცის და ადამიანობის გამოვლენის სიმბოლოდ იქცა. კიდევ ბევრი მინდოდა მეთქვა შენს შესახებ ჩემო გედი, რასაც შენ ჭეშმარიტად იმსახურებ, მაგრამ აღარ მინდა შევაწუხო შენი სულმნათი პიროვნება, როგორც შენ არ აწუხებდი არავის შენი დარდით, რომელიც ჩვენ დაგვიტოვე შენს მოსაგონებლად. ამბობენ, ადამიანი მოგონებებით ცხოვრობს და თუ ეს ასეა, მაშინ შენი სახელის ნათელი ხსოვნა იქნება ჩემი მეხსიერების მუდმივი თანამგზავრი.

ნიკო გონგაძე

08.04.2013

ბ-ნი გედი გელბახიანთან მრავალი წლის დაუ-ვიწყარი მოგონებები მაკავშირებს, ეხლა როცა ამ შეხვედრებს ვიხსენებ, სევდა და სიამაყის გრძნობა ერთდროულად მეუფლება.

ჩემი პირველი მოგონება მის ახალგაზრდობის წლებთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც ის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემ-დეგ ჩვენს სანუკვარ გაგრაში ექიმ ორდინატო-რად მუშაობდა. აქ კი მას გარკვეულწილად მას-პინძლობას და მეგობრობას უწევდა ბიძაჩემის, ვლადიმერ უბერის ოჯახი. სწორედ აქ დაიწყო ჩვენი ოჯახების ურთიერთობა. ამ დროს მე სკოლის მოწაფე ყოველ ზაფხულს ვსტუმრობდი ბებიასთან და ძმებთან ერთად ბიძის ოჯახს. რო-გორც ექიმების შვილს ბ-ნი გედი, ახალგაზრდა განათლებული ექიმი, მუსიკის თაყვანისმცემელი და თავადვე მშვენიერი მუსიკოს-შემსრულე-ბელი, მისაბაძ მაგალითს მაძლევდა მომავლი-სათვის. ეხლა ვფიქრობ, რომ მამის დარიგებებ-თან ერთად გარკვეულწილად ჩემი პროფესიის არჩევანზეც ბ-ნ გედიმაც იქონია გავლენა. მახ-სენდება ასევე შემოდგომის შეხვედრებში გა-გრიდან თბილისისაკენ მომავალი ბ-ნი პეტრე

გელბახიანისა და ბ-ნი ვახტანგ შანიძის ოჯახების სტუმრობა ზუგდიდში, მამისეულ ოჯახში. აქაც ჩვენ. ახალგაზრდები, მოწმენი ვიყავით კოლეგებს შორის უმწიკვლო, მეგობრული ურთიერთობების და სითბოსი, რომელსაც ასე უხვად გასცემდა ბ-ნი პეტრე გელბახიანის ოჯახი. მერე სამედიცინო ინსტიტუტში გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობები, მე სტუდენტი, ბ-ნი გედი — ჩემი პედაგოგი. მისი ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები — მუდმივად სიახლეების შემეცნებასა და დამკვიდრებაზე ორიენტირებული, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა თითოეულ ჩვენთაგანზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა, უკვე როგორც კოლეგებს შორის. აღნიშნული მნიშვნელოვნად განაპირობა იმ ბედნიერმა გარემოებამ, რომ კათედრაზე სადაც კლინიკურ ორდინატურაში ჩავირიცხე, რომლის კათედრის გამგე გახლდათ ცნობილი მკურნალი, პროფესორი — იოსებ კვაჭაძე, დამხვდა აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილის შვილი, ბ-ნი გედის მეუღლე — ნუცა ტატიშვილი. ამან კიდევ უფრო გააღრმავა ჩვენს ოჯახებს შორის დაწყებული ურთიერთობები. შემდგომში ჩემდა სასახელოდ, ბევრჯერ პასუხისმგებლობაც

მეკისრებოდა გელბახიანების შვილიშვილების მკურნალობაში. აქაც ბ-ნი გედი მისთვის ჩვეულ კორექტულობას და კოლეგიალობას იჩენდა. მუდამ მეამაყებოდა, რომ ჯერ მისი სტუდენტი ვიყავი და შემდეგ მეგობრობის უფლება მომცა. ბევრჯერ მისარგებლია მისი გულისხმიერებით და გამოცდილებით. მისი დამაჯერებელი, არგუმენტირებული, დაბალ ტონში წარმოთქმული სიტყვები დიდი ზემოქმედების ძალის მქონე იყო თანამოსაუბრეებზე. ბ-ნი გედი, როგორც პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელიც იყო. მის პიროვნულ თვისებებს კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენდა მაღალი პროფესიონალიზმი. მახსენდება, როგორ მივმართე პროფესიული დახმარების მიზნით და მივიყვანე პრემიერის წინ სერიოზული ავადმყოფი ცნობილი მსახიობი, რომელმაც მისი დახმარებით მეორე დღეს დაუბრკოლებლად შესძლო სცენაზე გამოსვლა.

მიუხედავად მისი განვლილი ცხოვრების სირთულეებისა, ბ-ნი გედი დარჩა მოყვასის მოყვარე პიროვნებად, ადამიანებში ყოველთვის წამოწევდა დადებითს.

ბ-ნი გედი ასევე იყო ნიმუში სასიქადულო შვილის, მამის, მეუღლის, ბაბუის. უდიდესი სულიერი ტრავმის მიუხედავად გამორჩეულ

მზრუნველობას, თანადგომას იჩენდა თავისი მეუღლის მიმართ. საკუთარ განცდებს არ ახვევდა თავს არც ოჯახის წევრებს და მით უმეტეს ახლობლებს.

პროფესორმა გ. გელბახიანმა ნათელი კვალი დატოვა როგორც კეთილშობილმა, სიკეთის მთესველმა, ტრადიციების მიმდევარმა და ღირსეულმა მამულიშვილმა.

პროფ. ნუგზარ უბერი

“ჩემი მამა და მასწავლებელი“ — აი, მხოლოდ ამ სიტყვებით შემიძლია გამოვხატო ის დიდი სიყვარული, პატივისცემა და მოწონება, რომელიც მაკავშირებს ბატონ გედი გელბახიანთან.

მართალია, დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი თანამშრომლობა, მაგრამ დროის ის მონაკვეთი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ასეთი თბილი და ახლო ურთიერთობა დაგვემყარებინა. მე და ჩემმა ოჯახმა კიდევ უფრო ახლოს გავიცანით და შევიყვარეთ ეს დიდი პიროვნება, დიდი პატრიოტი, რომელსაც მთელი საქართველო პატივს სცემდა.

ბატონი გედის ცხოვრების წესი, მისი პატიოსნება, პრინციპულობა და ოპტიმიზმი, ახალგაზრდული შემართება, განსაკუთრებულ ინტერესს და პატივისცემას იწვევდა სტუდენტებში. მე, მის დოქტორანტს, არ დამავიწყდება მისი ლექციები. ყოველთვის გაწონასწორებული, მშვიდი ტონით საუბრობდა ახალგაზრდებთან. იგი ცდილობდა

მაქსიმალურად, ამომწურავად შეხებოდა სალექციო თემას.

სტუდენტებს ყოველთვის მოუწოდებდა კიდევ უფრო გაეღრმავებინათ უცხო ენების ცოდნა. მისი ყოველი ლექცია ახალი გადაშლილი ფურცელი იყო, რომელიც უამრავ ცხოვრებისეულ დარიგებას მოიცავდა. სტუდენტები ყოველივე ამას ძალიან კარგად აღიქვამდნენ და გაცისკროვნებული, ინტერესიანი თვალებით შესცქეროდნენ ბატონ გედის.

მისი გარდაცვალება მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ყველასათვის. ჩვენგან წავიდა დიდი ექიმი, მეცნიერი, დიდი პატრიოტი საკუთარი ერის. ის ყველას დააკლდა, მეც მათ შორის.

ბატონო გედი! თქვენ ჩემთვის ყოველთვის დიდი ანთებული ჩირაღდანი იქნებით ჩემი ცხოვრების გზაზე.

დოქტორანტი ირმა გელაშვილი

“ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“.

გადის დღეები, თვეებითითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი რიტმით გრძელდება; სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობას ხომ ყველანი შეგუებულები ვართ. რეალურად კი არიან ადამიანები, რომლებიც წასვლის შემდეგაც მუდამ გვერდით იმყოფებიან, რჩევასაც ვეკითხებით და პასუხსაც ვიღებთ.

გედი და ლალი მიქაია

მათი ჩანაცვლება შეუძლებელია. ასეთები არ შეიძლება ბევრი იყოს. ერთ-ერთი მათგანია გედი გელბახიანი. ვერ შევეგუეთ მის წასვლას და ნუციკოს მარტოობას. პირადად მე დავკარგე მეგობარი, ძმა, უსპეტაკესი ადამიანი. ერთი შემოხედვით გრძნობდა რა გაწუხებდა, რა გჭირდებოდა. თავის პრობლემებზე სულ ხუმრობით ლაპარაკობდა. ვერ იტანდა მატყუარებს, ორპირებს და მოღალატეებს. ყველაზე მეტად სამშობლო უყვარდა და აწუხებდა მისი ბედი. ეტყობა ეს მისი ოჯახის წევრების "ავადმყოფობა" გახლდათ. სევდანარევი იუმორით იგონებდა ციხეში გადახდენილ კურიოზებს: ის და პეტრე (პატარა) თუ როგორ აღმოუჩენდნენ სამედიცინო დახმარებას მათ, ვისი მონდომებითაც იმყოფებოდნენ იქ. პოლიტპატიმრებიც კი ექიმებად რჩებოდნენ. სანაცვლოდ არ თხოულობდა რაიმე პრივილეგიებს. მე დიდი პეტრეს კათედრაზე ვმუშაობდი. გედი ხშირად მაკითხავდა იქ, ამბობდა — მამის დაპატიმრებამდე მიყვარდა აქ სიარულიო, ამ ბოლო დროს კი ვგრძნობ, როგორ მომნატრებია აქაურობაო. თითქოს მამამისს მიაგებდა ამით პატივს, შეპარვით შეავლებდა თვალს მის სურათს, ჩუმად ეფერებოდა ორივე პეტრეს. მხოლოდ ნუციკოს სიყვარულს არ მალავდა არასოდეს. ოჯახის

სამი თაობის წევრების, ღირსეული მამულიშვილების, პროფესიონალურ საქმიანობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ ცხის კედლებში გატარებულმა წლებმა გააკვირვა მრავალი ქვეყნის მაღალი რანგის წარმომადგენლები, თუმცა საკუთარ ქვეყანაში ეს ჯერჯერობით არ შეუნიშნავთ. ბატონი პეტრე გელბახიანის უდიდესი ძალისხმევის შედეგი იყო სამედიცინო ინსტიტუტს სასწავლო ბაზად რომ ჰქონოდა რესპუბლიკური საავადმყოფო, მის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია.

გადაწყვიტა ბეთანიაში, ჩვენთან ახლოს, შეეძინა აგარაკი. თითქმის ყოველდღე ერთად ვიყავით; ძალზე გადამდები იყო მისი ახალგაზრდული შემართება, გარეგნული იერი, რომელიც მაცდუნებლად მალავდა მის უდიდეს ტკივილს, რომანტიკული განწყობილება, სამომავლო გეგმები, უზადო აზროვნება, სიცოცხლის სიყვარული არ გაძლევდა იმის გაფიქრების საბაბს, რომელმაც ყველანი გაოგნებულები დაგვტოვა. ცოტათი აგზნებული იყო წინა დღეებში და მეგონა დიდი საქმეებისთვის ემზადებოდა...

მალე წელიწადი შესრულდება, ყველას უჭირს მის გარეშე ყოფნა. ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ აუტანელი იქნებოდა გვეხილა მწოლიარე,

უმწეო მდგომარეობაში. თუ გარდასვლა აუცილებელი იყო, იქნებ სჯობდა მარადისობას შეერთებოდა მოკაშკაშე ვარსკვლავივით. ამისათვის უფალმან აღსაფრენად მისცა ფრთები მტრედისანი. მისი ახლობლებისთვის ის ლექციებს კითხულობს ინსტიტუტში ან მასტერ გაკვეთილებს ატარებს პოლიტიკაში ვაკის პარკში, ან მიუყვება კუს ტბის ბილიკებს, შემდეგ სასაფლაოზე ჩაირბენს ყვავილებით ხელში, დიდხანს ფიქრობს როგორ "დაავიწყოს" ნუციკოს გადატანილი მძიმე წლები, ან მოულოდნელად აღმოჩნდება იქ, სადაც სჭირდებათ. ამ ბოლო დროს კი ბეთანიის დალოცვილი მიდამოების ათვისებაც დაიწყო. არავინ ვიცით რა სთხოვა უფალს წასვლამდე ერთი კვირით ადრე, მარტოდ რომ შევიდა მონასტერში.

ლალი მიქაია

გედი გელბახიანის ხსოვნას

გედი გელბახიანს პირველად შევხვდი ქალაქის მე-8 საავადმყოფოში, სადაც მე სრულიად ახალგაზრდა ექიმმა დავიწყე მუშაობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნევროლოგიის კათედრაზე უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე 1971 წელს. ბატონი გედი მაშინ უკვე იყო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, გამოცდილი ექიმი. იმ პერიოდში მე-8 საავადმყოფოში მოღვაწეობდნენ გამოცდილი ექიმები, ცნობილი პროფესორები გოგი მხეიძე, სოფიო ენუქიძე, აკაკი ზოიძე, ზაზა კახიანი, მარიამ გრიგალაშვილი, დავით ტვილდიანი და სხვ. კლინიკის დირექტორი იყო ბატონი შოთა არველაძე. კლინიკას საქართველოს მასშტაბით ჰქონდა ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო და სამკურნალო დაწესებულების სტატუსი და იქ მუშაობა იყო საპატიოც და საპასუხისმგებლოც. მე ახალგაზრდა ექიმს პირველ წლებში ძალიან გამიჭირდა ვყოფილიყავი ამ მეცნიერების გვერდით სათანადო დონეზე, ვინაიდან არც გამოცდილება და არც ცოდნა არ მქონდა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ისე, რომ მე და ბატონი გედი ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე აღ-

მოვჩნდით გვერდიგვერდ. მე მას ვთხოვე ჩემთვის განემარტა წარმოდგენილი პაციენტის მეტად იშვიათი და რთული სინდრომი. აი ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. მე მისთვის არაერთხელ მიმიმართავს რჩევისა და დახმარებისათვის. ბატონი გედი ყოველთვის მაძლევდა მნიშვნელოვან და საჭირო რჩევებს, მან მომცა სუბორდინაციისა და სამედიცინო ეთიკის პირველი გაკვეთილები, რისთვისაც მე მისი მადლიერი ვარ. შემდგომ მრავალი წლების განმავლობაში ჩვენ ვხვდებოდით სხვადასხვა სხდომებსა და კონფერენციებზე. მე ასევე ვმეგობრობდი მისი ოჯახის წევრებთან მეუღლესთან – პედიატრ ნუცა ტატიშვილთან და მათ შვილებთან. ბატონ გედი და ქალბატონ ნუცას შესაშური და საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ მთელი ცხოვრების მანძილზე.

ამ ოჯახს და პირადად ბატონ გედის წილად ხვდა მძიმე ხვედრი და იშვიათია ადამიანი, რომელიც ასე ღირსეულად შეხვდებოდა ცხოვრებისეულ ტრაგედიებს. მე არ მახსოვს რომ ბატონ გედის აეწია ხმისთვის, ყოველთვის იყო თავშეკავებული. ის იყო დახვეწილი ინტელიგენტი, საუბრობდა დაბალი ხმით, დამაჯერებლად, არავის გაკიცხავდა და არ ადანაშაულებდა. ის ყოველთვის იყო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი

პატრიოტი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მისი წასვლით პირადად მე დავკარგე სანდო უფროსი მეგობარი, ოჯახმა მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა, ხოლო საზოგადოებამ ღირსეული ადამიანი, გამოცდილი ექიმი და მეცნიერი.

პროფესორი ნანა გელაძე

გედი ბაბუ

ჩემი მამამთილი და უფროსი მეგობარი, ადამიანი, რომელსაც ძალიან ვუყვარდი, რომელსაც ჩემი ნახვა უხაროდა, ჩემი სიხარული ახარებდა და დარდის მოზიარე იყო. მინდა მადლობა ვუთხრა ამ სიყვარულისთვის...

ლელა და პეტრე

ერთხელ მათთან მისულს მითხრა, შენ რომ მოდიხარ, ასე მგონია პეტრე შემოდის სახლშიო!... და მას მერე, როცა არ უნდა გამახსენდეს ეს სიტყვები, ახლიდან განვიცდი იმას, რაც მაშინ განვიცადე... თვალწინ მიდგება გედი ბაბუს გაღიმებული სახე, თუმცა მის კეთილ თვალებს სევდა არ ტოვებდა (ყოველთვის სევდიანი იყო მისი ღიმილი) პეტრეს მერე...

ხშირად ვხვდებოდი, სანამ მისი რძალი გავხდებოდი: პეტრე და მე სტუდენტობის პირველი დღეებიდან დავმეგობრდით, ერთად ვემზადებოდით სესიებისთვის ხან გედი გელბახიანთან, ხან — ჩემთან, ამიტომ ხშირად ვხედავდი ნუცას და გედის, მათ ყველასგან განსხვავებული, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ და პრაქტიკულად განუყოფლები იყვნენ — ერთად მოდიოდნენ სამსახურიდან, ერთად სადილობდნენ, ბევრს საუბრობდნენ ერთმანეთში, ერთად დადიოდნენ სტუმრად და ერთად, როგორც წესი — ჩახუტებულები უყურებდნენ ტელევიზორს... უცნაური ჰარმონია იყო, უცნაური, ყოვლისმომცველი და დაუსრულებელი... ერთხორც და ერთსულ...

პეტრეს ოჯახი

როცა ერთად ვცხოვრობდით და მერეც, როცა საღამომდე შევრჩებოდი ხოლმე "ბარნოვზე" (რატომღაც ასე ვეძახით იმ სახლს), მიყვარდა მათთან ოთახში შესვლა და ჩახუტებული ცოლ-ქმრის ყურება, რა ბედნიერება იყო, რომ ერთმანეთი ყავდათ...

გედუნა რომ გაჩნდა და ძალიან გაიხარა, ეს არ გამკვირვებია – გვარის გამგრძელებელი, მისი მოსახელე დაიბადა, მერე, დათი რომ დაიბადა, ისეთი სიხარული ჰქონდა, თითქოს პირველი ბიჭი

გაჩნდა ოჯახში — არ გესმითო, გვეუბნებოდა, ბიჭს რა ჯობიაო, ჰოდა, ამ ბიჭებზე გიჟდებოდა, ეამაყებოდა, რომ კარგი კაცები გაიზარდნენ, თუმცა ზედმეტად არ შეაქებდა, ისევე როგორც საყვედურის თქმა არ უყვარდა მათთვის.

განსაკუთრებით გაათბო და დაატკბო პატარა ნუციკომ, გულგრილად ვერ გაუვლიდა შვილთაშვილს, ჩაკოცნიდა, ჩაეხუტებოდა, მოწონდა, ძალიან ლამაზიაო. ისიც გრძნობდა გედი ბაბუკას განსაკუთრებულ სიყვარულს, ამიტომ ღიმილს და პატარა თითებით მოფერებას არ იშურებდა მისთვის. გედი ბაბუ თუ უკრავდა, ნუციკო მიატოვებდა სათამაშოებს, ჩუმად შევიდოდა ოთახში და ერთიდაიგივე ადგილას დამჯდარი გაუნძრევლად უსმენდა დიდ ბაბუას...

მენატრება ის დრო...

ბოლოს 5 აგვისტოს ვიყავი ბეთანიაში — რაღაც ღონეგამოცლილი მეჩვენა, წნევა ხომ არ გაქვსო ვკითხე. არა, ძალიან დავიღალე, მაგრამ ჩემი ნუციკოს დაბადების დღისთვის ყველაფერი უნდა მოვაწესრიგოო. 10 აგვისტოს ნუცას დაბადების დღე მოდიოდა. არავის გაგვკვირვებია, რადგან ყველაფერი, საკუთარი სიცოცხლეც კი მხოლოდ თავისი ნუციკოსათვის უნდოდა.

ლელა გიორგობიანი

ფიცის რაინდები

ფიცის ერთგულება გამოცდის ადამიანს. მითუმეტეს ექიმს. დიდი პეტრე, გედი, პეტრე გელბახიანები სწორედ ასეთები იყვნენ. სამშობლოსთან, ოჯახთან პროფესიასთან შეფიცულები — ეს არასდროს დაურღვევიათ. ცხოვრების ტვირთი ბოლომდე უკომპრომისოდ ატარეს.

მარინე ოჩიგავა

ეს პათეტიკა კი არა რეალობაა, რომელმაც ჩემს თვალწინ ჩაიარა და მადლობა მათ ამ გამოცდილებისა და გაკვეთილებისათვის. ჩვენ ურთიერთობაში იყო ეტაპი, როდესაც ვფიქრობდი, რომ ორი პეტრე, ბაბუა და შვილიშვილი უფრო

ძლიერი ხასიათის იყვნენ, ვიდრე ჩუმი, ინტელიგენტი გედი. "საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო" სწორედ კოლონიაში, მასთან შეხვედრებმა დამარწმუნა, რომ ეს ათლეტი, რაფინირებული ადამიანი რაინდად და ძლიერ პიროვნებად იქცა. გაუძლო ყველა განსაცდელსა და გამოწვევას, ეწამა, ვერ გატეხეს, ვერც შვილის და ვერც მამის ხვედრით. ფიზიკურმა თუ სულიერმა ტანჯვამ წარმოაჩინა მისი საუკეთესო თვისებები: კაცთმოყვარეობა, კეთილშობილება, თავგანწირვა, რაინდობა, სიყვარული კოლონიაშიც კი ადამიანთა მიმართ.

არ მავიწყდება მისი და ნუცას თანადგომა, ყურადღება ჩემი მეუღლის პეტრე შოთაძის გარდაცვალების შემდეგ. და ამას ისე ახერხებდა, რომ არ მეგრძნო თავი მარტოსულად. მეგობრობას კი არ გახვევდა თავს (ზედმეტად კორექტული იყო), არამედ ტაქტით, პატივისცემით უშურველად გეხიდებოდა. მადლობა მას ამ ჩუმი და მყუდრო სიკეთის გაზიარებისათვის. ნუცა ბედნიერი ქალია, მიუხედავად უდიდესი ტრაგედიებისა, რაც თავს გადახდა ცხოვრებაში, რომ ასეთი რაინდები იყვნენ მისი ცხოვრების თანამგზავრნი და ასეთი დიდი სიყვარული, ნამდვილი მეუღლეობა, ერთ სულ ერთ ხორც ყოფნა (რაც

იშვიათია დღევანდელ დღეს) ცხოვრებაში გაიზიარა.

ღმერთმა აცხოვნოს მისი სული და დაუმკვიდროს სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ, ამინ!

მარინე ოჩიგავა

25-III-2013 წ.

გედი გელბახიანის გახსენება

ჩვენ თაობას ბევრი გვსმენია კომუნისტური რეპრესიების შესახებ. ეს ჩვენ ოჯახებსაც შეეხო ნაწილობრივ, მაგრამ რაც პირადად შევარდნაძემ გელბახიანების ოჯახს მოუწყო, ალბათ იშვიათია (შეიძლება გინესის რეკორდების წიგნში შესატანიც კი). წარმოიდგინეთ, ამ ოჯახის სამი თაობა და ბაბუა, შვილი და შვილიშვილი (პატონი პეტრე, გედი და უმცროსი პეტრე) დიდი სისასტიკით გაანადგურა.

მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ ყოველ დილით ვხვდებოდით ერთმანეთს "ლოკომოტივის" სტადიონზე და საკმაოდ აქტიურად ვვარჯიშობდით ბუნების წიაღში, ავდიოდით სირბილით კუს ტბაზე, კვირაში ერთხელ კი უძოს მთაზედაც, რასაც ბუნებრივია, თან ახლდა საუბრები ყოველდღიურ მოვლენებზე და როგორც ეხლა, მაშინაც მდიდარი იყო ჩვენი ცხოვრება. ჩვენი მცირე ჯგუფის მუდმივი წევრები ვიყავით გედი, ძმები ამირან და აჩიკო (ავთანდილ) მელუები და მე (პერიოდულად ჩვენ გვიერთდებოდა რომელიმე მსურველიც). გედი არ იყო ბუნებით გახსნილი ადამიანი, არსებულმა პირობებმა აიძულა ის ყოფილიყო გულჩათხრო-

ბილი და ჩაკეტილი, მაგრამ როცა დარწმუნდა მის მიმართ ჩვენს გულწრფელობაში და კეთილგანწყობაში, განსაკუთრებით დაგვიახლოვდა. გედიმ თავის თავზეც გამოსცადა თუ რა გაუსაძლის პირობებში უწევდათ მის მამას, შვილს და აჩიკო მელუას ყოფნა. და ჩვენი ყოველდღიური საუბრები ეხებოდა მათ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ გედის ოჯახში ყავდა ორი შესანიშნავი და ძლიერი პიროვნება, დედა ქალბატონი თამარი და მეუღლე ქალბატონი ნუციკო, რომლებიც არ აკლებდნენ ყურადღებას და ცდილობდნენ მისთვის შეემსუბუქებინათ მდგომარეობა, ჩვენც ვცდილობდით მის გამხნევებას და ხასიათზე მოყვანას სხვადასხვა მეთოდებით. რამდენიმეჯერ ვცადეთ კიდევაც მისი გართობა ტრადიციული ქართული სუფრის საშუალებით, ამ საქმის ცნობილი ჯადოქრის ამიკო მელუას დახმარებით.

ჩვენი მეგობრობის მრავალი წლის განმავლობაში არ მახსოვს შემთხვევა, რომლის დროსაც მის გვერდით მე თავი მეგრძნო უხერხულად, მხოლოდ ჩვენს წრეში იყო თავისუფალი და ლაღი. ვერც კი წარმოიდგენდი, თუ ამ კაცს რაიმე დარდი აწუხებდა. ადამიანის გამძლეობასაც აქვს საზღვარი. არ მეგონა თუ ამ უჯან-

მრთელეს ადამიანს რაიმე ავადმყოფობა მოერეოდა. მისი სახელი ჩვენს მახსოვრობაში დარჩება როგორც უერთგულესი და სიკეთით სავსე პიროვნება, მოწოდებით ექიმი. მას კიდევ შეეძლო მეგობრებისათვის, საზოგადოებისათვის და ერისათვის ბევრი სასიკეთო საქმეების გაკეთება. მასთან გატარებული საათები ჩემს მახსოვრობაში შემორჩება, როგორც ნათელი მოგონება სამოთხის მსგავსად, რომელსაც ვერც ვერავინ წაგვართმევს და რომლიდანაც ვერც ვერავინ გამოგვაძევებს.

მადლობა გედი!

ს.ჰ.ი-ის ფიზიკოსი მიხეილ ბოჭორიშვილი

იცოდე, არ დაგავიწყდეს გედი გელბახიანი

არიან ადამიანები, რომელთაც ვერასოდეს ვივიწყებთ. მათზე საუბარი არასოდეს გვბეზრდება. ისინი აღარ არიან, მაგრამ მათი სახეების ფეხდაფეხ დაგვყვებიან და ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცეულან.

აი, სწორედ ასეთი იყო ჩემი საყვარელი მეგობარი გედი გელბახიანი. ის იყო ნიჭიერი და განათლებული ექიმი, ღირსეული და ყურადღებიანი მეუღლე, კარგი შვილი, თაფლდაღვრილი მამა და უღალატო, გაუტეხავი და სანდო მეგობარი. არსებობს დრო, რომელიც მთელ სიცოცხლეს უდრის. ეს ის დროა, როცა გედი ლოკომოტივის სტადიონზე პირველად გავიცანით მე და მიხო ბოჭორიშვილმა და ამ დღიდან ყოველ დილით ვხვდებოდით და ერთად ვვარჯიშობდით. გედი ფიზიკურად ძლიერი იყო და ჩვენგან გამოირჩეოდა გამძლეობით. მე, მიხო და გედი ერთად დავრბოდით სტადიონის ირგვლივ 8-10 კმ. კვირაში ერთ დღეს ავდიოდი კუს ტბაზე იქიდან უძოზე, საიდანაც მოვრბოდით ლოკომოტივის სტადიონამდე. იმ დროს გედის მამა პეტრე გელბახიანი შევარდნაძის "წყალობით" 15-წლიან

სასჯელს იხდიდა ქ. რუსთავის შრომა-გასწორების №1 კოლონიაში. შევარდნაძემ განსაკუთრებული დიდი რაოდენობის თანხის მიტაცებაში დაადანაშაულა ჩემი ძმა სამტრესტის მმართველი ავთანდილ მელუა და სასჯელს იხდიდა იმავე რუსთავის კოლონიაში ბატონ პეტრესთან ერთად, სადაც დამეგობრდნენ. ამ მდგომარეობამ მე და გედი უფრო დაგვამეგობრა და ხშირად ერთად გვიწევდა რუსთავში ჩასვლა. მე და გედი შემთხვევას არ ვუშვებდით და ხშირად ვიყავით ერთად საქეიფო სუფრაზე, მასთან წყნეთში და უფრო ხშირად ჩემ ოჯახში. გედი ცხოვრების ზომიერ წესებს იცავდა და ღვინოს ზომიერად მოიხმარდა. მე ყოველთვის მინდოდა გედი ყოფილიყო ჩემი სტუმარი, რადგან ჩემთან ხშირად იმართებოდა საზეიმო სუფრა. თანაც მე მეხერხებოდა და მიყვარდა კულინარიული ნაწარმის მომზადება. გედი მისი მდგომარეობიდან გამომდინარე თავს იკავებდა სტუმრობაზე, მაგრამ მე და მიხო ბოჭორიშვილი მაინც ვახერხებდით გედის მოპატიჟებას და თითონაც რჩებოდა კმაყოფილი. გედისთან ბევრი მოგონება მაკავშირებს, მაგრამ თავი რომ არ შეგაწყინოთ ცოტას ვიტყვი, რაც უნებურად გამახსენდება.

მე და მიხო ბოჭორიშვილმა გადავწყვიტეთ ნ მაისს გიორგიობის დღე აგვეღნიშნა. სხვა სტუ-მრებთან ერთად გედიც მოვიდა მანქანით. გედი, როგორც ყოველთვის, პატარა ჭიქით სვამდა ღვინოს, თანაც ნახევარს ტოვებდა ჭიქაში. ეს არ გამოპარვია ცნობილ მფრინავ ჟორა პერტიას და დაუწყო ღვინის დაძალება. გედი ყურადღებას არ აქცევდა მის მოქმედებას, მაგრამ ეტყობოდა გაბრაზება. ჟორა მაინც არ ეშვებოდა და თამა-დას სთხოვა სადღეგრძელოს უფლება. თანხმობა რომ მიიღო, სამზარეულოში ნახა როდინი, შეავ-სო, ადღეგრძელა გედის მამა და უსურვა მალე ოჯახში დაბრუნება. ალავერდი გადავიდა გე-დისთან რვინით სავსე როდინით. გედიმ მადლობა გადაუხადა ჟორას და თვალის დახამხამებაში დალია. ჩვენც იმავე როდინით დავლიეთ ბატონი პეტრეს სადღეგრძელო. რამდენიმე წუთის შემ-დეგ გედიმ თამადას სთხოვა სადღეგრძელოს უფლება. თანხმობის მიღებისთანავე მისი თხოვ-ნით მოუტანეს ხილის ვაზა, რომელშიც ჩადიოდა ერთ ლიტრზე მეტი ღვინო. თვითონ შეავსო და დალია ჩემი პატიმარი ძმის სადღეგრძელო და ალავერდი ჟორასთან გადავიდა. ჟორას არ მოე-წონა ვაზის მოცულობა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, დიდი გაჭირვებით დალია, დაჯდა და

სკამიდან მეტი არ ამდგარა და ჩაეძინა. ჩვენ ყველამ პატარა ჭიქით დავლიეთ ჩემი ძმის სადღეგრძელო. გედიმ შეავსო პატარა ჭიქა, ოჯახის საქმე მოიმიზეზა, ყველა გვადღეგრძელა, დაგვემშვიდობა და მანქანით წავიდა სახლში, ჟორას კი ტკბილად ეძინა.

მკაცრი აღმოჩნდა გედისთვის მიწიერი ცხოვრების კანონი. თითქოს ქარბორბალამ გადაუარა მას და მის ოჯახს.

ამიკო და აჩიკო მელუები

გედი გელბახიანის ნათელ ხსოვნას!

მე და გედი თანაკურსელები ვიყავით. მთელი სწავლის პერიოდში, რომელიც 6 წელს მოიცავს გედი იყო მუდამ ორგანიზებული, დისციპლინებული, უაღრესად მშრომელი სტუდენტი. მიუხედავად იმისა, რომ მამა რექტორი გახლდათ, გედი დღე-ნიადაგ შრომობდა და ის სახელობითი სტეპენდია, რომელიც მან დაიმსახურა იყო ნაყოფი თავისი პერგამენტულად დაუღალავი, მუხლჩაუხრელი შრომისა. მისი ეს თვისება იცოდა ყველამ, სჯეროდა ყველას და მისი მეცნიერული წარმატებები სამედიცინო ასპარეზზე იყო აბსოლუტურად ლოგიკური.

გედი შინაგანად, სულიერად გახლდათ თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, უაღრესად ყურადღებიანი თანაკურსელების მიმართ. ბევრ გაჭირვებულ სტუდენტს მან უშუამდგომლა სტიპენდიის დანიშვნაში და თავისი კუთვნილი სახელობითი სტიპენდიაც, რომლითაც მას არ უსარგებლია, სხვას დაუთმო.

გედი ეწეოდა უაღრესად ჯანმრთელ ცხოვრებას: არ ეწეოდა თამბაქოს, არ სვამდა და იყო

შესანიშნავი სპორტსმენი ცურვაში, რომელმაც არაერთხელ დაიცვა ჩვენი ინსტიტუტის სახელი.

გედი გელბახიანი ასპარეზობისას

გედიმ ძალიან ბევრს აღმოუჩინა დახმარება ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ადგილის დასაკავებლად.

1958 წ. მთელი ჩვენი კურსი უნდა წაეყვანათ ყამირზე სამუშაოდ. შეკრებაზე მისულებს გვამცნეს, რომ თბილისის 1500 წელთან დაკავშირებით ვიმუშავებდით სასტუმრო "საქართველო"-ს დასამთავრებლად.

გედი და ელგუჯა ადამია

გედი, როგორც ჩვენ ყველა ვმუშაობდით დილიდან საღამომდე და არ ყოფილა შემთხვევა, რომ გედის ან ერთი დღე გაეცდინოს ან სადმე სხვაგან ესადილოს. ერთი თვე ნახევარი ჩვენ ვცხოვრობდით და ვშრომობდით ერთ ოჯახად, აღებული ხელფასით ყველა ერთად წავედით დასასვენებლად აფხაზეთის ზღვისპირეთში, სადაც ყველამ ერთად დავისვენეთ და შესანიშნავად გავატარეთ დრო. ყოველივე ამის აქტიური მონაწილე, რაღა თქმა უნდა, გედი გახლდათ.

ბალზაკის აზრით, ცხოვრება ის დღეები კი არ არის რაც იცხოვრეთ, არამედ ის, რაც დაგამახსოვრდა. გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი და რა დამავიწყებს იმ დიდებულ და ბედნიერ ხანას, როცა ჩვენ ერთად ვშრომობდით და ვლაღობდით.

მედიცინის დოქტორი ელგუჯა ადამია

ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მათ რიგებს გამოაკლდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მეცნიერების მედიცინის დოქტორი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის წევრი, პროფესორი გედი გელბახიანი. არ გვინდა გავათვითცნობიეროთ, რომ უკვე თითქმის ერთი წელიწადია ჩვენს შორის აღარ არის ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი ბეტონი გედი. იგი გამოაკლდა არამარტო სამედიცინო უნივერსიტეტს, არამედ ქვეყანას, ერს, კოლეგებს, მეგობრებს და, უპირველეს ყოვლისა, თავის შესანიშნავ ოჯახს. დიდი ტკივილითა და სევდით გვიხდება დღეს საუბარი ბატონი გედის შესახებ წარსულ დროში, როგორც ბრწყინვალე მეცნიერზე, პედაგოგზე და ექიმზე.

ბატონმა გედიმ განვლო ცხოვრების მძიმე, რთული გზა, ყოველგვარი გარეგანი ემოციური გამოხატულების გარეშე. იგი მოწმე გახდა მრავალი გაჭირვების, როგორც ქვეყანაში, ასევე პირად ცხოვრებაში. მიუხედავად მისი თითქოსდა ამოუწურავი ენერგიისა და ოპტიმიზმისა, რომლითაც იგი მუხტავდა გარშემომყოფთ, მისმა

გულმა ვერ გაუძლო ამგვარ დაძაბულობას და სამწუხაროდ ყველასათვის მოულოდნელად შეწყვიტა მისი გულისცემა 75 წლის მიჯნაზე. პირადად ჩემში ჭეშმარიტ სიმპათიას იწვევდა ბატონი გედის მაღალი პროფესიონალიზმი, პატრიოტიზმი და ქვეყნისადმი სიყვარული, ისევე როგორც მისი შინაგანი კულტურა, ტრადიციების პატივისცემა და მისი თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება მეგობრებისადმი და კოლეგებისადმი. ყოველთვის დიდი მადლიერებით გავიხსენებ და არასოდეს დამავიწყდება ბატონი გედის ნათელი პიროვნება, რომელიც მუდამ დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული მარადიულ სასუფეველში.

ნელი ანთელავა

თსსუ ფარმაციის ფაკულტეტის
ფარმაკოლოგიის და
ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი
მ.მ.დ სრული პროფესორი

მოგონება გედიზე

გედისთან მაკავშირებდა სკოლის 10 წლიანი პერიოდი. ის და ჩვენი კლასელი ჯემალ ესაიაშვილი დილით სკოლაში ვაკიდან მოდიოდნენ, მე ზემელზე ვხვდებოდი და რუსთაველით მოვდიოდით I ვაჟთა სკოლაში.

გედი კლასელებთან ერთად ყოველწლიურ ტრადიციულ შეხვედრაზე

გედი იყო ბუნებით წყნარი, მორიდებული და გაწონასწორებული. ამ თვისებებით, ჩემი აზრით, ძლიან ჰგავდა დედას – ქალბატონ თამარას, რომელთანაც ხშირად ვყოფილვარ ოჯახში. 10

წლის განმავლობაში სკოლაში უამრავი შემთხ-ვევა და ფაქტი გადაგვხდენია. მიუხედავად სკოლის პედ. კოლექტივის მკაცრი გაფრთხილე-ბისა, მაინც ვახერხებდით "შატალოზე" გაპარვას და სკოლის ნაცვლად, კინოში ან ფუნიკული-ორზე მივდიოდით. გედი ძალიან კარგად სწავ-ლობდა, ჩვენი ქიმიის მასწავლებელი იყო ჩემი ნათესავი – ნინო ვარდიაშვილი, რომელიც ძა-ლიან მკაცრ და სამართლიან პედაგოგად ით-ვლებოდა. ქიმიის გამოცდის წინ, ავად გავხდი და 25-ის ნაცვლად მხოლოდ 20 ბილეთის სწავ-ლა მოვასწარი. ქ-ნ ნინოსთან ჩაწყობა წარ-მოუდგენელი ამბავი იყო. აქ გამოსავალი გედიმ იპოვა, ვინაიდან სიის მიხედვით გამოცდაზე ერ-თად გვიწევდა შესვლა, გედიმ შემომთავაზა, რომ თუ მე-20 ბილეთის ზემოთ შემხვდებოდა, გაგვეცვალა ბილეთები. მიუხედავად იმისა, რომ ქ-ნ ნინოს ვერაფერს გამოაპარებდი, მართლაც მოვახერხეთ ბილეთების გაცვლა. (მე 22-ე ბილე-თი შემხვდა). ასე ჩავაბარეთ ქიმიის გამოცდა და ორივემ ხუთიანები მივიღეთ. წლების შემდეგ ქ-ნ ნინოს ეს ამბავი რომ მოვუყევი, გაკვირვებული დარჩა. შენგან არა, მაგრამ გედისგან მიკვირს, ისეთი მორიდებული იყოო, სიცილით მითხრა.

ზამთრის არდადეგებზე ჩვენი სამეული ბაკურიანში მივდიოდით. "ნაუკას" ბაზაზე 1 ოთახში ბევრნი ვიყავით და შესანიშნავ დროს ვატარებდით. ერთხელ უცხო პიროვნებასთან ჩხუბიც მოგვივიდა, მაგრამ შემდეგ შევრიგდით, ვიქეიფეთ და კარგი მეგობრებიც გავხდით.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. გედიმ სამედიცინო ინსტიტუტში, ჯემალ ესაიაშვილმა სამშენებლოზე, მე სატყეო საინჟინრო ფაკულტეტზე ჩავაბარეთ. მიუხედავად ამისა, ჩვენს შორის ყოველთვის იყო კონტაქტები, დაბადების დღეებზე და სხვა ღონისძიებებზე შეხვედრები.

ბედმა გვარგუნა, რომ უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე კუს ტბაზე დავდიოდით, მოგვიანებით გადმოვინაცვლეთ ვაკის პარკში და ვხვდებიდით ყოველ დღე. მიუხედავად გადატანილი სტრესებისა (ცხე და შვილის გარდაცვალება) მხნედ გამოიყურებოდა, იყო ჯანმრთელი და ყოველ დილას გაძლიერებულად ვარჯიშობდა, რაც გაკვირვებას იწვევდა ყველა იქ მყოფში. დასასვენებლად წასვლამდე წინა დღეს დავემშვიდობეთ ერთმანეთს და ჩემთვის მისი მოულოდნელი გარდაცვალება გამაოგნებელი იყო.

მას ძალიან უყვარდა თავისი ოჯახი, ეამაყებოდა მეუღლის ერთგულება, რომელმაც გედისთან ერთად ამდენი სტრესი გადაიტანა.

უფალს შევთხოვ რომ გედის წმინდა სული ნათელში ამყოფოს.

ჩემო გედი, მშვიდობით.

ვახტანგ ვარდიაშვილი

სკოლის მეგობარი

მეგობრის ხსოვნა!

გედი და ნუცა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გედი გელბახიანი ჩვენი თაობის ის სახელოვანი წარმომადგენელია, რომელმაც ძნელი და წინააღმდეგობით აღსავსე გზა ღირსეულად განვლო. ახალგაზრდობის და ჭაბუკობის ბედნიერი წლები შარავანდედით მოსილი იყო, მოგვიანებით კი – ტრაგიკული სიტუაციით დამძიმებული... ამ პერიოდის შეფასებისას მე ვიტყოდი, რომ გედიმ გმირული, შეუპოვარი და იმ-

ედიანი შემართებით განვლო გზა. ეს იმედი, — პიროვნული სიძლიერე მისი შემდგომი ცხოვრების და მოღვაწეობის თავშესაფარი იყო, მოვალეობა და სიყვარული უპირველეს ყოვლისა, რომელიც მას ამოძრავებდა შემდგომი ცხოვრების გზაზე ვფიქრობ, წარმატებული იყო. ცნობილია, რომ მოვალეობა და სიყვარული ადამიანის შინაგანი სინდისის ხმაა და ამ მოვალეობას გედი ყოველთვის უპირობოდ და პირნათლად ასრულებდა.

დიდი მამის ბ-ნი პეტრე გელბახიანის მოკრძალებული და მოსიყვარულე შვილი, უერთგულესი მეუღლე ქალბატონი ნუციკო ტატიშვილისა საოცარი მეგობრობის და თავგანწირვის მაგალითია, შეუდარებელი მამა-შვილები, უმცროსი პეტრე გელბახიანი და თამრიკო ოჯახებით, მოსიყვარულე ბაბუა და მეგობართა შორის მეგობარი. ასეთია ჩემი თვალთახედვით პიროვნება, მოქალაქე გედი გელბახიანი. ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ ყოველთვის ამაღლებული და მოკრძალებული იყო. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი მრავალწლიანი პედაგოგიური, მეცნიერული თუ პრაქტიკული საექიმო მოღვაწეობა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში, როგორც თერაპიული კათედრის შეუცვლელი ხელმძღვა-

ნელი. მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული სამეცნიერო აზროვნების დამკვიდრება მედიცინაში. დაკვირვებული, გულისხმიერი და ქვეყნის პატრიოტიზმით აღჭურვილი გედი გელბახიანი დაუღალავ საექიმო მოღვაწეობას ქვეყნის სიძლიერეს უკავშირებდა. საზოგადოება მას პატივს სცემდა ყველგან, სადაც ის გამოჩნდებოდა.

ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტების მეცნიერ-ხელმძღვანელი და აღმზრდელი. განუმეორებელი იყო როგორც რეცენზენტი და ოპონენტი. მას შეეძლო საკვალიფიკაციო შრომის ღრმა ანალიზი და ობიექტური დებულების წარმართვის საოცარი უნარი.

მის კალამს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი სახელმძღვანელო და მონოგრაფია ეკუთვნის. აღსანიშნავია აგრეთვე მისი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან და თავის ძირითად საქმიანობას უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მძიმე დანაკლისია მისი უდროო, უეცარი და მოულოდნელი გარდასახვა მარადიულ სამყაროში. მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს წმინდა მიწა.

ვფიქრობ, რომ "ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივ-ლის, ეს განწირული სულისკვეთება" მისი დიდი ოჯახის მემკვიდრეები ღირსეულად გააგრძელე-ბენ მის საქმიანობას.

ნინული ნინუა

თსსუ პროფესორი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

გედი გელბახიანი და მისი წუთისოფელი

1980-იანი წლების ბოლოს მოსკოვში ხანგრძლივი ცხოვრებისა და მუშაობის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა დავიწყე მუშაობა იმხანად თბილისის მე-8-ე კლინიკურ საავადმყოფოში, ახლადგახსნილი ენდოკრინული ქირურგიის განყოფილების გამგედ. საავადმყოფოს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალ მედიკოსებთან პირველსავე შეხვედრისას გავიცანი ბატონი გედი გელბახიანი, რომელმაც საოცარი უშუალობით, კეთილი განწყობითა და არაჩვეულებრივი ადამიანური სითბოთი იმთავითვე მომხიბლა და, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, დავახლოვდით კიდეც. ბატონი გედი თერაპიის კათედრას განაგებდა. შესანიშნავი მკურნალი, სრულიად გამორჩეული თავისი პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებით. მრავალ სხვა თვისებებთან ერთდ მას ჰქონდა ერთი საოცარი თვისება, ზუსტად იცოდა ვის რა სჭირდებოდა, გასაჭირში მყოფს უთქმელად გვერდში დაუდგებოდა და ყველაფერს გაიღებდა მისთვის. კარგად მახსოვს, როგორ წუხდა და განიცდიდა აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა კაცის ჯანმრთე-

ლობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელსაც თვალწინ დაუხოცეს მშობლები და მცირეწლოვანი დისშვილი. დიაგნოზი — ანორექსია ნევროზა. ეს იყო ყველა თვალსაზრისით უმძიმესი, ტრაგიკული წლები. დახმარებისათვის ჩვენს განყოფილებას მომართა თხოვნით, ის თავად იძენდა ავადმყოფისათვის ძვირადღირებულ მედიკამენტებს და ყველაფერს, რაც მას სჭირდებოდა.

მან საოცარი ცხოვრებით იცხოვრა. არასოდეს უღალატია საკუთარი პრინციპებისათვის, რაც არცთუ ისე მარტივი იყო, არც არასოდეს დაუჩივლია. ის ჭეშმარიტად რაინდული თმენითა და სიძლიერით იტანდა უმძაფრეს ტკივილს, რომლის შესახებაც თითქმის არასდროს საუბრობდა. აქვე შეუძლებელია არ მოვიხსენიო ბატონი გედის მეუღლე, საოცარი ქალბატონი ნუცა ტატიშვილი, ცნობილი ქართველი მედიკოსების, ტატიშვილების შესანიშნავი ოჯახის წარმომადგენელი. ულამაზეს შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გაგრძელებული შთამომავლობა, მათზე ნიადაგ ფიქრი და ზრუნვა ახალისებდა, დიდ ძალასა და ენერგიას მატებდა მას.

სრულიად განსაკუთრებული იყო ბატონი გედის დამოკიდებულება კოლეგებისადმი. ჭეშმა-

რიტი ქართველი ინტელიგენტი, იშვიათი პიროვნული ხიბლით, მოკრძალებული, სადა, უაღრესად განათლებული, მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი, სწორედ ასეთი სახელი დაიმკვიდრა ბატონმა გედი გელბახიანმა ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში.

ვასილ ჩაჩიბაია

პროფესორი, ენდოკრინოლოგიის
ეროვნული ინსტიტუტის
დირექტორი ქირურგიის დარგში

ოჯახური ალბომი

გედი კლასელებთან ერთად

პირველ რიგში მეშვიდე – გედი გელბახიანი

გედი თანაჯგუფელებთან ერთად



გედი გელბახიანი სტუდენტობისას

გედი გელბახიანი სავალდებულო ორთვიან სამხედრო სამსახურში



გედი და დედაჩემი, გაგრა

გედი და ნუცა



გედი და ნუცა
ავჭალის კოლონიაში ახალი წლის პაემანზე

გელბახიანების ოჯახი
გედი, ნუცა, პეტრე დიდი, თამარი
პეტრე და თამრიკო



გედი მეგობრებთან ერთად გაგრაში

გედი გერმანიაში

რაიხსტაგის შენობა, ბერლინი, 2000 წლის მარტი

ნუცა და გედი ფრანკფურტში
2000 წლის მარტი

ნუცა და გედი ფრანკფურტში
2000 წლის მარტი



გედი და ნუცა

გედი, ნუცა, ქეთი, ნუგზარი

გედი კოლეგებთან ერთად



ნუცა და გედი

გედი მეგობარ ლერი გოგოლაძესთან ერთად



გედი მეგობრებთან – ჯუმბერ კუჭუხიძესთან და ალეკო ბაკურიძესთან ერთად

გედი, პროფესორი ბაადურ რაჭველიშვილთან და ვაჟა გვანცელაძესთან ერთად

სახლში, საახალწლო სუფრასთან

ნუცა და ვედი ჩაქვში

გედი მეგობრებთან — ლერი გოგოლაძესთან და თენგიზ მეუნარგიასთან ერთად



კათედრის წევრები
სხედან — ვაჟა გვანცელაძე. ბაადურ რაჭველიშვილი, გედი გელბახიანი
დგანან — გია კალანდარიშვილი, გელა სულაბერიძე



დიდი და პატარა გედი

გედი შვილიშვილებთან — ოთარ კიკალიშვილთან და დათი გელბახიანთან ერთად

ნუცა და გედი ჯვრისწერის დღეს მეგობრებთან ერთად

გედი და ნუცა გედისა და ქეთის ნიშნობაში



გედი ბაბუ და ქეთი ნიშნობის დღეს



გედი სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად

გედი და ნოდარ ბაქრაძე

ახლა უფრო მეტად მიყვარს
ჩემი ნუციკო...